საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

1134/2
2018



2018 / მარტი
3 (269)

## ბესო სოლომანაშვილი

### ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


პროზა 1 დათო ქარდავა | Samaritan`s Purse

8 ბესო სოლომანაშვილი | ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა

პოეზია 29 მარიამ ქალებაშვილი

33 თაკო შუკაკიძე

36 გიორგი ლომსაძე

38 მედეა იმერლიშვილი

კრიტიკა 41 ნიკოლოზ აგლაძე | პლაგიატის ბუნდოვანი ზღვარი ორი ტექსტისა და ერთი კონკურსის ჟიურის შესახებ


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**შადიმან შამანაძე**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

**რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.**


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

*ხალხური*


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

**გამოდის 1993 წლიდან**



**© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია**



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ელექსანდრა
სალგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცონთან არაყს სვამდნენ დოდიკა და გიალო. თემომაც დალია. მთვრალები იყვნენ და რკალი, რომელსაც ცეცხლი ათბობდა და ანათებდა აღარ ჰყოფნიდათ. აქ როდემდე ვიდგეთ, რამე ვქნათო, ამბობდნენ და ცეცხლში აპურჭყებდნენ.

აი, რო ვიცოდე, რომ არ დამიჭერენო, ამბობდა დოდიკა, ვიყაჩაღებდი, ბოზიშვილი ვიყოო!

დოდიკას მალე დაიჭერენ, აყვანის დროს მუცელში დაჭრიან, ექიმები ნაწლავს გამოუტანენ გარეთ და ძლივს გადაარჩენენ, რვა წელს მიუსჯიან და ხუთი წლის მერე ~~დაიბრიდება~~ გარდაიცვლება ~~რესბალნიცაზე~~ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ~~ჭლექით~~ ტუბერკულოზის რაღაც ავი, რეზისტენტული ფორმით.

თემოს ბევრჯერ ჰქონდა ეს ~~პიანი ბაზარი~~ მთვრალების საუბარი მოსმენილი და ყურადღებას აღარ აქცევდა. ცეცხლთან უფრო ახლოს მივიდა. ვიდრე ჩაქრება, ფეხს გავიშრობო, იფიქრა.

ეგრე, ~~ფიოზალი~~ ზუსტად რომ ვიცოდე, არ მომკლავენ, ომშიც წავიდოდი, რაზეა ~~ბაზარით~~ საუბარიო, თქვა გიალომ, დედას ~~მოუტყნავდი~~ ვუტირებდი ყველას და მერე არხეინად ~~ჩავუფსამდი~~ მოვშარდავდი ზღვაში, ~~ჩიკებსაც~~ თოლიებსაც დავაფრთხობდი, ფსოუს წყალსაც დავლევდი... და ~~ვაფშე~~ საერთოდ ათას ~~ყლეობის~~ სისულელეს გავაკეთებდი, მაგრამ, ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, პირველივე დღეს გამაგორებენ ~~ბოზი~~ კურდღელივით! ჰოდა, ამიტომაც ~~მაქვს ტრაკი დაყენებული~~ ვარ ჩემთვისო.

გიალოს სამეგრელოში მოკლავენ, სამოქალაქო ომის დროს, მის გვამს გზის პირას იპოვიან თბილისში მომავალი იკარუსის მგზავრები, ვიწრო ~~პროხოდში~~ გასასვლელში დააწვენენ, ქალაქში ჩაიტანენ, მაგრამ არავის ეცოდინება მისი მისამართი და ავტობუსის მძღოლი მხოლოდ მესამე დღეს მოახერხებს გაბერილი გვამის ჭირისუფლისთვის გადაცემას.

თემომ ისევ ნაუყრუა. ცეცხლმა ფეხი გაუთბო. ბოლიც კი აუვიდა დამსკდარ ლანჩას. შეეშინდა, ცეცხლი მოეკიდებაო და სწრაფად დაიხია უკან. ახლა გაყინული ხელები მიუშვირა კოცონს, რომელშიც მეზობელი კორპუსების ~~[illegible]~~ სადარბაზოებიდან გამოტანილი კარ-ფანჯარა იწვოდა. მანამდე თავიანთი სადარბაზოებიდან გამოიტანეს და დაწვეს. ბევრად უფრო ადრე დაწვეს ფეხბურთის კარის ~~შტანგები~~ ძელები - ~~[illegible]~~ ხარაჩოებიდან მორჩენილი ფიჭვის თუ ნაძვის უხეშად გათლილი მორები, ჯერ კიდევ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლებმა რომ ჩაყარეს, საღამოობით ფეხბურთის თამაშით რომ შეექციათ თავი. დამთავრდა მშენებლობა, ბეტონის კორპუსები ნელ-ნელა გაივსო ხალხით და მშენებლების ხისძელებიანი საფეხბურთო მოედანი უბნის ბიჭებს დარჩათ. მერე, ბევრი წლის შემდეგ, როცა შუქი აღარ ქრებოდა და ზამთარსაც ისე ცვლიდა ხოლმე გაზაფხული, რომ ერთხელაც არ მოთოვდა, მიხვდნენ, რომ ამ მოედნისა და ხარაჩოებისგან შეკრულ ფეხბურთის კარებზე უკეთესი არაფერი ჰქონიათ ცხოვრებაში.

მაშინ ცეცხლს ბინებშიც ანთებდნენ. მართალია ჯერ არავინ დადიოდა ეზო-ეზო ხმის გამაძლიერებლით, მაგრამ რადიატორებისა და „ცენტრალური გათბობის" იმედი უკვე აღარავის ჰქონდა, ~~[illegible]~~ თუნუქის ღუმელი კარგი გამოსაელი იყო! მრავალსართულიანი კორპუსები, ფანჯარებში გაყოფილი ღუმელის საკვამურებით, პირველი თბომავლებივით ხრჩოლავდნენ, თუმცა, ცხადია, მიწაზე მიყინული ეს რკინა-ბეტონის თბომავლები ადგილებიდან ვერ იძროდნენ! ვერ იძროდნენ მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირ საწვავს მოიხმარდნენ - იქნებოდა ეს გამხმარი, ზღარბივით გაშლილი გირჩები, რომლებსაც ქალაქელები სკვერებში აგროვებდნენ თუ ფიჩხი, რომელიც მტკვრის ჭალებიდან გამოჰქონდათ. ერთხელ ხის დამპალი ~~მებელი~~ განძელიც მოათრია თემოს სიმამრმა. კარგად იწვოდა, მაგრამ შავ ბოლს უშვებდა და მაზუთის უსიამოვნო სუნს აყენებდა, თუმცა ვინ დაეძებდა სუნს, სად იყო ასარჩევი საწვავი?! ფეჩში დაიწვა ყველა ძველი ნივთი, რასაც ცეცხლი მოეკიდა: სავარძელი, ზამბარებამოჩრილი ტახტი, იატაკიდან აგლეჯილი ლინოლეუმი, ქუსლებმოღრეცილი ფეხსაცმელები, ძველი ჩანთები, მათ შორის ფრანგული საკვოიაჟი, რომლითაც პარასკევობით, ლექციების შემდეგ, შინ მოჰქონდა ხოლმე „ელექტრონიკაში" ნაყიდი წიგნები. ძველი, კარგი ჩანთა იყო, მკვიდრად ნაკერი, ერთი შეხედვით თითქოს თხელი, მაგრამ სინამდვილეში გვარიანად ტევადი და გამძლე. გაახსენდა, ერთ წამოღებაზე როგორ წამოიღო ფეიმანის ლექციების ათივე ტომი, მანამდე კი - ლანდაუ-ლიფშიცის თეორიული ფიზიკის მრავალტომეული.

ცოტა ხანში ვერც შინ - სარდაფში ან სხვენში, ვერც გარეთ - ქუჩაში ველარაფერს იპოვიდი ისეთს, რასაც ცეცხლი მოეკიდებოდა, რაც თუნდაც უმნიშვნელო სითბოს მაინც გამოჰყოფდა. ქუჩებს აღარავინ გვიდა, აღარც ნაგავი გაჰქონდა ვინმეს, მაგრამ საწვავად ვარგისი საგნები ისე გამქრალიყო, როგორც კატები და ძაღლები ბლოკადაში მყოფი ლენინგრადის ქუჩებიდან.

სარდაფიდან ციგა ამოიტანა და შეშის მოსატანად წავიდა. თელაველი ნათესავი ჰყიდდა. ნისიად გამოატანა. ისე მოგცემდი, გაჩუქებდიო, უთხრა თემოს, მარტო ჩემი რო იყოს ~~ვაფშე~~ საერთოდაც სახლში მოგიტანდიო, მაგრამ მარტო არ ვარ და არ გამოვაო.

ნამაგიჩიტავთ ბალღი, ხო იცი? - უთხრა შვილზე, რომელიც თემოს ახლდა. - ე რამოტოლა გაზრდილხარ, დათუავ, მარტოკამ უნდა ზიდოო?

მაშინ ციგით შეშის მოტანაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბავშვებს უხაროდათ ასეთი შრომა, ციგას ადევნება. თემომ ვერაფრით დატოვა შინ, ვერაფრით დაიყოლია, ახლა კი მამას ეხმარებოდა ხუთი წლის ბიჭის სიჯიუტითა და მონდომებით, შეშით დატვირთულ ციგას უკნიდან აწვებოდა, ხშირად უცურდა ფეხი და, მოხმარების ნაცვლად, ზედ ეკიდებოდა. ციგას ამძიმებდა მთელი თავისი თექვსმეტი თუ თვრამეტი კილოთი.

ყოჩაღ, დათუნა, უშენოდ რას ვიზამდი! - უთხრა შვილს, როცა ეზოში მივიდნენ.

დენი ისევ არ იყო. ლიფტი არ მუშაობდა. ზურგით აზიდა. სულ ოთხი ტომარა იყო, თითო ტომარაში - ოცდაორი ნაჭერი: ნაწილი - რცხილა, ნაწილი - ნიფელი. შეშას ისეთი სუნი ასდიოდა, ახალი მოჭრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უნდა ყოფილიყო. თოვლიც მიყინვოდა ზედ. სითბოში დნობა დაიწყო და დასველდა. ფეჩშიც შიშინით იწვოდა. ვაჟა-ფშაველაზე წაკითხული გაახსენდა (იქნებ, ექსკურსიაზე უთხრეს ჩარგალში?), თუნუქის ღუმელი არ მოსწონდა, შუაცეცხლი ერჩიაო, აქაოდა, ცეცხლს თუ თვალით არ ვხედავ, ისე სითბოს რა გემო აქვსო.

„დენი მოვა?" - ცოლმაც ჰკითხა.

რას მეკითხებიო, მხრები აიჩეჩა.

მაშინ სინათლის ყველაზე იაფი წყარო ზამთრის ნელ-თბილი მზე იყო. დაღამდებოდა, ჩავიდოდა მზე და ჩაბნელდებოდა ქალაქიც. მოთუხთუხე წითელი გენერატორები მერე გამოჩნდა, ისევე როგორც დიდი აკუმულატორები ტუტე ხსნარებით, მატარებლებიდან მოხსნილები, უზარმაზარი და უმძიმესი ქილებით, კაუსტიკური სოდის მყრალი, მწველი და სლიპინა ხსნარით, ტრანსფორმატორებად გადაკეთებული შედუღების აპარატებით, რომლებსაც ტელევიზორების ამუშავება და სამი-ოთხი ნათურის განათება შეეძლოთ - ეს ყველაფერი გვიან 90-იანებში შემოვა, მანამდე კი ფანჯრებიდან ფსელივით ილვრებოდა სანთლისა და ლამფის ყვითელი, უძალო სანთლე. ზოგი მთვარის მკრთალ შუქსაც სჯერდებოდა, ზოგი დაღამებისთანავე წვებოდა, თუმცა ჩართულს ტოვებდა ~~პიკლურისტელებს~~ ჩამრთველებს, დენის მოსვლა რომ არ გამოჰპარვოდათ. წვებოდნენ ტანზე გაუხდელადაც. საძინებლებში ისე ციოდა, ვერ მიხვდებოდი, ლოგინზე წამომჯდარი ადგომას აპირებდა თუ - დაწოლას. ლოგინში დასაწოლად ფეხსაცმლის გახდაც კმაროდა. ადრე იძინებდნენ და მერე ძილში ჩაესმოდათ სროლისა და აფეთქების ხმები, ყვირილი, ტირილი, ძაღლების გაუთავებელი ყმუილი და წკავწკავი.

ეზოში დაბრუნდა. აღარ სვამდნენ. ცეცხლიც მინავლულიყო. საქმეზე გაჰყვა ბიჭებს. უცბათ იარაღი დასჭირდათ ყოველი შემთხვევისთვის. თემოს ჰქონდა. ბიძაშვილის AK-47-ს ინახავდა, გვარიანად გაცვეთილს, უკონდახოს. ღამით მიადგებოდნენ ხოლმე ბიჭები, ტყვიები ვიშოვეთ და გვასროლინეო. ესეც ასროლინებდა. ბევრს ჰქონდა მაშინ ავტომატი, ტყვიების შოვნაც არ ჭირდა.

დღის სინათლეზე მივიდნენ, სადღაც ველის სატვირთო სადგურთან. სადღაც აქ, საბჭოთა კავშირის დროს ~~ბარიგების~~ სპეკულანტების ბაზრობა იმართებოდა ხოლმე. ბეტონის გრძელი ფილებით შემოსაზღვრული დიდი ტერიტორია იყო - დაშლილი ავტომობილების სამყარო, სადაც ყველაფერი ავტომობილის ზეთით იყო გაპოხილი. ფეხს რომ დადგამდი, მიწიდან როგორც სველი ~~გუბეკიდან~~ ღრუბლიდან, ზეთი ამოდიოდა. ზეთის სუნით იყო გაჟღენთილი ჰაერი და იქ მყოფი ადამიანების გაგლესილ-გაზინტლული ტანსაცმელი, რომელიც სარკესავით ლაპლაპებდა და ირეკლავდა მოქუფრულ ცას, სადაც ისეთი შავი ღრუბლები შეყრილიყო, კაცი იფიქრებდა, რომ გაწვიმდეს, უთუოდ ზეთის წვიმა წამოვა და უფრო მეტად გააშავებს ისედაც შავებში ჩაცმული ამ შავ-შავი კაცების შავ ტანსაცმელს, შავ თმებს, შავ ულვაშებს და შავ ხელებსო. ამ შავ ხელებითაც სულ მუდამ შავი ტილოები ეჭირათ და გულმოდგინედ იწმენდნენ ზეთივით შავ, ბლანტად ჩამოღვენთილ ოფლს. გარშემო დაშლილი ავტომობილების მთები იდგა. საბურავებსა და სათადარიგო ნაწილებს ბოლო არ უჩანდა. საითაც გაიხედავდი, ყველგან ეს ნაწილები დაგხვდებოდა, ამ ნაწილებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხებოდი ხელით და ამ ნაწილებს ადგამდი ფეხს. რაღაც სასწაულად მიწაზე კენჭი რომ დაგენახა, ვერაფრით დაიჯერებდი, რომ მართლა კენჭი იყო და არა ავტომობილის რომელიღაც დეტალი, კარბურატორიდან თუ სიჩქარის კოლოფიდან ამოვარდნილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შიდაწვის ძრავას ანდა ელექტროგაყვანილობას ამუშავებდა, ახლა კი აქ ეგდო, როგორც უსარგებლო ნივთი.

ამათაც შავები ეცვათ და იმათაც. მაშინ ყველას შავები ეცვა, ოღონდ ისინი უფრო მყარად იდგნენ ზეთით გაპოხილ მიწაზე. ამათ ხან ფეხი უცურდათ და ხანაც ეფლობოდნენ. დიდხანს არ ულაპარაკიათ. ესენი უყვებოდნენ, ისინი უსმენდნენ: ~~[illegible]~~ დამწვარი მატორებითაა ~~გაძეძგილი~~ გატენილი! სპილენძს მიაქვს იქაურობა! ~~[illegible]~~ უჟანგავი ფოლადის მთებია! უზარმაზარი ~~[illegible]~~ სხმულებია ჩამარხული! ~~ჩუგუნიც~~ თუჯიც! რეემკას მთელი ~~[illegible]~~ ნარჩენები აქ მოდიოდა, ~~სუტკაში~~ დღე-ღამეში სამი-ოთხი ~~რეისი~~ გზობა კეთდებოდა... ~~[illegible]~~ მოკლედ მთელი მენდელეევის ტაბულაა დამარხული!

ამათგან ერთი მანქანაში გადაისვეს და მერე ყველა ერთად კიდევ უფრო შორს, ქარხნებისკენ წავიდნენ. იქაც მალე მორჩნენ ყველაფერს. ფარების შუქზე მოზომეს ტერიტორია და მალევე გამობრუნდნენ უკან. ავტომატი რომ ჰქონდათ, არც არავის დაუნახავს. მერე წლების შემდეგ ხშირად უფიქრია, კიდევ კარგი, რომ არ დაუნახავთ, თორემ ~~ტრაკში~~ უკან გაგვთხრიდნენ იმ თავის ~~[illegible]~~ სავაზნე კოლოფიანადო.

დაღამდა. დენი არ მოვიდა. ბნელ ქალაქში მანათობელი ფრანებივით ციმციმებდნენ ახალ დროებას მოყოლილი სავაჭრო ჯიხურები - მაძღარი და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი კაპიტალიზმის ბჭყვიალა მხეფები. სიცოცხლის ერთადერთი ნიშანიც ეს იყო - ნყვდიადის გამფანტავი ჯიხურები, რომლებიც ყველაზე ძლიერი გრავიტაციით იზიდავდნენ იმედის ბოლო ხავსმოჭიდებულ მშიერ და გაყინულ ადამიანებს. ღამით, რა დროსაც გინდა გამოსულიყავი ქუჩაში, ამ ჯიხურებში სულ ენთო სინათლე, სულ იჯდა ვიღაც. როგორც წესი, ეს ვიღაც ქალი უნდა ყოფილიყო, კაცი-გამყიდველი ჯერ ისევ ~~[illegible]~~ სირცხვილი იყო, კაც-გამყიდველს აუცილებლად ~~[illegible]~~ აუშარდებოდნენ. ამიტომაც ვაჭრობდნენ ქალები: ქალები უმკლავდებოდნენ ფხიზელ, მთვრალ და კაიფში მყოფ მხედრიონელებს, გვარდიელებს, იარაღიანებს, უიარაღოებს, კაიბიჭებს, ~~ძაღლებს~~ პოლიციელებს... ოღონდ ეს ქალები მთლად მარტოც არ იყვნენ იმ თავიანთ ორ კვადრატულ მეტრ ხვავრიელობაში, ამ ქალებს სულ ჰყავდათ ვინმე ირიბად გამომქომაგებელი - ქმარი, მამა, შვილი, საყვარელი ან რამე სხვა სტატუსის მქონე კაცი, რომელიც ჯიხურშივე იჯდა გაღვივებული სიგარეტით ხელში და უხერხულად განზემზირალი. თემომ იცოდა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ამ ქალებს ეს კაცები დიდად ვერც დაიცავდნენ, ვისაც ეკუთვნოდა, ნასალებს მაინც წაიღებდა. ნასალები კი ბევრი იყო: ამ ჯიხურებში იყო ის, რაც აღარ იყო მაღაზიებში და იყო ისიც, რაც არასოდეს ყოფილა მაღაზიებში: Efes Pilsener - დაბალ, მუცელგაბერილ ბოთლებში; Tuborg - მწვანედ შე-



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ღებილ თუნუქის ქილებში; ყველა მოცულობის Coca-Cola, Pepsi; Amaretto ნუშის ეგზოტიკური გემოთი; Absolut Vodka - ლურჯად, ლამაზი კალიგრაფიით აჭრელებულ გამჭვირვალე ბოთლებში; Chips-ები, Chupa Chups-ები და შოკოლადის მთელი სამყარო: Snickers, Mars, Bounty, Milky Way, Ritter Sport და ბევრი სხვა - ამ ყველაფრით იყო გამოვსებული ჯიხურები, მაგრამ ამ ყველაფერს ფული უნდოდა, ფულს კი ალარ იძლეოდნენ, ფული უნდა გეშოვნა!

როგორც წესი, ფული უბნის გარეთ იშოვებოდა. თუ უბანიდან არ გახვიდოდი, უკეთეს შემთხვევაში, აკუმულატორს მოიპარავდი მეზობლის ~~ნოლტრიდან~~ ნოლსამიდან ანდა ბენზინს ამოხაპავდი წვრილი შლანგით, ისიც მანამდე, ვიდრე ჭკუას ისწავლიდნენ და საღამოობით შინ დაბრუნებული „თამაზა ძიები" და „ჯემალა ძიები" სახლებში არ აიტანდნენ აკუმულატორსაც და ბენზინსაც, ქოშინით, სვენებ-სვენებით, თუნდაც მეცხრე სართულზე და უფრო მაღლაც.

ასე რომ, მაშინდელი სამყარო ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ვინც ეზოებში დანთებულ კოცონებთან იდგნენ და ვინც შინდისფერი ~~ნოლსემებითა~~ ნოლშვიდებით თუ ~~მოკრიასფალტისფერი~~ სველიასფალტისფერი ~~ნოლძევიტით~~ ნოლცხრებით ~~ლოიუენობდნენ~~ მოძრაობდნენ უბნებს შორის.

ვინც იდგნენ, ისინი არაფს სვამდნენ, ვინც მოძრაობდნენ - როგორც წესი, უფრო სერიოზული ნივთიერებებით იწამლავდნენ თავს, თუნდაც წითელი ხიდიდან ჩამოტანილით და ~~ბაშუბად~~ თავებად დაფასოებულით.

ხშირად ისე ხდებოდა, რომ რომელიმე დოდიკა ან გიალო ეზოში მოგიზგიზე კოცონიდან უბნის მიღმა, რომელიმე საძმოში (ანდა როგორც მაშინ იტყოდნენ, ფორმირებაში) გადაინაცვლებდა და, ორიოდე კვირაში ჩაბნელებულ უბანს ერთით მეტი შინდისფერი ნოლშვიდის ან სველიასფალტისფერი ნოლცხრის ფართა მძლავრი შუქი გაჰკვეთდა, სულ ცოტა ხანში კი „ცხელი წერტილიდან" დაბრუნებული დოდიკა თუ გიალო სადარბაზოსთან მიყენებული ~~გრუზავიკიდან~~ სატვირთო მანქანიდან ჩამოცლიდა მძიმე ფუთებს, ჩანთებს, ჩემოდნებს, ავეჯის ნაჭრებს ან ნებისმიერ სხვა ნივთს, თუნდაც მარმარილოს ნიჟარას ან ირმის უზარმაზარ რქებს.

ნოლსემები და ნოლძევიტები ხშირად აკითხავდნენ ლამის ჯიხურებს, სადაც ასევე იყიდებოდა სახელობითი ნამცხვრები - ლიას ჩიტის რძე, მაგულის მედოკი, თამარას იდეალი, ლუიზას ნაპოლეონი და ა.შ. რომლებსაც ყოჩაღი ქართველი დიასახლისები უკვე აცხობდნენ და აბარებდნენ, თუმცა განსაკუთრებული ~~ქაიფი~~ ნეტარება იყო ~~ნაკმარებულზე~~ თვლემის შემდეგ სნიკერებითა და მარსებით პირის გამოტენვა, რაც კოცონთან მდგომი ტიპებისთვის მიუწვდომელი ამბავი იყო და ამ მიუწვდომლობის ერთგვარი გამოვლინება უნდა ყოფილიყო ურბანული ლეგენდა სადღაც ჩატარებულ კონკურსზე სნიკერსის ჭამაში - ვინ მეტს შეჭამდა ისე, რომ წყალი არ დაეყოლებინა! და დაუჯერებლად ეჩვენებოდათ, რომ კონკურსში გაიმარჯვა კაცმა, რომელმაც ერთ საათში მხოლოდ 16 ცალი სნიკერსი შეჭამა! [illegible] იმით იმშვიდებდნენ თავს, რომ უწყლოდ, ალბათ, ძალიან ძნელი უნდა იყოს, ნერწყვი სქელდება და ყლაპვა ჭირსო.

ის საქმე, რომელზეც იარაღის გამო გაიყოლეს, კარგად დასრულდა. უკან დაბრუნებულებმა დოდიკას მამის გარაჟში დალიეს ლიტრიანი „სიბირსკაია", ხელადასავით ბოთლში რომ ესხა. მარილიანი კრეკერი და თურქული ~~პეჩენია~~ ნამცხვარი მიაყოლეს. წავალო, რომ თქვა, არავინ მიაქცია ყურადღება. დოდიკას მთვრალი მამა ვიღაცა ტიპის უმტკიცებდა, თურქული ყველაფერი ნაგავიაო და პეჩენიისთვის ცეცხლის მოკიდებას ცდილობდა. პეჩენია არ იწვოდა, მაგრამ დოდიკას მამა თავისაზე იდგა და იყო დიდი ყაყანი.

გარეთ რომ გამოვიდა, დენი ისევ არ იყო. ფული ვიშოვეო, გაიფიქრა კმაყოფილმა. რაც უნდა ყოფილიყო, ეს საქმე ვერ იქნებოდა ბოლომდე კანონიერი, მაგრამ არც დანაშაული ყოფილა - მკვლელობა ან ყაჩაღობა. ვიღაც ხალხი შეახვედრეს ერთმანეთს და უჩვენეს რაღაც საგნები, რომლებიც არავისი იყო. თან თემოს როლი ამ საქმეში არ ყოფილა მთავარი და გადამწყვეტი. ~~მაგუთიც~~ ფულიც როლის შესაბამისი მისცეს, მაგრამ ეს იყო თემოს პირველი ფული. ამ ფულით ბათინკებს გამოცვლიდა, კომერციულ დენს გამოიყვანდა და ცოტა კიდევ მორჩებოდა.

თოვდა. მიაბიჯებდა სიბნელეში გაყინულ ტროტუარზე და მარჯვენა ფეხს მთელი ტერფით, დაუნანებლად დგამდა. აღარ აწუხებდა ფეხსაცმელში შესული სისველე და ფიფქებსაც არხეინად უშვერდა სახეს. თავი შინდისფერი ~~ნოლსემიდან~~ ნოლშვიდიდან გადმოსულ მაგარ ტიპად წარმოედგინა. სხეულშიც გრძნობდა შესაბამის დაჭიმულობას. კუნთები სასიამოვნოდ დამძიმებოდა, მყარად დგამდა ნაბიჯს, ფეხი არ უცურდა მოლიპულ გზაზე, თითქოს უკეთესადაც ხედავდა. სათვალე მოიხსნა და გულისჯიბეში ჩაიდო. უძილოსა და მსუბუქად ნასვამს ხმაც რაღაცნაირად დაბოხებოდა. სადღაც მკერდის სიღრმიდან ამოსდიოდა ლამაზი, დაბალი ბანი. მიდიოდა გზის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯიხურების ჯაჭვისკენ. ზუსტად იცოდა, რომელ ჯიხურთან უნდა მისულიყო და ვისგან ეყიდა Snickers, Mars, Bounty, Milky Way, Ritter Sport, Twix, Nuts, M&M'S... ეყიდა თითო-თითო ცალი და მიეტანა თავისი ხუთი წლის შვილისთვის, რომელსაც სული მისდიოდა ამდენი ტკბილეულის ერთად დანახვზე, თვალს ვერ სწყვეტდა შოკოლადებით სავსე ჯიხურებს, მაგრამ იქცეოდა ზრდასრული ადამიანივით და მცირე დამუნათების შემდეგ მორჩილად დაჰყვებოდა დედას - აღარ ითხოვდა შოკოლადებს, აღარ ჭირვეულობდა, თუმცა ყოველთვის ვერ ერეოდა სურვილს, რომელიც უცნაურად ავლენდა თავს. ბავშვმა ზეპირად იცოდა მარსის, სნიკერსის, ბაუნტისა და სხვა კანფეტების ბჭყვიალა რეკლამების ტექსტები და როცა რომელიმეს მოკრავდა ყურს, მაშინათვე წყვეტდა თამაშს და შესაშური სიზუსტით, სიტყვასიტყვით იმეორებდა აზრისგან დაცლილ ამ ტექსტებს, მაგრამ ამასაც არ სჯერდებოდა და ისე ახლოს მიდიოდა ტელევიზორთან, ისე ეკვროდა დაბალი ძაბვის გამო აციმციმებულ ეკრანს, თითქოს შეჭმას უპი-

ეროვნული

რებდა მარსის, სნიკერსის, ბაუნტისა და სხვა კანფეტების ელექტრონულ გამოსახულებებს. ბავშვის ამგვარი ქცევის გამო გულმოკლული ხშირად წარმოიდგენდა, ფულს რომ იშოვნიდა, როგორ გაავსებდა პარკს შოკოლადის [illegible] ფილებით, როგორ დაუხვავებდა მაგიდაზე კანფეტების ზვინს, როგორ გაიხარებდა დათუნა, როგორი ყიჟინით გამოხატავდა ამ სიხარულს, როგორ მოითხუპნიდა პატარა, ლამაზ პირს და უზომოდ მადლიერი როგორ ჩაეკვრებოდა გულში ბედნიერ მამას, რომელმაც, როგორც იქნა, იშოვა ფული და ოცნება აუსრულა პატარა შვილს.

როცა დენი მოეიდოდა, ტელევიზორში, ყველა არხზე, სულ ამ კანფეტების თვალისმომჭრელი რეკლამები გადიოდა: ხან მდინარეებად მოედინებოდა შოკოლადისა და კარამელის მძლავრი ნაკადი, რომელსაც გზად თხილისა და ქიშმიშის ზვავი ერეოდა და ხანაც ლაჟვარდოვანი ოკეანიდან ამოსული ულამაზესი ქალწულის ხელში იოლად იხლიჩებოდა ქოქოსის ზემკვრივი კაკალი და მისი შიგთავსის თვალისმომჭრელი სითეთრე ყავისფერი შოკოლადით იფარებოდა... სამოთხის ამ ნეტარებაში ყველა ბედნიერი და ლმაზი იყო. ვიდრე დედა დაარწმუნებდა კანფეტების მიუწვდომელ სიძვირეში, დათუნა ხშირად ეკითხებოდა: „მამა, როდის წავუსნიკერსებთ?" მამას კიდევ პასუხი არ ჰქონდა. ჰოდა, ახლა ამ კანფეტებზე უკეთეს საჩუქარს ვერ გაუკეთებდა პატარას. თავისი ბავშვობაც გაახსენდა. ძალიან ცუდად რომ იყო, ყველა ნათესავი მის გულის მოგებას რომ ცდილობდა, უჩვეულოდ გულმორბილებული მამის შეკითხვაზე, რამე ხომ არ გინდაო, დაუფიქრებლად რომ უპასუხა, ათი პედრო, ათი დონალდო და ათი სიგარეტის კევი, რომლებსაც [illegible] ბოშა ქალები ჰყიდიან უნივერმაღის წინო.

იცოდა რომელ ჯიხურში უნდა ეყიდა. გამყიდველ ქალს სახეზე ცნობდა. ადრე რამდენჯერმე არაყი და სიგარეტი იყიდა და ახლაც მასთან მივიდა. მივიდა იმიტომ, რომ ერთხელ ამ ქალის მზერაში რაღაც სიბრალულის თუ ქედმაღლობის მაგვარი დაიჭირა. თხელკოლოფიანი „მაგნას" ყიდვა უნდოდა. კუპონები ჰქონდა, მაგრამ კუპონებში არ მიჰყიდა. კუპონებში მარტო „პრიმა", „პალიოტი" და „80" გვაქვსო, უთხრა და გაუღიმა იმ თავისი ჯიხურის ღია სარკმლიდან. უხერხულად იგრძნო თავი. გაუტყდა შერცხვა და გაწითლდა. ვერ მიხვდა, რა უფრო მეტი იყო ამ ღიმილში, სიბრალული თუ ქედმაღლობა. ბედად სათვალის ლინზებიც ზუსტად მაშინ დაეორთქლა. რომ მოიხსნა, ველარაფერი დაინახა და უარესად აირია. ვინ ვგონივარო, გაიფიქრა, რაღაც [illegible] სისულელის თქმა დააპირა, მაგრამ ვერც ეგ გაბედა. ახლა კი ფული ჰქონდა და სხვანაირად თავდაჯერებული იყო.

„ეს, ეს, ეს და ეს! მოკლედ, ყველა თითო-თითო ცალი. ერთი ბლოკი „მაგნაც"... ეგ, არა, თხელ [illegible] კოლოფში, ერთიც „ამარეტო".

ქალმა ყველაფერი ჩაალაგა. თემო მშვიდად ელოდებოდა. ქალი გამოკვეთილად თავაზიანად ემსახურებოდა, მაგრამ ამან დაიკიდა. ფული გადაუხადა, ნავაჭრი გამოართვა და კაიბიჭის მძიმე ნაბიჯით, დასტოინად ღირსეულად გაეცალა სამგზავრო გემივით შიგნიდან განათებულ ჯიხურს. [illegible], ვიდრე სიბნელეში არ შერგო თავი. გაჩერდა. კანფეტების პარკში ჩაყო ხელი და ვნებიანად მოაფათურა. სიამოვნებისგან თვალები დახუჭა. წარმოიდგინა, როგორ გაუხარდებოდა თავის პატარა შვილს ამ უგემრიელესი და ულამაზესი კანფეტების ნახვა, ამ მძიმე, მკვრივი, ოთკუთხედი სრულყოფილებებისა... და უეცრად გაშეშდა! მოეჩვენა, რომ ერთი ფილა დამტვრეულია! არა, არ მოჩვენებია, ნამდვილად ორად იყო გაყოფილი! გაბრაზდა! ძალიან გაბრაზდა! მკვეთრად შემობრუნდა, ხმამაღლა შეიგინა და ჯიხურისკენ გაალაჯა გიგანტური ნაბიჯებით, პროფესიონალი მკვლელის თავდაჯერებით!

ქალს ჯიხურის სარკმელი დაეხურა. ვიღაც ყმაწვილი ეჯდა წინ და სერიოზული სახით პასეანს უშლიდა. უხეშად მიუკაკუნა მოხრილი საჩვენებელი თითის წვერით, ერთი წუთითო. ქალმა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, საოცარი სისწრაფით აალაგა სიძველისგან დარბილებული ბანქო და გამოჰხედა, გისმენთო. თემომ, ქალო, შიგ ხომ არა გაქვს, რას კადრულობო! ქალი გაფითრდა. ამან კიდევ, ახალი წელია, ბავშვისთვის მიმაქვს საჩუქრად, შენ კიდევ ძველი, დამტვრეული კანფეტები შემომტენეო მომეციო?!

ქალს შეეშინდა, რას ამბობთ, რა ძველი, ზუსტად მახსოვს, არც ერთი არ ყოფილა დამტვრეულიო.

აბა, ეს რა არისო, უთხრა და დახლივით გადმოშლილ სარკმელზე დააგდო ის ერთი გატეხილი ფილა.

ქალმა სწრაფად დაავლო ხელი, სინათლეზე დახედა და მალევე შეცვლილი ხმით უთხრა: არა, რას ბრძანებთ, გატეხილი არაა, უბრალოდ, ასეთია ეს კანფეტი, ბაუნტიში ორი ცალი დევს! აი. ყველა ეგეთია, ნახეთო და მთელი ყუთი დაუდგა წინ.

თემოს არაფერი უთქვამს. მაგრა გაუტყდა ძალიან შერცხვა. სწრაფად გამოართვა და უკან სიბნელეში დაბრუნდა.

მიდიოდა მოშვებული, ინერციით დგამდა ნაბიჯებს, კუნთების ძალისხმევის გარეშე. აღარც უცნაურ დაჭიმულობას გრძნობდა სხეულში და აღარც თავისი ხმის ახლებური ჟღერადობა ახარებდა. სათვალეც მალე მოიკითხა, როცა ახალგაყინულ გუბეში რამდენჯერმე ჩაკრა ისედაც გვარიანად დასველებული ფეხი.

შვილის საქციელმა კიდევ უფრო გაუფუჭა ხასიათი. არც სიხარულის ყიჟინა ყოფილა და არც შოკოლადით გამოტენილი პირი. არადა, ვიდრე „გატეხილი" შოკოლადის ფილის გამოსაცვლელად დაბრუნდებოდა, კიდევ ერთხელ წარმოიდგინა კანფეტების გადაცემის სცენა: გაოცებული მისჩერებია ბავშვი საჩუქარს. თვალები დაჭყეტილი აქვს, არ ახამხამებს, ფართოდ დაუღია პირიც, ხმას ვერ იღებს. ერთი ხანობა ვერ იჯერებს, რომ მისია ეს ენით აუწერელი სიმდიდრე. მერე მთელ ხმაზე ყვირის: თოვლის ბაბუამ გამომიგზავნა, თოვლის ბაბუამ, დათუნამ წაუსნიკერსოსო! ოღონდ მაინც არ ხსნის. იმის ნაცვლად, რომ გახსნას და ჩაკბიჩოს, იწყებს შოკოლადის ფილებით თამაშს. ხან ავტომობილებივით აჯიბრებს ერთმანეთს, ხან ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეთზე აწყობს და სახლებს აშენებს. როდის-როდის გადაწყვეტს, გახსნას და შეჭამოს, მაგრამ უჭირს ქაღალდის შემოცლა თავისი პატარა, ბუნჩულა თითებით, თუმცა დედას მაინც არ ანებებს, შემიჭამო, ჯუჯღუნებს. ბოლოს, როგორც იქნება, გაარჩევს და ხარბად ჩაყლაპავს ჯერ სნიკერსს (წაუსნიკერსებს), შემდეგ იმ წყეულ ბაუნტის... - ასე წარმოედგინა თემოს, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. დათუნამ სწრაფად გამოართვა კანფეტებით სავსე პარკი და იქვე მაგიდასთან მიდგმულ სკამზე დადო. მადლობაც მხოლოდ მას შემდეგ გადაუხადა, რაც დედამ შეახსენა, აბა, რა უნდა უთხრა მამიკოსო. „მაად-ლოო-ბაა!" - უგულოდ დაუმარცვლა შვილმა და სწრაფად დაუბრუნდა ფეჩთან დაგებულ ფარდაგს, რომელზეც სხვადასხვა ზომის უამრავი ფერადი საგანი იყო გაშლილი, მათ შორის ხისგან გამოთლილი ულამაზესი თვითმფრინავი, რაღაც კუკურუზნიკის, An-2-ის ამერიკული ანალოგი წითელი კორპუსითა და სასაცილოდ დიდი ყვითელი პროპელერით; სახტუნაო ფოსფორის მანათობელი ლახტით; გასაფერადებელი პინგვინი 30 ფერის ფლომასტერით; ხისგან დამზადებული Крестики Ноликиის სათამაშო (დაფა და ქვები), რომლის ხისსავე პატარა ყუთისთვის კოხტად წაეწერათ Tic-tac-toe; კბილის ორი ულამაზესი ჯაგრისი Big Ball - ერთი ყვითელი და ერთი წითელი; საბანივით დიდი და ფაფუკი პირსახოცი; რუბიკის კუბიკი; ლურჯი ბურთი squeeball; la quinta-ს ყვითელი საპონი citros თავბრუდამხვევი არომატით; ხისგან გამოთლილი სასტვენი - wooden train whistle; ზეფირის ფერადფერადი დაგრეხილი ჩხირები და ბევრი სხვა რამ - ყველაფერი ეს ჯერ კიდევ დილით კოხტად ეწყო აბრეშუმის ბაფთითა და ანგელოზის დახატული ფრთებით დამშვენებულ მუყაოს ყუთში, რომელიც ამერიკის საელჩოს ღიმილიანმა თანამშრომელმა, საბავშვო ბაღის დირექტორის თანხლებით, სახლში მიუტანა დათუნასა და მის სხვა ჯგუფელებს.

ეს რა არისო, თქვა თემომ და დაწვდა ცარიელ ყუთს. Christmas Child ეწერა ერთი მხრიდან, Samaritan`s Purse - მეორე მხრიდან. მერილენდიდან გამოეგზავნათ ბედნიერ ამერიკელ ბავშვებს განასაცდელში მყოფი ქართველი თანატოლებისათვის.

პირველი საათი იქნებოდა, კომერციული დენის გამოსაყვანად ~~ელექტრიკი~~ ელექტრიკოსი რომ მოვიდა. პურის ქარხნიდან გადმოჭიმა კაბელი. ახალი, მეორე ~~სოჩიკოც~~ მრიცხველიც დააყენა. უთხრა, როცა დენი გექნება, ეს მრიცხველი არ დაწერს, როცა დენი გაითიშება, ამ ~~ჯნობქას~~ ღილაკს დააწვები და კომერციული დენი ჩაირთვება, მრიცხველიც ამუშავდება და ყველა ~~პრიბორი~~ ელექტრომოწყობილობა, რასაც ჩართავო. მართლაც, დააწვა და თვალისმომჭრელად განათდა წინკარი, შორიდან სიმღერის ხმა მოესმა. Last Christmas, I gave you my heart - ქართველი მომღერლის შესრულებით. ჩართული დაეტოვებინათ ტელევიზორი. ფული გადაუხადა და თითო-თითო დავლიოთო, მაგიდასთან მიიწვია. ელექტრიკოსმა, სამის ნახევარია, გამოდის, უკვე 31 დეკემბერია, ჰოდა, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, სინათლე და სიხარული არ მოგკლებოდეთო. თემომაც დალია, მაგრამ ხასიათი მაინც არ გამოუკეთდა. ხელოსანიც აღარ წავიდა. კლასელის ძმა აღმოჩნდა. ის ლაპარაკობდა, ეს უსმენდა. რუსეთიდან ახლა დავბრუნდიო, არაფერი მაკლდა, არც ფული, არც სასმელი, არც ქალები, მაგრამ ვერ გავძელი, საქართველო მომენატრაო, მერე რა, რომ ~~დარჩენილი გვაქვს~~ გვიჭირს და არც დენი გვაქვს, არც გაზი, არც ფული და არც სამუშაოო, მთავარი საქართველოა, არ უნდა მივატოვოთ, როგორც მოხუც დედას ისე უნდა მოეუაროთ მისმა შვილებმა, საქართველოს გაუმარჯოსო. თემომაც, გაუმარჯოსო, სხვა არაფერი უთხრა. იმ თავის კლასელისგან იცოდა, რომ სადღაც ტიუმენში ყოფილა გადაკარგული, აღარც წერილებს იწერებოდა და აღარც რეკავდა. დედა გარდაგვეცვალაო, მოატყუეს და ისე ჩამოიყვანეს. ახლა უკან წასასვლელი ფული არ ჰქონდა და ველარ მიდიოდა.

ელექტრიკოსი ხუთი საათისკენ წავიდა. თემომ საძინებელში შეიხედა, უნდოდა ცოლისთვის ეთქვა, ჩავაცილებ და დავბრუნდებიო. ეძინათ. ბავშვსაც საჩუქრის ყუთისთვის მოეხვია ხელი და მშვიდად ფშვინავდა. ფრთხილად გამოხურა კარი. სადარბაზოში ბნელოდა. ხელის მექანიკური ფანარით უნათებდა. საფეხურები კიდევ უფრო მაღლა გაყინულიყო. გარეთაც მაგრად ციოდა. უცბად გამოეხიზღნენ. საცაა გათენდებაო, თქვა ელექტრიკოსმა და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გაუდგა გზას. მარტო დარჩენილმა, ბარემ მოვწევ და მერე ავალო, გაიფიქრა. სიგარეტს მოუკიდა და ხუთიოდე ნაბიჯით მოშორდა სადარბაზოს. გაჩერდა. მოტრიალდა და ჩაბნელებულ კორპუსს ახედა. ორ-სამგან ლამფა ენთო. მისი ფანჯრებიდან მკვეთრი სინათლე ილვრებოდა. უფრო ზემოთ მთვარე ანათებდა სუსტად, ვარსკვლავები ძლივსშესამჩნევად ბჟუტავდნენ. უეცრად მთელი კორპუსი განათდა და ვიღაცამ იყვირა მთელ ხმაზე, შენი ჩამრთველის დედა მოვტყანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბესო სოლომანაშვილი

# ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა

### ანუ ამბავი ჯალათი პაპაჩემისა, დედაჩემის მამა რომ იყო



## როგორ მოვატყუოთ გამომცემელი

მაშინ პაპაჩემი, დედაჩემის მამა, ჯანზე იყო, მაგრამ იმ დაბადების დღის შემდეგ ვერ გაუძლო ნერვებმა და ტვინში სისხლი ჩაექცა.იმ დღეს არა, თითქმის ერთი ათი დღის მერე. იმდენი შეურაცხყოფა ჰქონდა გადატანილი და ატანილი, მაგრამ იმ ერთმა დაბადების დღემ ბოლო მოუღო. 85 წელი სულ კარგად იყო, უგრძნობი მეგონა, მეგონა რომ არასოდეს არაფერს განიცდიდა... და უცებ...

ცივსისხლიანი ბებერი ცინიკოსი - ხო მიიღო?!

იმ ამბის მერე ერთ დღეში შეიცვალა. ბებრული სადისტური სიგიჟე გაუქრა, - როცა იცის, რომ ძალა აქვს და გაწვება, - აბა სადამდე დაეჩაგრინები? და რო ეჩაგრინები, კიდე უფრო გჩაგრავს. სულ არ აინტერესებს, ამას ზრდილობა გაკეთებინებს, შვილიშვილის პაპისადმი პატივისცემა თუ კიდევ რამე?

- ... ხო მიიღო...?!

ერთი კვირა ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. არც ჭამდა არც სვამდა, ერთხელ ამოიღო ხმა და ისიც თავისთვის ჩაიბურდღუნა, უფრო ჩემს გასაგონად თქვა: აბა ერთი ჩემ დროს ექნა, იმ შენ ძმაკაცს... ეხლა რო დიდი გული გაქვთ. ხო აუგლისავდი კედელზე ტვინსო.

ერთი კვირის მერე მოცოცხლდა. გინება დაიწყო, - გეზიზღებით, გინდა მოგიყვე რატო ვარ ეგეთიო? არ შეგეშვებიო, უნდა იცოდეო. მე თუ მძღნერში ვარ, შენ რითი ხარ ჩემზე უკეთესიო, კი არა და, მეტიო, კი არადა, - შენ რითი ხარ ჩემზე ნაკლებიო... ჰოდა, პირველად მომიყვა რატომ გახდა ჯალათი. სამი დღე მიყვებოდა, არ ჭამდა და არ სვამდა, დაიღლებოდა დაიძინებდა, გაიღვიძებდა, დამიძახებდა და ისევ მიყვებოდა... და რომ დაამთავრა, თვალები აუტრიალდა, ყბა მოექცა, კიდურები არაბუნებრივად დაებრიცა და იატაკზე დაენარცხა. ძალიან შემეშინდა, თან ცოტა მესიამოვნა კიდეც. გადარჩა, მაგრამ დარჩა ესე დამბლადაცემული. მივხვდი, რომ მალე მოკვდებოდა და ჩანაწერის გაკეთება დავიწყე, რალაცეები მინდოდა გამეხსენებინა, მაგრამ ველარ მპასუხობდა და შეიძლება ზოგი ადგილი ჩემი ფანტაზიის ნაყოფიც იყოს. როგორც მივხვდი, ეს ამბავი იცოდა მამაჩემმა და ამის გამო არ უყვარდა პაპაჩემი, - არც არასოდეს ჰქონია ურთიერთობა სიმამრთან. ჩემთვის არ მოუყოლია, ეტყობა ჩათვალა, რომ პატარა ვიყავი და დამინდო. მაშინაც კი არ მომიყვა, როდესაც დედაჩემმა უღალატა. არც სიკვდილის წინ, სისხლში რომ ცურავდა. ერთხელ, გადაწყვიტა დიდი ხნის ოცნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა აესრულებინა და ახალი წლის საჩუქრად ნაყინი მიყიდა. ფული მომცა, შედი მაღაზიაში, აირჩიე და იყიდეო, თვითონ გარეთ დამელოდა. სროლის ხმაზე მე და გამყიდველი ქალი გამოვვარდით. ხელში ნაყინი მეჭირა და ვლოკავდი. რომ, მივუახლოვდი, პალტო ტანზე მჭიდროდ შემოიხვია, ჩემი ჭუკულიკა ბიჭიო, ჭუჭუსთან თითები გამიტკაცუნა, პირით გააპრუწუნა და მოკვდა. ხუთი ტყვია ქონდა მოხვედრილი. ვინ ესროლა არ დამინახავს, მაგრამ სულ მახსოვს იარაღის ლულებს კვამლი როგორ ასდიოდა, არც ეს კვამლი დამინახავს რასაკვირველია, მაგრამ მაინც სულ მახსოვს. ამ დროს დედა უკვე წასული იყო სახლიდან, უფრო სწორედ, მამამ სასტიკად სცემა ღალატის გამო და გააგდო, ლოყაზე დიდი იარა დაუტოვა და ისე. ეს ის დროა, ქვეყანაში ნაყინი რო ფუფუნებაა, ფული არავის აქვს და მთელს ქვეყანაში ერთადერთი საჭმელი ლობიოა. პირდაპირ ნატურით მიდის ვაჭრობა - ბოზებიც კი ლობიოზე იძლევიან. ნაციის რჩეულებს ყველაზე მეტი ლობიო ჰქონდათ და მოგეხსენებათ ლობიოს რა ახასიათებს, ჰო და დადიოდა მთელი ნაცია კუებ-კუებით. თან, ის დროა, ყველაზე ელიტარულები და ყველაზე ლამაზები, სიამოვნებით რომ ხოცავენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში. მე მეგონა, რო სისულეების გამო ხოცავდნენ და თვითონ იმათ ეგონათ, რომ სერიოზული ამბების გამო ხოცავდნენ. ისე, რატო არ არის სერიოზული მიზეზი ფული, ცოლი, ჰეროინი, საყვარელი. ხანდახან ეშლებოდათ ხოლმე და ისე, არაფროს გამო ხოცავდნენ ერთმანეთს. ან სულაც არ ეშლებოდათ, და ბავშვები ეზოში რომ თამაშობენ და ერთმანეთს მორევაში ეჯიბრებიან, - ვინ უფრო ღონიერია, მაგის გამო ხოცავდნენ. პატარა ქალაქი იყო, კიდევ უფრო პატარა იყო ეს ელიტარული უბანი, ყველა ერთმანეთს იცნობდა და მაინც ხოცავდნენ. დადიოდნენ ესე ლობიონაჭამი ნაციის კუანა რჩეულები და კუებ- კუებით ხოცავდნენ ერთმანეთს. დედაჩემის და მამაჩემის ამბავიც ამას ჰგავდა. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში დედაჩემი გამყიდვლად ედგა ვიღაც ბერძენს, ჰოდა იმ ბერძენზე იეჭვიანა მამაჩემმა, არც ვიცი ჰქონდა თუ არა მიზეზი. იმ კაცმა საბერძნეთში მომვლელის სამუშაო გაუხერხა დედაჩემს და იმის მერე აღარც მინახავს. ისე იზრუნა იმ ბერძენმა დედაჩემზე, მივხვდი, რომ მაინც ჰქონდა ეჭვიანობის მიზეზი მამაჩემს. დღემდე ფულს კი მიგზავნის დედაჩემი, აბა მე რისი თავი მაქვს, მწერალიც კი ცუდი ვარ. ჰოდა, მას შემდეგ, რაც დედაჩემმა გამაჩინა, რომელმაც მამას უღალატა, რომელიც თავისთავად ჩემს თვალწინ მოკლეს, რომელსაც თავისწილად ძალიან არ უყვარდა დედაჩემის მამა, რომელიც თურმე ჯალათი ყოფილა, საბოლოოდ ამ დედაჩემის მამამ, - ჯალათმა პაპამ გამზარდა. მამაჩემი რომ მოკვდა, ზუსტად იმ დღიდან დაიწყო პაპაჩემმა იმ ადამიანების ამბების არეულ-დარეული მოყოლა, ვინც დახვრეტილი ჰყავდა. აზრიც კი ვერ გამომქონდა. ყველაზე დალაგებულად იმ წუთების ამბავი გამოსდიოდა, გასროლას რომ ალარაფერი ეკლდა. აი, ის რასაც გრძნობენ სულ ბოლოს, ჩახმახის გადატენიდან ბოლო ბრძანებამდე. ღმერთის სწამდა პაპაჩემს, ნანახი მაქ, სული როგორ ამოდის და მიდისო, მაგრამ იციან ამ სულებმა მე რომ არაფერ შუაში ვარ და არაფერს მერჩიანო. ეხლაც არ მერჩიანო.

ბოლოს სულ აურია, გამაშლევინებდა სუფრას, სტუმრებს დამაპატიჟებინებდა და იწყებდა ამ კოშმარების მოყოლას, - ჰოდა, მიიღო კიდეც. ...თავადიშვილები ვართო - ამბობდა. ნეტა როგორი თავადიშვილი იყო, მთელი ქვეყნის თავადები მაგის დახვრეტილია. თავიდან ამ ამბების ჩაწერა ვცადე, იმდენს ყვებოდა, - დავიღალე, დამეზარა და თავი დავანებე. არადა, ჩემ ისტორიებს ველარ ვწერ, სულ ეს მიტრიალებს თავში. იმასაც კი ვერ ეწერ, ქალის კაბის ჩაცმა რო მიყვარს. არაა, ტრანსექსუალი არ ვარ და არც სურვილი მქონია როდისმე კაცებთან ურთიერთობის, უბრალოდ მიყვარს ქალის კაბის ჩაცმა, უკეთესად მიდგება და მორჩა, რა, არ შეიძლება? მღვდლებსაც ხო კაბა აცვიათ. ის კი არა, ბოზებშიც მიყვარს სიარული. პაპაჩემი ბიჭობიდან მაძლევდა ბოზებში სასიარულო ფულს და ძალიანაც მსიამოვნებს. ოღონდ საიდან ჰქონდა ამ ბებერ ნაძირალას ამდენი ფული ვერ ვხვდებოდი. ან სად ინახავდა - ვერაფრით ვიპოვე. ერთხელ მთელი სახლი გადავაქოთე და არაფერი გამომივიდა. ფულს მაძლევდა და მერე სულ დეტალურად მაყოლინებდა ვისთან ვიყავი. ჩამეძიებოდა ხოლმე -ვისთან ვიყავი, როგორი იყოო? დიდი ძუძუები ჰქონდა თუ არაო, პირში თუ იღებდა, უკნიდანაც ხომ არ მოსწონდა? მეც ვუყვებოდი, აბა რა მექნა, მერეც ხომ მინდოდა ფული. ხანდახან არც წავსულვარ ბოზებში, ფული სხვა რამეში დამჭირვებია და მომიგონია ამბავი. არა, იმას ნამდვილად არ მოვუყვებოდი, კაბაჩაცმულს რომ უფრო მაგრა მიდგება. ერთხელ მთვრალზე კინაღამ წამომცდა, არ დაიჯერა, - შემაგინა, სერიოზულად მოიქეციო და გავჩერდი. არადა, თვითონ ისეთები მომიყვა, ეს ჩემი კაბა როგორ უნდა გაუკვირდეს? ისე, შეიძლება უფრო გამწარდეს, მარა ძაან ბებერია, რომ მოკვდეს, ფულს ვინ მომცემს? ამდენი რამის მოსმენა და მოგონება რომ მიწევდა, მეც ძალაუნებურად მწერალი გავხდი, ყოველ შემთხვევაში, ამბების მოყოლა ძალიან მსიამოვნებს. თან მარტო ყოფნა მიყვარს და ვზივარ და ვწერ და მაქვს ჩემი მსოფლიო.

თქვენ რა გგონიათ, როგორ ხდებიან მწერლები?- მწერლებს ხო ეგეთი თვისება აქვთ: აიღებენ მომხდარ ამბავს, ცხოვრებაზე უკეთესს ხომ ვერანაირი ფანტაზია ვერ მოიგონებს. შეძვრებიან თავისი არჩეული ამბის გმირის სხეულში და იწყებენ იმით ცხოვრებას. თუ მწერალმა მოახერხა და ბოლომდე შეუძვრა ტვინში, გულში, კუჭში, უკანალში, ყვერებში და კიდევ სად, ღმერთმა იცის, ხო აცოცხლებს ამ თავის გმირს და მაშასადამე ამბავსაც, თუ ვერა და ჰყავს გმირი, ან უგულო, ან უტვინო, ან უტრაკო, ან უყვერებო. ყველაზე მთავარია სისხლში შეძრომა. ეს ხელობა იშვიათებმა იციან, სისხლში თუ შეძვრა, მაშინ ყველგან შეძვრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ყველგან; მერე, ამ ამბავს მიაწებებს სხვა ამბავს, შიგნით ჩასვამს გმირს, რომელშიც შემძვრალია და არის შანსი, რომ რამე გამოუვიდეს. თუ გამომცემელი მოტყუვდა, - დაბეჭდავენ წიგნს და მწერალმა ნაწილი ვალების გასასტუმრებელი ფულიც კი შეიძლება მიიღოს. მერე ისევ მოშივდება და იწყებს გამომცემლის მოსატყუებელი ამბის მგონებას. თუ ამ გამომცემელმა წინა წიგნით ხალხიც მოატყუა, ხო კიდევ დაუბეჭდავს, თუ ვერა და მაშინ მოუწევს მწერალს საქმიანობის შეცვლა. ეხლა ვაპირებ ამ სადისტი პაპაჩემის ამბით გამომცემლის მოტყუებას. როგორც ვთქვი, ეს პაპაჩემი დედაჩემის მამა იყო. დედაჩემის დედა, ანუ ბებიაჩემი კი, რომელსაც პატარაობიდანვე ბებოს ეძახდნენ, დედაჩემზე მშობიარობას გადაყვა, ზუსტად იმ დღეს, როდესაც გაიგო, რომ ქმარმა ძმა დაუხვრიტა. მაგრამ ეს ამბავი ცოტა უფრო გვიან მოხდა, ვიდრე ის ამბავი, რომელიც სიკვდილის წინ, ნაძირალა პაპაჩემმა მომიყვა.

მეც დავიკიდე, - ავდექი და დავწერე, თან ეფექტური სათაურია, დედაჩემის მამა ჯალათი - მგონი ჭამს გამომცემლობა. შეიძლება ცოტა ფულიც მომცენ. ისეთი რალაცეებია, ვინ დაიჯერებს რო მართალია, თან ვინ დამიჯერებს, რომ მართლა პაპაჩემზე ვწერ. ისე, ის ჩემი ნაცნობი არ მოიქცა კარგად, მაგრამ ყველა მე ხომ არ მგავს. მე ბავშვობიდან მიჩვეული ვარ და არ მალიზიანებს, იმისთვის კიდე როგორი მოსასმენია, როგორ ხვრეტდა ეს დედაჩემის მამა ხალხს და თან ამას სიამოვნებით რომ მოყვები. ჰოდა, გადაირია მთვრალზე კაცი და... მესმის იმისიც. ჩემმა ნათესავებმა კი ვერ გაუგეს და ისე სცემეს, პოლიციის და სასწრაფოს გამოძახება მომიწია. იმ ჩემი შორეული ნათესავებისაც მესმის.

## „პატარა გორი დიდია..."

1920 წელი იდგა. ერთ წამი დასჭირდა ღვთის რისხვას, - გაუგონარი ძალით შეანჯღრია, ჩამოიქცია და ჩამოამხო ეს ერთიბეწო ქალაქი გორი. დიდი ბელადის, პატარა მშობლიურ ქალაქში, ერთადერთი სახლი გადარჩა მაშინ. ამ გადარჩენილი სახლის პატრონი თავზეხელაღებული უცხოელი ყოფილა, ზოგი ამბობდა იტალიელიაო, ზოგი პოლონელიო და ზოგიც რას და ზოგიც რას. ამ თავზეხელაღებულის პაპას რა დამსახურება ჰქონდა იმპერიის წინაშე არავინ იცოდა, მაგრამ თვით რუსეთის იმპერატორს უჩუქებია ხუთი სოფელი, მერე როგორც იციან ამ უცხოელებმა - ქართველი ცოლი მოუყვანია და როგორც ქართველმა ცოლებმა იციან, მართლმადიდებლობა მიაღებინა და სულ გააქართველა ეს კათოლიკე კაცი. იმ იმპერატორის შემდეგმა, თუ კიდე შემდეგმა იმპერატორმა, ბატონყმობა კი გააუქმა, მაგრამ თავზეხელაღებულის პაპას ვაზის ზვრები დარჩენია. ჰოდა, ყოფილი ყმები თავის ზვრებში დაასაქმა და მოზრდილ ჯამაგირსაც უხდიდა. ფრანგებისგან ნასწავლი ტექნოლოგიით აყენებდა საუკეთესო ქართულ ღვინოს და უცხოეთში ყიდიდა, - პეტერბურგის და პარიზის და ვენის და ლონდონის და კიდევ სად არა, რესტორნებში დალევდით მის ღვინოს. მისმა თავზეხელაღებულმა შთამომავალმაც გააგრძელა წინაპრის ღვინის საქმე, მარტო კი არ გააგრძელა, გვარიანად გააძლიერა, თუმცა როცა თვრებოდა, სოფლები ისევ თავისი საგვარეულოსი ეგონა. ჩამოუვლიდა და ისევ ძველებურად აწიოკებდა გლეხობას. შემოსავალს დახარბებული გლეხობაც ძალიან არ ერჩოდა და თავაშვებულობასაც აპატიებდნენ ხოლმე. ერთხელ, ერთი გლეხის გოგოს დაადგა თვალი და ძალით იხმარა. ისეთი ლამაზი იყო ის ქალი, ისეთი ლამაზი, მეორეთაც მოუნდა, მერე მესამეთაც... და ცოლად მოიყვანა, - ესე გაჩნდა თედო. იმ დროს გარყვნილების არავინ არაფერი იცოდა. პეტერბურგსა და ევროპაში ნათრევმა გაქართველებულმა თავზეხელაღებულმა ისეთები ასწავლეს თედოს დედას, რომ ბარე ცვედან ეშმაკს შეაცდენდა. ცოდვა გამხელილი სჯობია და თედოს დედაც კარგი მოსწავლე გამოდგა. ამ პატარა ქალაქში თედოს დედას და თავადიშვილის ლოგინის ამბებს თურმე ყველა იგებდა, ისე ხმამაღლა და მოურიდებლად ყვარობდნენ ერთმანეთს. ამ სახლის ახლოს ჩავლისას, მღვდლები პირჯვარს იწერდნენ და სამეზობლო ცდილობდა მათ მხარეს ფანჯრები ამოეშენებინა. თედოს მამა თედოს დედას მოცალეობის და სიყვარულისგან დასვენების ჟამს წიგნებს უკითხავდა, მერე წერა-კითხვაც ასწავლა. „ანა კარენინას", „შაგრენის ტყავის", „წითელი და შავის", „პარიზის ღვთისმობლის ტაძრის" კითხვით აღელვებული ქალის ალერსით დაწყნარება უწევდა ხოლმე, სანამ მთავარი ამბავი არ დაიწყო.

მთავარი ამბავი კი მაშინ დაიწყო, როცა რუსეთიდან მოთრეულმა წითელი ბოლშევიკების სამხედრო ნაწილებმა გორის მაზრა დაიპყრეს. არა, გორის მაზრა კი არ დაიპყრეს, საქართველო დაიპყრეს და გორის მაზრაში შეხროვდნენ. იქაურობის გამაგრება დაევალათ. აბა რა იქნებოდა, გორი ხომ დიდი ბელადის ქალაქი იყო.

თან დიდ ბელადს ეთქვა, პირველი რასაც ვიზამ, მიწისძვრისგან პირწმინდად დანგრეულ ჩემს ქალაქს ალვადგენ, მაგათ ჩასვრილის გამოსწორება ჩვენ გვიწევსო. სოციალ- დემოკრატები ხო არ ვგონივართ ვინმეს, ეხლა ნახეთ მშენებლობა როგორი უნდაო. თედოს თავზეხელაღებულ მამას ბოლშევიკების მოსვლა დროებითი ჰგონებია და ისე გაუგრძელებია თავისი ყოფა, ნარბიც არ შეუხრია. აი, კონკრეტულად ამ დროს გაჩენილა თედოც. სანამ ბოლშევიკები გაერკვნენ ვინ ვინ იყო, თან დანგრეული ქალაქის აღდგენაზეც დაკარგეს დრო, ორი წელიც გავიდა. მერე გაიკითხ- გამოიკითხეს და ყველა არასანდო „ელემენტს" მიადგენენ. აბა, აქ ჩვენზე თავზეხელაღებული ვინ არიო? რა თქმა უნდა, ერთ-ერთი და, სავარაუდოდ, ერთადერთი, თედოს მამა აღმოჩნდა. მივიდა წითელი კომისარი თედოს მამასთან და უთხრა, ეგ შენი სახლი რევკომისთვის მინდაო. რაო? ვერ გაიგო თედოს მამამ. რაო და შენი სახლი მაგარი ნაშენებია და ახალგაზრა სახელმწიფოს „სჭირ......"- ის თქმა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოასწრო, „დებაო..."- ზე ისეთი მოხვდა ყბაში, თედოს დედას გათავებისას არ უთეთრდებოდა ისე თვალები, ამ წითელ კომისარს რომ აუტრიალდა გუგები და გადაუთეთრდა. დუჟმორეულმა წითელმა კომისარმა, იქვე, სახლის კედელთან, სისხლნარევი ნერწყვით წითელ, ქიმიურ ფანქარს წვერი დაუსველა, ახლადნასწავლი ასოებით ბრძანება დაწერა და ამავე ბრძანების საფუძველზე, თედოს მამა საკუთარი სახლის კედელთან მიახვრიტა. მაშინ თედო 2 წლის იყო. ამ წელს დიდი ბელადი დიდ ბელადად აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ წითელმა კომისარმა სისხლში ჩაახრჩო აჯანყება და გმირად დაბრუნებულმა, ქალაქის ყველაზე ლამაზი ქალი მოიყვანა ცოლად. თან ეკუთვნოდა, ბოლოსდაბოლოს მან დახვრიტა ქალის თავზეხელაღებული ქმარი. ცოტა ხანში რაღაც შეიცვალა წითელ კომისარში. ჯერ იყო და მთვრალი დებოშების ატეხვა დაიწყო, ერთი- ორი კაცი უმიზეზოდ მიახვრიტა ქალაქის ცენტრში, - სულ გადაირია, უბედური. კაცმა არ იცის რა ხდებოდა თედოს დედასა და კომისარს შორის, მაგრამ ზუსტად ორი წლის შემდეგ, წითელი კომისარი ღვდლად აღიკვეცა და ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ზუსტად ისევე მოექცნენ, როგორც თვითონ მოექცა თედოს მამას. ორი ჯარისკაცი და ერთი ისეთივე, ოღონდ სხვა წითელი კომისარი გამოჩნდა ქალაქში. ეს კომისარი სპეციალური დავალებით გამოეგზავნათ, - გაერკვია როგორ აღიკვეცა წითელი კომისარი ღვდლად, რატომ ლანძღავდა დიდ ბელადს და ზომები მიეღო. დაიღრიალა ახალმა კომისარმა, ცეცხლიო და ჯერ ერთი ტყვია გავარდა, მერე მეორე, არ მოკვდა მღვდელი. ღმერთი სამებით არის - გიჟივით უთხრა კომისარს, მესამეც მესროლე, გენანება? - გადაირია ისეთივე სხვა წითელი კომისარი, ამოიღო საფოსტო ნაგანი და გულში დაახალა. ტყია ჯვარს მოხვდა, აისხლიტა და ბრძანების გამცემ კომისარს შიგ თვალში დაეჯახა. სიმწრისგან კბილები გააკრაჭუნა სპეციალური დავალებით გამოგზავნილმა კომისარმა და ნაგანში ჩარჩენილი ოთხი ტყვია კიდევ უფრო დაუნდობლად ესროლა. ოთხივე ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა ნაბოლშევიკარი მღვდელი.

წითელმა კომისარმა თვალი აიხვია და ზედმეტი სახელიც დაერქვა, ჯვარნაკრავი. ჯვარნაკრავი ძალიან კერკეტი გამოდგა, მის სისასტიკეს შორს გაუვარდა სახელი. ჯვარნაკრავის გარეშე ამ ადგილებში ჩიტი ვერ აფრინდებოდა. იმასაც კი ამბობდნენ, ერთხელ სტალინი ჩუმად ჩამოვიდა თავის ქალაქში და ჯვარნაკრავს შეხვდაო, იმას კიდე პირობა მიუცია, თქვენ ქალაქს დავიცავ სიცოცხლის ბოლომდეო. მადაც მსუყე აღმოაჩნდა ჯვარნაკრავს, - დიდი ბელადის პატარა ქალაქში, ყველაზე ლამაზ ქალს მის გარეშე ვერავინ ვერაფერი გაუბედა და თედოს დედამაც, თითქოს მას ელოდა, უსიტყვოდ მიიღო სტუმარი. ერთის მხრივ თავისი ქმრის მკვლელის მკვლელისადმი მადლიერებასავით კი გამოუვიდა.

ამასობაში ათი წლის გამხდარიყო თედო.

თედო გულჩათხრობილი იყო, სასწავლებელში ვერაფრით შეენყო ტოლებს. ისე, რომ ითქვას, არც არავინ აწუხებდა.

სულ ერთხელ შეხვდა თედო ჯვარნაკრავს. არა, თვითონ არ შეხვედრია, - ვერც კი მიხვდა როდის მოახერხა ჯვარნაკრავმა მის ოთახში შესვლა, წიგნების დათვალიერება და შეცვლა. დედა ისედაც ხმაამოუღებელი ქალი იყო და სულ დამუნჯდა, მარტო ის უთხრა - არც მე ვიცი როდის და როგორ მოახერხაო. ყველა ის წიგნი, რომელიც თავზეხელაღებულმა მამამ დაუტოვა, გამქრალიყო. სამაგიეროდ, სულ ახალი წიგნები ელაგა. ახალ წიგნებში ახალ ცხოვრებაზე ეწერა. ლექსებშიც, მოთხრობებშიც და ყველაფერშიც - არ მოეწონა თედოს ეს ახალი წიგნები, მაგრამ სხვა აღარ იყო და ნელ- ნელა ამ წიგნების კითხვას შეუდგა.

ჯვარნაკრავზე ჭორაობას ვერავინ ბედავდა, მაგრამ ყველამ იცოდა, როცა თედოს სახლიდან ხმამაღალი კვნესა ისმოდა, ესეიგი ჯვარნაკრავი თედოს დედასთან იყო სტუმრად. მეორე დილით ქალი გარეთ არასოდეს გამოდიოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ერთი კვირისთვის საკმარისი საჭმელ-სასმელი და სახარჯი ფული ჰქონდა... და მეორეც, ვერ უძლებდა ადამიანების მზერას, ეგონა, ყველა იქ უძვრებოდა, სადაც წუხელ ჯვარნაკრავი იყო. არადა, მართლა ეგრე იყო. ერთხელ თედოს, მეზობლის პატარა გოგომ, მაკრინემ სახლობანას თამაშისას უთხრა, შენ ქმარი ხარ და მე ცოლი, - აი, როგორც ჩემი დედიკო და მამიკოო. აი, როგორც შენი დედიკო და ჯვარნაკრავი ბიძიაო. თედო ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა პატარა გოგო, მაგრამ მაკრინეს დედამ, რომელიც იქვე საეცხს რეცხავდა, უცებ მიყარა ყველაფერი და შვილი სახლში მუჯლუგუნის კვრით შეათრია. სად იყო და სად არა ჯარისკაცები გაჩნდნენ და მაკრინეს ხელებგაკოჭილი დედიკო და მამიკო სადღაც წაათრიეს. ცოტახანში უკან მოიყვანეს. იმავე დღეს მთელი ოჯახი დროგზე დაჯდა და სხვაგან წავიდა. აღარასოდეს უნახავს თედოს პატარა მაკრინე. თვალცრემლიანი გოგო დროგის კოფოზე იჯდა და თედოს ხელს უქნევდა, დედამისი ჩუმჩუმად ცრემლებს წმენდდა, თვითონ კი ცდილობდა უაზროდ გაეღიმა, თითქოს ყველაფერი კარგად იყო. პირველად, სწორედ ამ დროს იგრძნო თედომ, რომ აღელვებისგან ფეხებს შორის, ის პატარა ხორცის ნაჭერი გაუმაგრდა. ჯერ დაუთბა ფეხებშუა, მერე ეს სითბო მთელ ტანში წამოუვიდა და სიამოვნების ტალღამ ცოტა ხნით გონებაც კი დაუბნელა. არა, კი არ დაუბნელა, მაკრინეს წასვლის სევდა შეუმსუბუქა. თან ძალიან შერცხვა თედოს, თან ძალიან ესიამოვნა და ვერ გაარკვია რომელი სჯობდა. გრძნობდა, რომ რაღაც უშველებელი და მთავარი იკავებდა მის სხეულში ადგილს.

თედო იზრდებოდა და ბიჭობიდან კაცობაში გადასასვლელ ბარიკადებზე დგომა უწევდა. უკვე ხვდებოდა, რატომ კვნესოდა ხმამაღლა დედა, როცა მათი სახლის წინ სამხედროები მომრავლდებოდნენ ხოლმე. ისიც იცოდა, რომ მეორე დილას

ეროვნული

სამზარეულოში უამრავი გემრიელი საჭმელი დახვდებოდა. მერე, საჭმელი ნელ-ნელა აკლდებოდა და ცოტა ხანში, როდესაც სახლთან ისევ შენიშნავდა სამხედროების სიმრავლეს, ზუსტად იცოდა, რომ მომდევნო დღიდან კვლავ გემრიელად შეჭამდა.

სამ თვეში ერთხელ, გორში ცნობილ მეწაღე და მკერავ, სომეხ სედრაკასთან მიჰყავდა თედო დედას. თედოსთვის ხან ახალ ტანსაცმელს აკერინებდა, ხან ფეხსაცმელებს შეაკეთებინებდა ხოლმე. სედრაკას ცოლი, ფამფამა სირანა, დედას კაბებს უკერავდა. სწრაფად მუშაობდნენ. თითოხელ ტანსაცმელზე, ორჯერ მისვლა სჭირდებოდათ დედას და თედოს, ანუ წელიწადში რვაჯერ -ცხრაჯერ უწევდათ მისვლა. სედრაკასთან ერთი პატარა გოგო ელოდებოდა თედოს, პატარა კარინა. არა, გოგო კი არ ელოდებოდა, თედო ელოდებოდა კარინასთან შეხვედრას. დაინახავდა ამ შავტუხა გოგოს და მთლიანად იცვლებოდა, სადღაც ქრებოდა გულჩათხრობილი თედო და იბადებოდა მხიარული, გაბედული, ენერგიული თედო, რომელიც თითქოს არასოდეს არ ყოფილა სევდიანი, თითქოს არასოდეს გაუგია გვერდით ოთახში დედის და ჯვარნაკრავის ხმები. თითქოს არასოდეს უბრძოლია შიმშილთან, ჯვარნაკრავის მოტანილი გემრიელი საჭმელი რომ არ ეჭამა, მაგრამ ვერ უძლებდა ცდუნებას და პირველი მძიმე ლუკმის შემდეგ ნთქავდა და ნთქავდა თავის პატარა ღირსებას. აი, ეს ყველაფერი, კარინას რომ დაინახავდა, ქრებოდა. ისეთი კარგი გოგო იყო კარინა, იმდენად ლამაზი და უცნაურთვალება, ბუთქუნა ტუჩებიანი. ჩითის კაბაში გამოკოპწიავებულს საოცარი სუნი ჰქონდა, ისეთი გადაკისკისება იცოდა... აი, თოვლი რო მოდის და გარშემო ყველაფერი ლამაზდება, - ის ახსენდებოდა ხოლმე თედოს. რახან ასეთი დღესასწაული იყო ეს პატარა გოგო, ამიტომაც ღმერთმა მისი წაყვანა მოინდომა, ოღონდ ეგრე პირდაპირ კი არ წაიყვანა, მამამისის სამკერვალო დაინვა და იქ ნაჭრების თოფებში ჩაძინებული ჩარჩა კარინა. თედოსაც ძალიან უყვარდა კარინასთან ერთად იმ ნაჭრების თოფებში კოტრიალი. იმ ლურჯ- წითელ ყვავილებიან თოფებში, სედრაკა რომ ძალიან უფრთხილდებოდა და მხოლოდ განსაკუთრებულ ქალებს შეეძლოთ ამ ნაჭრისგან კაბების შეკერვა. ეტყობა თედოს გარეშე იკოტრიალა და მერე ჩაეძინა. ყველა სომეხი მკერავის სახელოსნოსკენ გარბოდა. თედომაც სწორედ მაშინ მიირბინა, როცა მკერავი და იმისი მსუქანი ცოლი ნახშირის გროვას დასტიროდნენ, იმ გროვას კარინეს სუნი ასდიოდა, ოღონდ აი, ისე, - საჭმელი რომ მიეწვებოდა ხოლმე დედას ქვაბზე და გემრიელი სუნი და დამწვრის სიმწარე ერთდროულად რომ იფრქვეოდა. ვერაფრით მიხვდა თედო, ეს ნახშირის გროვა ის სხვანაირსუნიანი, შავგვრემანი გოგო როგორ უნდა ყოფილიყო. არც დაუჯერებია, მაგრამ კარინა რომ დაიკარგა, იმან ძალიან, ძალიან დაასევდიანა და კიდევ უფრო გულჩათხრობილი გახადა. თვითონ ვერ ხვდებოდა, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ჯვარნაკრავის დატოვებული სანოვაგის ჭამისას ღირსებას აღარ შეუწუხებია, უბრალოდ ნთქავდა და ნთქავდა... და ისიც არ იცოდა, რომ კარინას დაკარგვის მიზეზი სულ შემთხვევით ჯვარნაკრავი იყო. თავის სალდათებთან ხუმრობით თქვა, ეგ სომეხი მკერავი უნდა გადავბუგო, ძვირად შემიკერა გალიფეო. სოციალ- დემოკრატ ნოე რამიშვილზე ნაკლები კი არ ვართ ბოლშევიკები, დედაბუდიანად გავათესლებ სომხებს და მაგის სამკერვალოთი დავიწყებო. მაგათ ყველგან თავისი ქვეყანა ჰგონიათ, სადაც სახლს ააშენებენ, თუ ცოტა არ შეაშინეო. ჩლუნგი რუსი სალდათები ვერ მიუხვდნენ ქარაგმულ ნათქვამს და ყოველ შემთხვევაში მაინც შეასრულეს დავალება, შეუსრულებლობა ხო უფრო ცუდი იქნებოდა და მეორე დღესვე ნასადილევს, ნავთი მიასხეს და ცეცხლი მიუკიდეს სედრაკას სახელოსნოს.

ჯვარნაკრავს კი გაუკვირდა, უი რა მალე აუხდა ჩემი ნათქვამიო, თავი გადააქნ- გადმოაქნია სინანულით და წავიდა. სალდათებმა დავალება შესრულებულად ჩათვალეს, თუმცა არავისთვის უთქვამთ, ჰოდა, მათ გარდა ეს არავის გაუგია. ისე, სად იტყოდნენ, ან როგორ. კაცმა არ იცის საიდან მოაგროვა ჯვარნაკრავმა, ხუთი მაინცდამაინც ენამოჭრილი სალდათი, - ზოგისთვის მტერს რომ მოეჭრა ნამების დროს და ზოგისთვის ომის ქარცეცხლს.

დედამ ახალი მკერავი იშოვა.

მას მერე თედო ჯერ თერთმეტის გახდა, მერე თორმეტის. ჯვარნაკრავი ისევ დადიოდა მათთან და თედომ უკვე იცოდა, რატომ. ერთ ღამეს, ცამეტის რომ იყო უკვე, თესლადაც დაილვარა და მიხვდა, რომ სასწაული მოხდა მის ცხოვრებაში. ძალიან რცხვენოდა, როცა ჯვარნაკრავის მოსვლისას, დედის ხმამაღალ კვნესაზე ინთებოდა და ოფლად ილვრებოდა. ერთხელ, ეს ხმა რომ არ გაეგო, სახლიდან გარეთ გამოვარდა. იქვე მისი კბილა ბიჭები გრძელ ვირს თამაშობდნენ, თავისდაუნებურად ჩაერია თამაშში, მაგრამ მშობლებმა ხელი მოკიდეს შვილებს და მოარიდეს. დარჩა მარტო. გაღიზიანებული... ყელში და მუცელთან ხაოიან და მჟავე ტკივილს გრძნობდა და არ იცოდა, რომ ამ ყველაფერს შეურაცხყოფა ერქვა... ძალიან არ მოეწონა ეს გრძნობა. არც სახლში შესვლა არ მოუნდა. იჯდა, იჯდა, მერე სახლში შეიპარა. ჩუმად მიადგა კარადას, სადაც დედა ფულს ინახავდა, ხელში რაც მოხვდა, ჯიბეში ჩაიკუჭა და გაიქცა. სირბილით მივიდა სარკინიგზო სადგურში და სალდათებით დატვირთულ მოჩაქჩაქე მატარებელს დაელოდა. დაღამებისას მატარებელი შემორიხინდა.

თედო ჩუმად ახტა თივით გატენილ ვაგონში. ვაგონში ერთი ვირი დაებათ. მატარებელი ნელა დაიძრა.

სატვირთო ვაგონში თედოსავით უვნებელ ვირს და ვირივით უვნებელ თედოს ერთად ეძინათ, თუმცა ვირმა ნიხლი მაინც იცოდა, თედოს კი ჯერ პანღურიც არ ამოეკრა არავისთვის. მერე მოვიდა ბრაზიანი სალდათი, თავიდან თედო ვერ დაინახა, ვირს

თივა დაუყარა და წასვლას, რომ აპირებდა, უცებ მობრუნდა და თივის შეკვრასთან მიძინებულ თედოს წაადგა, მოკიდა ხელი და მოჩაქჩაქე მატარებლიდან გარეთ გაისროლა მძინარე ბიჭი. თედო ბალახზე და ტოტებზე დაცემამ გააღვიძა, სანამ გონზე მოვიდოდა, მატარებელის ბოლო ვაგონმა ნელა ჩაირიხინა. ჯერ არ გათენებულიყო, ცის კიდე ოდნავ შეელება ქვეყნის მეორე მხარეს ჩამალულ მზეს. ალიონის სუსხი ტანს უკანრავდა ისედაც დაკაწრულ და დასუსხული თედოს. ცოტა ხანი გაბრუებული იჯდა ბალახებში. მერე წამოდგა და გზის ძებნა დაიწყო, სადღაც ელექტრონის ნათურა ბჟუტავდა, სადღაც ცეცხლის ალი ციმციმებდა. ცეცხლის ალისკენ წავიდა. კოცონი დაენთოთ ტყეში. კარგად ნაცნობ ამბავს წაადგა და შეშინებული მიწაზე გაერთხო. სამ ფარაჯიანს ერთი წვერიანი კაცი ხესთან მიეყენებინათ და თოფები მიეშვირათ. მეოთხემ კოცონის ალზე ჩირაღდანი გააღვივა და იქაურობა გაანათა. წვერებიანს, ერთ დროს ალბათ თეთრი, ახლა უკვე სისხლშემხმარი პერანგი ეცვა. ჩირაღდნის სინათლე წვერებიანსა და თოფიანებს შორის გათხრილ ორმოსაც ანათებდა, ჩირაღდნიანმა „მიდითო" - ჩაიბუტბუტა და სამი ტყვია გავარდა. თედომ გონება დაკარგა და ვინაიდან იწვა და ვერ წაიქცეოდა, მისი გულის წასვლაც არავის შეუმჩნევია.

თვალი რომ გაახილა, უკვე გათენებულიყო. მის თავთან პატარა გოშია ნამოსკუპებულიყო მის თავთან და დილის შეციებულზე ცხვირს ულოკავდა. გოშია წამოხტა და გაიქცა. მოშორებით გაჩერდა და შეუყეფა. თედოს მომხდარი ნაწყვეტებად გაახსენდა და მიწაყრილი რომ არა, ვერც დაიჯერებდა რა ნახა. მიწაყრილზე შედგა, ტერფის წვერით გაქექა, თითქოს უნდოდა ენახა ქვეშ რა იყო. გოშიამ კიდევ ერთხელ შეუყეფა და თედოც გაჰყვა. ციოდა, მაგრამ ძალიან არ დარდობდა, რაც მთავარია, გადარჩა და გოშიას კი არა, მცურავს გაყვებოდა ამწუთას, ოღონდ სადმე მისულიყო. რატომღაც ყურში ჯვარნაკრავის და დედის ხმები მოესმა, გული აუჩქარდა შიშისგან და თვალების ცეცება დაიწყო, მაგრამ მიხვდა, რომ მოეჩვენა და დამშვიდდა. გოშია ცქმუტვა- ცქმუტვით გარბოდა წინ და უხაროდა რომ თედო უკან მიყვებოდა. კუდს უქიცინებდა დაზოგჯერ ფეხებშიც ებლანდებოდა, უკანა ფეხებზე შეხტებოდა ხოლმე და ცდილობდა, ხელები აელოკა. თავქვეზე, ტყე- ტყე, სირბილ-სირბილით ჩავიდნენ და სოფლის დიდ გზაზე აღმოჩნდნენ. გზის იქით იყო მდელო და მერე ტყე. მდელოზე დიდი ბაზარი გაშლილიყო, ერთბაშად აყაყანებულიყო უამრავი ადამიანი. იყიდებოდა ყველაფერი - საქონლით დაწყებული, სხვადასხვა ზომის შიბაქებით დამთავრებული. ჭურჭელი და ხილი, ღვინო და თხილი, ტანსაცმელი და ქალამნები, ცხენი და ცხვარი, ყველი და ნაზუქი. ვიღაცა მახინჯ, პატარა, დასახიჩრებულ კაცსაც ყიდიდა, კარგად თხრის ორმოებს და სულ არ ჭამსო. თედოს არასოდეს არ ენახა ასეთი რამ, გაკვირვებისგან თუ ემოციისგან მოშივდა. რუსი წითელარმიელი სალდათები დილიდანვე დამთვრალიყვნენ და ხან ვის ეტორღიალებოდნენ, ხან ვის უხირდებოდნენ. გლეხები არაყს და ღვინოს ასმევდნენ, რომ ბოლომდე გალეშილიყვნენ და მიეძინათ, ისინი კი, არ წყნარდებოდნენ და დაღრიანცელობდნენ. განსაკუთრებით ერთი ინევდა ქალებზე, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. თედოს გაახსენდა, რომ ფული ჰქონდა. ჯიბიდან ერთი ბლუჯა ამოიღო, თითქოს იცოდნენო, - უცებ შემოესივნენ ჩურჩხელების გამყიდველები, ნაზუქები მოურბენინეს, ვიღაცამ ფიალით ბადაგი მიაწოდა, - ნახე რა გემრიელია, - დაგალევინებო. ზონზროხა ქალმა ყველი და ცხელი პური მოუტანა. ცხელი პურის სუნმა გააშტერა, - უუუჰ, ისე მოშივდა რომ კუჭი დაეწვა. მოკიდა თუ არა ცხელ პურს ხელი, კიდევ უფრო უარესი ჟრიამული ატყდა მის გარშემო. სად იყო და სად არა, რუსი სალდათებიც მოეხეტნენ: „ნუ ჩტო ზა ბარდაკ ბეზ ნას ნახუია" - იღრიალა ერთმა და ჰაერში გაისროლა და თედოს გარშემო ხალხი მიყარმოყარა და თვალები გაუფართოვდა: „ეე, ხალოოპ ატკუდა დენგი, პიზდანულ უ კავო???". „კურდა, კუუუურდააა... ლავი ვარაა" - იყვირა მეორე სალდათმა დაჩეხილი ქართულით და ფულის წართმევა სცადა. თედო ინსტინქტურად გვერდით გადახტა, მთვრალმა სალდათმა თავი ვერ შეიკავა და წაიქცა. თავისივე თოფს ზემოდან დაეცა, თოფი გავარდა და ტყვია მესამე სალდათს მოხვდა. სალდათები გაშმაგდნენ, ერთ-ერთმა თმებში მოკიდა თედოს ხელი და წათრევა მოუნდომა. თედოს ფული ჩაებღუჯა და ძალიან ძალიან მოუნდა ჯვარნაკრავი გამოჩენილიყო და დედა ეტირებინა ამათთვის. ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მთვრალი სალდათი ძალიან ღონიერი იყო და... და უცებ იბღავლა და წაიქცა, კანჭზე გოშია ჩაფრენოდა პატარა წვეტიანი ეშვებით და არ უშვებდა. მეორე სალდათმა დაჭრილს თავი მიანება და გოშიას თოფი დაუმიზნა, თედომ თოფიანს ხელი კრა, გავარდნილი ტყვია მიწაში ჩაესო და მტვერი ავარდა. ფულჩაბღუჯული თედო ხალხში შევარდა დასამალად. სალდათებმა დაჭრილი მიატოვეს და გაეკიდნენ. თედოს თვითონვე უკვირდა, ასე მოქნილად და სხარტად რომ გაურბოდა მდევრებს. მკვირცხლად ახტებოდა დახლებს და დაძვრებოდა ხალხში. გარშემო გოშიას ყეფა, ხალხის ყაყანი და რუსი სალდათების გინება და ხავილი ისმოდა: „ლავი ვრაგა ნაროდაააა იობბბ ევო მატუშკუუუ" - და უცებ ყველაფერი გაჩუმდა. თედომ კიდევ ცოტა ხანი ირბინა, სიჩუმემ შეაწუხა, გოშიაც კი გაჩუმდა, მოტრიალდა და რას ხედავს, ხალხი ნელ-ნელა იშლება. თავიდან ეგონა, რომ ჯვარნაკრავი გამოჩნდა. რუსი სალდათებიც გაყუჩებულიყვნენ და მორჩილად, დასჯილი ბავშვებივით იდგნენ, ცდილობდნენ სიმთვრალე არ შეტყობოდათ. თოფები ზურგს უკან დაემალათ და გადიდებული თვალებით წარბებს ქვემოდან ერთ კაფანდარა გოგოს შესცქეროდნენ. გოგოს გრძელი ჩითის კაბა ეცვა, კაბა იყო ლურჯ-წითელყვავილებიანი, ზურგზე ორი დიდი ნაწნავი ეყარა, ფეხ-

ზე სანდლები ამოეცვა და კრიალა ხმა ქონდა. თედოს სახე არ დაუნახავს, ისე აუჩქარდა გული. გოგო ერთ-ერთი სალდათის წინ იდგა, თხელი ხელით ყვერებში ჩაფრენოდა და მთელი ძალით უჭერდა, სალდათი ყვირილსაც ვერ ბედავდა, ტკივილიგან კბილებს აკრაჭუნებდა. ცრემლები მოსდიოდა. წელში სულ ოდნავ მოხრილიყო, მთლიანად მოხვრასაც ვერ ბედავდა. დანარჩენები იდგნენ და ელოდნენ. ძალიან შეშინებულები იდგნენ და ელოდნენ.

თედო ნელ-ნელა მიუახლოვდა გოგოს, გოშიამ კი ლამაზი წვივები აულოკა. გოგომ, ისე, რომ თხელი თითები არ გაუშვია სალდათის ყვერებისთვის, თედოს შეხედა და პატარა, ბაფთასავით ტუჩებით გაუღიმა და წკრიალა კბილები გამოაჩინა. დიდი თაფლისფერი თვალები დაუფახულა და კითხა: „ეს მახინჯები მოგდევდნენ ხო? რა უნდოდათ შენგან?" - სალდათს გული წაუვიდა ტკივილისგან და ზათქანით დაეცა. გარშემო ხალხი გაყურსულიყო. მთელი ბაზარი, გაქვავებული ძეგლების მინდორს გავდა. ისმოდა მხოლოდ ქათმების, გოჭების, ვირების, ძროხების ჩუმი ზუზუნი.ვილაცამ დააბოყინა და ყველამ ხმის მიმართულებით ფრთხილად გააპარა მზერა, თავებიც კი არ მიუტრიალებიათ. გოგოს გაეღიმა, მანაც ნელა გაიხედა იქით და მერე თედოს დააკვირდა: - შენ ვინ ხარ? - კითხა.

- შენ?

- შენი საქმე არ არის, ამ მახინჯებს რაღა უნდათ შენგან?

- ფული.

- უი, ფულიც გაქ? აბა მაჩვენე?

თედო დაიძაბა, ჯიბისკენ ფრთხილად წაიღო ხელი, მაგრამ ფულის ამოღება არ უცდია.

დროზე მეთქი... მაჩვენე თორე... შენც ხო არ გინდა? - გოგო თედოსაც

წვდა ყვერებში, თედომ ინსტინქტურად გაიწია, მაგრამ ვერ გაექცა. გოგომ გაუღიმა და ძალიან, ძალიან ნაზად მოეფერა. ცოტა ხნით ხელი არ მოუცილებია, თვალებში უყურებდა და ულიმოდა. თედო მოითენთა, კუნთებში ძალა გამოეცალა, - ამას შეხედე რამხელა ცისფერი თვალები აქ... ლამაზი ხარ, ხო იცი... გული არ წაგივიდეს ბიჭო... უი, აუდგა - გოგომ ხალხს გახედა, სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, ქალებმა თვალი მოარიდეს, თავისთვის ჩუმად იწყევლებოდნენ, - ყლე აუდგაა!! - კიდევ უფრო ხმამაღლა თქვა. „უი ქაა, მოკვდი შენა" - ჩაიბურტყუნა ვიღაცამ. „რაა?" - იკითხა გოგომ, ხმაში ავისმომასწავებელი ჟღრიალი გაერია, მერე კეკლუცად და ბოროტად გაეცინა, თან მზერა მოავლო გაყურსულ ბრბოს, კმაყოფილება ეტყობოდა თვალს რომ არიდებდნენ.

ძალიან, ძალიან შერცხვა თედოს, გოგო კი ხელს არ აცილებდა.

კაი, არ მინდა შენი ფული, მშვიდად იყავ, ყველაფერი კოხტად არის, წამოდი ჩემთანა, გეშიება.

გოგო შებრუნდა და წავიდა. მონუსხული თედო უკან გაჰყვა: „არ გაყვე", „გამოიქეცი", „ცოდო ხარ", „ვაი შვილო" - ესმოდა ხალხის ჩუმი ვიშვიში. მიდიოდა გოგო და მიყვებოდა უკან თედო. გოშია ხან წინ გაიქცეოდა, ხან უკან რჩებოდა, ხან თედოს ებლანდებოდა ფეხებში და ხან გოგოს, ლამაზ წვივებში.

ჯერ მინდორი გადაიარეს, მერე ტყეში შევიდნენ, მერე ტყეს გასცდნენ, ისევ მდელოზე აღმოჩნდნენ. მდელოსა და ტყეს შორის მდინარე მოწანწკარებდა. მყარად ნაკეთებ ხიდზე გადაირბინეს. პატარა ბორცვს შემოუარეს და ხითა და ქვით ნაშენებ ლამაზ სახლს მიადგნენ. გოგო ჭიშკარში შევიდა. გოშია აცქმუტდა და აყეფდა, კუდის ქიცინით გაინავარდა ეზოში. ეზო ყვავილებით იყო სავსე და დიდი ნაძვები ჩრდილავდა. სახლი ორსართულიანი იყო. თედო გაოგნებული ათვალიერებდა გარშემო სილამაზეს. ერთ წიგნში ჰქონდა წაკითხული ესეთი ლამაზი სახლის შესახებ, სადიდო წიგნი იყო, ვერაფერი გაიგო, მაგრამ სახლი ახსოვდა. სინამდვილეში ასეთი სილამაზე სხვაგან არ ენახა, ან სად უნდა ენახა, გორის იქით არსად ყოფილა, ისიც სულ დანგრეული იყო. ჭიშკართან გაჩერდა და შესვლა ვერ გაბედა.

„შემო" - უთხრა გოგომ, თბილად და მკაცრად, - „შემო ვჭამოთ, მომშივდა". თედო გაუბედავად შევიდა, - ჯერ ეზოში, მერე ფრთხილად მიუახლოვდა სახლს. გოგო ზღურბლზე იდგა და ელოდა, როცა თედომ ჩაუარა, ზურგზე ხელი მიაყოლა და მიუალერსა, თედოს გააჟრიალა, - „ისევ აგიდგა ხო?" - ჩაიცინა გოგომ და შეყვა. სამზარეულოში, მეორე სართულზე ისეთი სუფრა იყო გაწყობილი, ჯვარნაკრავს არ დაესიზმრებოდა. მართლა ძალიან მოშიებოდა, ისე ძალიან, რომ სიმორცხვეც გაუქრა. მიუჯდა მაგიდას და ხორცის დიდი ნაჭერი აარჩია. მუჭით მარილი მოაყარა და იმხელა ლუკმა გაკბიჩა, დაღეჭვა და გადაყლაპვა გაუჭირდა. გოგო გვერდით ეჯდა და ნაზად ეღიმებოდა თედოს მადიან ჭამაზე, ერთხელ ზურგშიც კი დაკრა მუშტი, რომ ყელში გაჭედილი ლუკმა ჩაეყლაპა.

- ღვინოს დაჰლევ?

- არასდროს დამილევნია.

- დაჰლიე, გემრიელია.

თედომ წითელი ღვინო მოწრუპა, ესიამოვნა ციეი მომჟავო-მოტკბო ბლანტი სითხე. ხორცის ჭამა რომ მოამთავრა, ერთი ხელით კიტრი აიღო, მეორე ხელით ყველი და პური და ხრაშახრუშით შეჭამა. გოგომ ხმამაღლა გადაიკისკისა. საიდანღაც, შორიდან რაღაც ნაცნობმა გაიელვა თედოს ტვინში, მაგრამ კიტრის ხრაშუნმა გადაფარა და მასაც გაეღიმა. ღვინომ მოთენთა და სითამამემ შეუღიტინა, დაახლოებით ისე იგრძნო თავი, კარინესთან რომ გრძნობდა. თან გოგოს კაბა ხომ იმ ნაჭრის თოფებს გავდა, სადაც კარინესთან ერთად გორაობდა ხოლმე. მოიწყინა. გოგომ შეატყო და ზურგზე ხელი მოუთათუნა, კისერზე მოეფერა, პერანგში ჩაუცურა თითები და ოფლიანი მკერდი ხელისგულით მოუმშრალა.

- როგორ გაოფლილხარ, ხო არა ნერვიანობ... ისე მეცა ვნერვიანობ - გოგომ თედოს ხელი აიღო და მკერდზე მიიდო, ვაშლის ოდენა მკერივმა სილბილემ მთლიანად წაართვა ძალა თედოს, თხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჭრის ქვემოთ პაწაწინა ძუძუსთავმა ხელისგული დაუწვა. ჰადაჰა, დაჩქარებული გული გაუჩერდებოდა.

- მართლა კოხტა ხარ და ლამაზი, იცი? - უთხრა გოგომ, მკერდიდან ხელი მოიცილა, ადგა და გავიდა, სანამ გარეთ გავიდოდა, მოტრიალდა და ხრინწშეპარული ხმით მიაძახა, - ზემოთ, მესამე სართულზედ ერთი ღია ოთახია, საწოლიც იქ არის და წყლით სავზე სათლიც, დაიბანე და დაიძინე თუ გინდა.

არასოდეს ასე კარგად არ ყოფილა თედო; არა, თედო არასოდეს ყოფილა კარგად. გოგოს ძუძუები ცხელი, რბილი და მკვრივი, დასრიალებდნენ მის სხეულზე და ეძებდნენ მის ტუჩებს. ეს ბედნიერება არ იყო, ეს ყველაფრის მიღმა იყო და თედო ილებდა ამ ყველაფრის მიღმას, რასაც ეს ზღაპარი ჩუქნიდა - „ჩემო ყველავ, ჩემო ერთავ"- ეჩურჩულებოდა გოგო და თედოც არ ფიქრობდა, რატომ იყო გოგო მასსავით ბიჭი.

გოგომ ძალიან დიდი ხნის წინ გაარკვია, რომ გოგო იყო. პირველად, ერთმა ლამაზმა ბიჭმა მოსაფერებლად შეიტყუა ციხის ნანგრევებში და აღმოაჩინა, რომ გოგო ჩვეულებრივი გოგო არ იყო. ბიჭს შეეშინდა, ქალიც ხარ და კაციცო, - ეშმაკი ხარო, ვაიმეო, და ის-ის იყო სოფლის შეყრა დააპირა, რომ... გოგო მიხვდა, ჩაქოლავდა სოფელი. ერთხელ ერთი ქვრივი ქალი ჩაქოლეს. სასაფლაოზე ქმრის საფლავის გვერდით წოლილა. ხელებს იფათურებდა ფეხებშუა და კვნესოდა. მწყემსს დაუნახავს და მოუყოლია ხალხში. ჭინკააო, გადაუწყვეტია ხალხს და ჩაუქოლავთ... მეორე დღეს ის ლამაზი ბიჭი, გოგო რომ შეიტყუა მოსაფერებლად, ნანგრევების ძირში, ხევში, თავგახეთქილი უპოვიათ. ეტყობა თამაშში გაერთო და გადავარდაო, - დაასკვნა სოფელმა.

თედო პატარა და გამოუცდელი იყო. ქუჩაში ის არ გადიოდა, რომ იქ ტოლ ან უფროს ბიჭებს მაინც ეთქვათ, რა და როგორ ხდებოდა. გოგომ ადვილად დაარწმუნა, - გოგო, ბიჭი, ქალი, კაცი არ არსებობს და სულ ერთია ყველაფერი, ვინ როგორიაო. ნეტავ დედამისსაც თუ აქვს ესეთი? ნეტა ჯვარნაკრავი დედამისთან ესე იქცევა? - ფიქრობდა თედო. ბევრი კითხვა კი უჩნდებოდა, მაგრამ ყველაფერს ერთი ზუსტი პასუხი ჰქონდა: ბედნიერების ზღვარს გადაცილებული ზღაპარი. არასოდეს ასე კარგად არ ყოფილა თედო.

გავიდა ერთი თვე.

დროდადრო მათთან, მოახლე, შუახნის მუნჯი ქალი ჩნდებოდა. ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა გოგოსთან. თედომ ერთხელ ისიც კი შეამჩნია, ერთმანეთს ჩახვეულები რომ ტიროდნენ. ქალს მოჰქონდა საჭმელი, ულაგებდა, უმზადებდა და მიდიოდა. კვირის განმაელობაში ორი დღე ჩერდებოდა და მიდიოდა. მოსამსახურეა, იფიქრა მაშინ თედომ. მეოთხე თუ მეხუთე მოსვლაზე, დიდი ხნით ჩაიკეტნენ პატარა ოთახში. თედო შორიდან ხედავდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ხელებით, - ხან სიყვარულით და ალერსით, ხან დაძაბულად - სწრაფად და ენერგიულად. ქალი რომ წავიდა, გოგო თედოს ყურთან მოეფერა, პერანგში ხელი ჩაუცურა და როცა თედო მოითენთა, ალერსიანად ჰკითხა: „ჯვარნაკრავი რათ უნდა გეძებდეს, ჩემო ყველავ?"

მიუხედავად იმისა, რომ თედოს ორი დღე ალერსი არ ეგრძნო, უცებ გამოფხიზლდა.

- რა ჯვარნაკრავი?... რატო... რა ჯვარნაკრავი... არ მეძებს, სულაც არ მეძებს, რად უნდა მეძებდეს?

- დაწყნარდი, ჩემო ყველავ... მაინც გიპოვის და მაინც მოგკლავს, მანამ აქედან გახვალ. აქ ვინც შემოსულა, ცოცხალი არ გაუშვია... რო ვერც გადაგმალავ? აბა, სად უნდა გადაგმალო, ყველგან ის არი.

- და აქ რა უნდა... აქ რათა, რას მერჩის... და რა იცის რო აქა ვარ?

- მამაჩემია და იმიტო... და მამაჩემმა ყველაფერი იცის, მაგის დედა მოვტყან... ყველაფერი - კაცივით შეიგინა გოგომ, ხმაც კაცის ამოუვიდა, თან ავისმომასწავლებელი. გალიზიანებული გოგო, უფროდაუფრო იგზნებოდა და უფროდაუფრო ვნებიანად ეალერსებოდა. თედომ არ იცოდა დაყოლოდა ალერსს თუ წამომდგარიყო და გაქცეულიყო, იქნებ მოესწრო.

- საიდან გიცნობს?

- მიცნობს - და თედომ დამნაშავესავით ჩაღუნა თავი, თვალი ვერ გაუსწორა გოგოს.

- მოჰყევ საიდან, თორე ეხლავე გავაგებინებ რო აქა ხარ... - თედოს წამოახურა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა - თუ მეტყვი დაგმალავ, ითვალთმაქცა გოგომ.

თედოს სიმწრისაგან და გამოუვალობისგან ნიკაპი აუკანკალდა. გოგო მოეფერა, თავი მკერდზე მიიკრა, თედო მოეშვა, მოთენთა გოგოს ძუძუების სილბილემ და ყლე-ყვერის სიმკვრივემ.

- ვერაფერი ვიცი ...დედაჩემთან ...აი მე და შენ რო ...ისინიც.

- რაა? - ხელი კრა გოგომ - დედაშენის გამოისობით მიმატოვა?

- მე ვერაფერი ვიცი... რატო მიგატოვა?

- რატო? ერთ დღეს ეგრე წავიდა და აღარ მოვიდა, ფულს მიგზავნის მარტო ... და თუ გაიგო რო ვინმე შემიყვარდა მოდის და კლავს... კლააავს - ისევ კაცური ხმით იხავლა გოგომ - ეხლა შენც მოგკლავს, იმიტო რო ყოველდღე დედაშენსა ტყნავს - თედოს შეეშინდა გოგოს კაცური ხმის, გოგო უცებ ისევ მოლბა - ... შენაკიდევ, ... მე და... კიდევ... შენა... ჩემო ყველავ...

ცხოვრებაში პირველად თედომ სიბრაზე იგრძნო.

- ყოველდღე? სულაც არა ყოველდღე, მამაშენს მოჰკითხე... მე რა... მე არა... და ის კიდე... დედაჩემი... დამმალე ეხლავე - უცებ, ესეც ცხოვრებაში პირველად, ბრძანებით თქვა სიტყვები.

გოგო დაიძაბა. მერე მზაკვრულად გაეღიმა.

- გინდა რაღაც გაჩვენო, ჩემო ყველავ.

თედო ხმისამოუღებლად დათანხმდა. გოგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მოკიდა და წაიყვანა, ღობეზე გადავიდნენ და ტყისკენ გაუყვნენ, კარგა ხანი იარეს ბუჩქებში. გოშიამ ხუთჯერ მაინც მიასწრო ტყემდე მირბენ-მორბენა, ტყის პირას ვარდებით და ყვავილებით გადაპენტილ ბაღში შევიდნენ, ბაღში ბუჩქებსა და ყვავილებს შორის პატარა ბორცვები იყო და ზედ ქვები ელაგა, სხვადასხვა ზომის და ფერის ქვები, სასაფლაოს გავდა იქაურობა.

ჰო, ჰო, ეგრეა მაშ, სასაფლაოა.

თედომ მხრები აიჩეჩა.

- ეს არის ჩემი შეყვარებულების სასაფლაოები, აი ეს ნახე, ეს ყველაზე ძალიან მიყვარდა, ისეთი ლამაზი იყო... შენზე ლამაზიც კი... აი, ეს მხატვარი იყო, ყველაზე დიდი ხანი ვყვარობდი ამას. მამაჩემი წასული იყო, სტალინთან იყო წასული მოსკოვში და დიდი ხანი იმიტო ვიყავით ერთად, სანამ ჩამოვიდა და წავიდა 3 თვე გავიდა და... აი, ზემოთ ოთახში ნახატები რო ნახე ამის დახატულია, მთელი დღეები ჰხატავდა, მერე ვეფერებოდით ერთმანეთს, მერე ისევ ჰხატავდა, მერე ისევ ვეფერებოდით.... აი ესენი ორნი არიან ტყუპები - ორივეს ვუყვარდი, ორივეს იმხელა ჰქონდა... უუუ, რო მახსენდება... ტკივილიც კი კარგად მახსენდება.... რამდენნი არიან სულ იცი, ჩემო ერთავ?... მოიცა? - ერთი, ორი... ოთხი... ექვსი, შვიდი... თერთმეტი, შენ მეთორმეტე იქნები... აი ეს, ესეც სხვანაირად მიყვარდა და არც არავინ არ იცის რო აქ არი, ყველას გონია რო დაიკარგა, - იცი ვინ არი? აი, ბერია იცი?...? ჰო, აი, ბერიას მეგობრის შვილია... საზიზღარი სალდათია მამამისი, რუსია... თეთრი ოფიცერი... მეფის დროიდან ყოფილა ღენერალი. მთვრალი მამაჩემი ამბობდა, თავისიანები გაჰყიდა და ყველა დავხოცეთო... ეს რო ბერიამ გაიგოს რო მამაჩემმა შვილი მოუკლა, ეგრევე მიახვრიტავს .... კაი ბიჭი იყო... მამამისი მამაჩემთან გამოაგზავნა ბერიამ და იმას მოყვა. მამაჩემმა ერთი კვირის მერე შემოგვისწრო და აი, ნახე, სად მაქ ნახანჯლარი. სამჯერ იმას რო დაარტყა, მეოთხე ააცილა და მე მომხვდა... მეც კინალამ მოვკვდი, ის კიდე იქვე მოკვდა... უფრო იმაზე ბრაზობდა, იმის შვილი ჩემს შვილს არ უნდა სტყნავდესო... არადა მეც ხო ვსტყნავდი... მამამისმა დღესაც არ იცის სად დაეკარგა შვილი, დღესაც ეძებს, თან რევოლუციის დროს ერთადერთი შვილი გადარჩენია, სულ 5 ჰყავდა თურმე... მამაჩემი ისედაც ყველაფერში ჯობნის და ისიც რო გაიგოს, რო ერთადერთი გადარჩენილი შვილი მოუკლა... მამაჩემი კი იძახის ფეხებს ვერ მომჭამსო... შენ არ შეგეშინდეს, მე ვიცი როგორ გაგაქციო, რომ არ დაგიჭირონ... წამო სახლში ბოლოჯერ მომეფერე და გაგიშვებ.

გზად თედო აქეთ- იქით აცეცებდა თვალებს, იქნებ გასაქცევი ეპოვა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. გოგომ რამდენჯერმე გააჩერა, ხან შარვალში ჩაუძვრა, ხან ტუჩებში აკოცა, ხან ძუძუები ასრესინა. მერე კაბა აიწია, მასაც თედოსავით გამაგრებოდა, - მაკოცე, უთხრა. თედო ხელით მოეფერა. მაგრამ არ აკოცა.

- კაი, სახლში იყოს.

სახლში გოგომ მოულოდნელად ყბაში გაარტყა თედოს და დაეტაკა. თედომ წონასწორობა დაკარგა, გოგომ ისარგებლა და მაგიდაზე გადააწვინა, გახდა დაუწყო - ისე არ გაგიშვებ - თედო მალე მოვიდა გონზე. მოახერხა თავის დაძვრენა, ხელი ჰკრა და გოგო კარს მიეჯახა. თედო კართან ჩაკეცილ გოგოს გადაახტა და ის იყო გარეთ უნდა გავარდნილიყო, რომ ვიღაცას შეასკდა. კარში ჯვარნაკრავის სალდათი იდგა, არც იჭერდა, არც უშვებდა, იდგა გაუნძრევლად და არ ატარებდა. თედო შეტრიალდა და ფანჯრისკენ გავარდა, გადახტომა სცადა, მაგრამ იქაც სალდათი დახვდა. შებრუნდა ოთახში და სკამზე დაეხეთქა, - არც იმედგადაწურული, არც სასოწარკვეთილი, უბრალოდ დაეხეთქა და ჯვარნაკრავს დაელოდა. გოგომ, ჯერ როგორც გოგომ, ისე გადაიკისკისა, მერე როგორც კაცმა ისე გადაიხარხარა, თედოს მიუახლოვდა და შარვალში ხელის ჩაყოფა სცადა, თედომ არ დაუთმო, გოგომ ტუჩებში აკოცა, თედომ სახე მოარიდა, გოგომ ჯერ ტირილი დაიწყო და მერე სახეში ჩაარტყა, თედომ გოგოს ძუძუზე უკბინა, გოგო სიმწრისგან მთელი ტანით დაეჯახა თედოს, წააქცია და ზემოდან მოახტა. ცემა დაუწყო, არც თედომ დააკლო. ეს მისი პირველი ჩხუბი იყო.გოგო თან ეფერებოდა, თან ძალადობდა. თედო არ ემორჩილებოდა. გოგომ თედოს ძუძუები დაასრისა სახეზე, თედოს აუდგა, ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ძალას კარგავდა ალერსისგან. გოგო მიხვდა, რომ იმარჯვებდა. ყველაფერი უნდა მოესწრო, სანამ ჯვარნაკრავი მოვიდოდა და ზემოდან დააკლავდა შეყვარებულს. ნელ- ნელა შარვლის გახდა დაუწყო. ის- ის იყო პირში ჩაგუბებული ბლანტი ნერწყვით საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს მის ნებისყოფას და დაამარცხებდა, რომ კარი ხმაურით გაიღო. ჯვარნაკრავი თმებში ჩააფრინდა გოგოს და თედოს მოაცილა, ჩვარივით მიაგდო გვერდზე. თედოს ყურში ხელი მოკიდა, ნელა წამოაყენა.

- ნიფხავი აიწიე!!- მშვიდად დაუღრინა ჯვარნაკრავმა.

- უნდა მომკლა ხო? - თედომ შარვლის შეკვრა დაიწყო.

- ემაგას მე გადავწყვიტამ.

- ეგეც მოკალი, რატო არ კლავ?- იკივლა გოგომ - შენი ბოზის დაგდებულია და იმიტო ხო? მაგის დედის გამოისობით წახველი ჩვენგან ხო? მაგის გამოისობით მოაჭერი ენა დედასა, ჰო??? თუ არ მოგკლათ ორივე, ნახავ, ორივე კი არა სამივე უნდა დაგხოცოთ, - ეგეცა შენცა და ის ბოზიც.

ჯვარნაკრავმა თედო სალდათებს ჩააბარა, გოგოს თავზე დაადგა, სახეში გაულაწუნა ღონიერი, ბანჯგვლიანი ტორი:

ჰოდა, იმდენს იზამ შენც ჩაგათლი მაგ ენას და მერე მაგასაც მოგასერავ.

უხ შენიი - იკივლა გოგომ და ჯვარნაკრავს სახეში ფრჩხილები ჩაასო, -

ჯვარნაკრავი არ ელოდა, მაგრამ იმავე წამს, ჯერ ყელში ჩააფრინდა შვილს, მეორე ტორით ყელყვერზე წვდა და დაუნდობლად მოუჭირა. გოგომ

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცის ხმით იხავლა და ტკივილისგან სიბრაზე დაკარგა, მოწყდა, სახე გაუფითრდა, ტუჩები გაულურჯდა, თვალის გუგები გადაუთეთრდა და გულწასული დაეცა იატაკზე. ჯვარნაკრავმა ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მერე ლოყაში გაულაწუნა, გოგო მკვდარივით ეგდო, მომჩვარული. ჯვარნაკრავი დაიძაბა, კიდევ ერთხელ წაკრა ლოყაში და უცებ სუნთქვა შეეკრა, იბღავლა: „ეეე, ეეე, შვილოოოოო... ეეეეე... სოსო, იოსებ, სოსოოოო, მამააა!!!!" - ჯვარნაკრავმა ხელში აიტაცა გოგო, ორივე ხელით შეანჯღრია, კიდევ ერთხელ იბღავლა, უფრო სწორედ ვერ იბღავლა, ყელში შიშმოწოლილს ხმა წაერთვა, წყლით სავსე თუნგს სტაცა ხელი და შვილს თავზე დააცალა. იოსებ-გოგომ ტუჩები ააცმაცუნა, ჰაერის ჩასუნთქვა სცადა, ვერ მოახერხა, ჯვარნაკრავმა ზურგში ჩაარტყა ტორი, გოგომ ამოაბოყინა და სუნთქვა დაუბრუნდა. თვალები გაახილა. ჯვარნაკრავი წამოდგა, ოფლი მოიწმინდა, ხელების ცახცახი რომ არ შეემჩნიათ, მუშტებად შეკრა, დამშვიდდა და გარეთ გავიდა. სალდათებს უბრძანა, რომ თედო წამოეყვანათ და მანქანაში ჩაჯდა. სალდათებმა თედო გვერდით მიუსვეს. მანქანა დაიძრა.

გოშია ყეფა-ყეფით გაეკიდა, ერთმა სალდათმა თოფი გადაყო მანქანიდან და ბრმად გაისროლა, გოშია აწკმუვლდა. ჯვანაკრავი გაღიზიანდა. სალდათს ღონივრად ჩაარტყა თავში: რასა შვები, ეს არ მოვკალი და მაგას მოვკლამ?!

სალდათი დასჯილი ბავშვივით მოიბუზა. სანამ გოშიას წკავწკავი მანძილმა არ ჩაყლაპა, ჯვარნაკრავი ჩუმად იჯდა, კიდევ ერთხელ ნაუთაქა სალდათს და თედოს მიუბრუნდა:

შენა ხმარობდი თუ ისა, თუ ორივე ერთად, ერთმანეთსა?

რა?

ვერც მიხვდი ხო, შე საცოდაო... ვერ იცი ხო, სხვანაირად როგორა ხდება. ვერცა ხვდები ხო, ქალი რა არი? კაციტყანია კაცი რა არი, შე უბედურო შენა... ო რა ეშმაკი ბავშვია, ისე მოგტყნამს ვერც მიხვდები.

უნდა მომკლა?

არა, თავიდან არა, ჯერ ენა უნა მოგაჭრა... იქა, ხო ნახე ქალი რო იყო? იცი ვინ არი? სოსოს დედაა... ჩემი ცოლი რო არა ყოფილიყო, მოვკლამდი, მაგრამ ენა მოვაჭერი და გაჩერდა... ჰოდა ჯერ ენას მოგაჭრი და თუ არ გაჩერდები, მოგკლამ და მარტო შენ კი არა, იმ შენ დედაშენსაც ზედ დაგაყოლებ, ერთადერთი ხარ ვისაც, ჯერ არა ვკლამ... ემაგ ჩემ შვილს არ მოუყოლნია, რამდენი დავაკალი ტრაკზედ?

თედოს გული აუჩქარდა. უცებ ისე მოუნდა, ისე მოუნდა იოსებ-გოგოს მოფერება, აუდგა. გაახსენდა, როგორ ატოლებდნენ, - ვის უფრო დიდი ჰქონდა და როგორ იცინოდნენ ამაზე, გაახსენდა როგორ ეუბნებოდა იოსებ-გოგო, ზოგ ქალს აყროლებული ხვრელი აქ და არ ენდოო.

ეხლა მე შენა უნა გაჩვენო, რა უნა გააკეთოს ნამდვილმა კაცმა და რა არი ნამდვილი დედაკაცი - შეაწყვეტინა ფიქრი ჯვარნაკრავმა, წინ გადაიხარა და შოფერს ჩურჩულით რაღაც უთხრა.

თბილისი დიდი ქალაქი აღმოჩნდა, გრძელი ქუჩებით და ბევრი ხალხით. ლამპიონებით ქუჩებში და ეტლებით. მანქანამ იარა-იარა, რამდენიმე ცხენი დააფრთხო, რამდენიმე წყვილი კინაღამ დაასახიჩრა და ბნელ ქუჩაზე გააჩერა.

ჯვარნაკრავი და თედო პირდაპირ მეორე სართულზე ავიდნენ, ბნელ, ხვეულ კიბეზე. კარი ლამაზმა ქალმა გააღო, ძალიან გაუხარდა ჯვარნაკრავის დანახვა, - ხელები შემოხვია, კოცნა და კოცნა. მერე თედოს შეხედა, გაუღიმა და ტუჩებში აკოცა.

მივხედოთ ამას... რა კაი ბიჭია, ვისია?.

ჯვარნაკრავმა ხმა არ ამოიღო.

ააა, მივხვდი... ისევ ისე გაჰკივის? - გადაიკისკისა და თედოს ოთახში შეუძღვა.

შენა დარჩი ჩემთანა, ემასთან მიუშვი ბებო, - ტრაკზე მოეფერა ქალს ჯვარნაკრავი.

ბებო ღენერალთან არი.

აბა ღენერალი?

აი...ის.

ნაღალატარ ფულს აქ ხარჯამს არა... გოგოო, ძმების სისხლი უსვია ემაგის ფულსა, ძმებისა... ხშირად არ მისცე, გულზე არ დაგადგეს...

ბებომ იცის ეგეთი ფულის მოწველა... ისე უშვება, არც აძლევს და არც ანანებს - ისევ გადაიკისკისა და ქალის კისკისი სულ არ გავდა იოსებგოგოს კისკისს.

ემაგ ძღნერს უთხარი რო მე მოვედი და გაქრეს.

უხერხულია, შენ მოგერიდება და მერე ჩვენ გაგვტანჯამს... რა გინდა ეგეთი... მე ვერ ვიზამ?

ფეხებს ვერ მოგჭამთ... შენც უნა იყო.

რა? შენა, ესა და მე და ბებო?

ჰო.

ვაჰ... რაღაც ჩაგიფიქრნია.

მაშ.

მაშ და კაი ჩემო ბატონო!

ნახევრადგანათებულ ოთახში იჯდნენ თედო და ჯვარნაკრავი. ჯვარნაკრავი ღვინოს წრუპავდა, თედო მარწყვს შეექცეოდა, მუჭებით იდებდა პირში. ორივე ხელი წვენით ჰქონდა განებილი, ტუჩები მოთხვრილი, ყვითელ პერანგზე მიმობნეოდა წითელი წინწკლები.

თედომ ჩაახველა, ძალიან ნერვიულობდა. ჯვარნაკრავმა შეატყო.

რა იყო... მართლა ბაბო კი არ არიი, ეეეე... - ჩაეცინა და ღვინო მოსვა.

მაშ რათ ეძახიან?

უყურე შენა ამასა, წუნიაცა ხარ? რო ულოკამდი, მაშინ არა წუნიობდი არა? - ჩაიხითხითა - იმიტო ეძახიან რო, თან ესეთი პაწაწაა და თან იმდენი ხანია აქ არი... ამ საქმეში ბაბოა ნამდვილი.

დერეფანში ხმაური ატყდა. რუსული აქცენტით ხაოდა ვიღაც: „სამი გოგო ? სამი გოგო არა... ეს მინდა... ბაბუშკუ იობ ვაშუ მატ, ია ხაჩუ ბაბუშკუუ... ბებო...ბებო მოიხვ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უკუნი სიჩუმე ჩამოწვა. კარი ისეთი ხმაურით გაიღო, თედოს მარწყვები დაეფანტა, ჯვარნაკრავის ჭიქაში ღვინო ალივლივდა და გადაიღვარა.

ოთახში ბაკენბარდებიანმა ღენერალმა შემოიხედა და გაქვავდა.

- ეეე, ღენერაააალ - მაინც არ იშლი არა ემაგ ბელაგვარდეისკი წვერქიცინების ტარებასა... პავლოვიჩმაც ხო გითხრა გაიპარსეო, ჰაჰ... გინდა გოგოებს ვეტყვი და კოხტად გაგპარსამენ.

გველისნაკბენივით გაურბოდა გაკომისრებული თეთრი ღენერალი ჯვარნაკრავს. მარტო ჯვარნაკრავმა იცოდა, თავიდან როგორ ეხმარებოდა აჯანყებულებს გაკომისრებული თეთრი ღენერალი და მერე როგორ გაყიდა ყველა. კი არ გაყიდა, ბოლშევიკების რაზმს ჩაუდგა სათავეში და მძინარეები ამოახოცინა თავისიანები. ამბობენ, მაშინ ბერიამ, თან ფული მისცა და თან ძალიან შეაშინაო. ეს თეთრგვარდიული ბაკენბარდები მაინც ვერ მოაპარსინეს. მერე დაანინაურეს კიდეც, მაგრამ სადაც ჯვარნაკრავი იყო, იქ ყოველთვის მეორე იყო გაკომისრებული თეთრი ღენერალი.

- აქ შენ კამანდირი მაინც ვერ იქნები, იქ, რუსეთში იკამანდირეო, აქ უბრალო ტრაკის მიმცემი ხარ მაინც ყველასთვის და ეგრეცვე დარჩები, ვერავის დაიმორჩილებო - დასცინა ჯვარნაკრავმა მაშინ.

ჯვარნაკრავი მის რუსობას მაინც ანგარიშს უწევდა, და კიდე იმას, როგორ ადვილად ჩახოცა თავისი ხალხი და განსაკუთრებით ბერიასთან მეგობრობა აფიქრებდა. გაკომისრებულ ღენერალს გაგებული ჰქონდა ჯვარნაკრავის და სტალინის მეგობრობის შესახებ, მაინცდამაინც არ სჯეროდა, მაგრამ მართალი რომ აღმოჩენილიყო... თან ისიც აჩერებდა, რომ ძალიან მზაკვარი და დაუნდობელი იყო ჯვარნაკრავი. ხმამაღლა აღიარება არ უნდოდა, მაგრამ გულში ხომ იცოდა, რომ ეს უბირი გლეხის შვილი მასზე ძლიერი იყო, აშკარად ყველაფერში ჯობნიდა თეთრი გვარდიის დიდგვაროვან ოფიცერს, რომლისთვისაც ღენერლობა ჯერ კიდევ იმპერატორს მიენიჭებინა.

გაკომისრებულ თეთრ ღენერალს ერთი სული ჰქონდა, როდისმე, რაიმე მანქანებით ჩამოეცილებინა ჯვარნაკრავი.

ღენერლის კუდისქიცინზე ჯვარნაკრავს არც გაღიმებია. ოთახში მელანო და ბებო შემოვიდნენ. ბებო პატარა თხელი გოგო აღმოჩნდა და ძალიან ჰგავდა იოსებ-გოგოს, იმდენად, რომ თედო წამოხტა და დააკვირდა.

თედო და ჯვარნაკრავი აბაზანაში იწვნენ და ქალები ბანდნენ. მელანო ჯვარნაკრავს ყურში ეჩურჩულებოდა: ქალები - გავიგე, მაგრამ კაცებს რიღათი აშინებ? აჰ... ამით არა, ამიით?- კისკისებდა მელანო.... - ამას რა უნდა ასწავლო?

- ყველაფერი... ქალისა და კაცის გარჩევა ჯერ.
- რაა?
- ჰო, ქალის და კაცის გარჩევა.

ბებო დიდ ფუმფულა ტახტზე იწვა. „აჩვენე" - გააშლევინა ფეხები ჯვარნაკრავმა.

- მოდი აქ - დაუძახა თედოს - აქა, ახლოში, დამიდექ... ხედავ, ემასაც აქ ძუძუები, ოღონდ უფრო პატარა, ვინემ იმას, მაგრამა ესა ქალია, რათა იცი?... ეს არი სარცხვენელი, გინდა მუტელი დაუძახე შენა. ქალებს აქვთ ესა, კაცებს არა. კაცებს აქვთე ესა, ყლეე... აი... - ჩვენ რო გვაქ... გაიგეეე? იმან დაგაჭერინა ხო ხელში თავისი... ჰაა, მითხარი, დაგაჭერინა - თედომ თავი ჩაღუნა. ჯვარნაკრავმა ღონივრად წაუთაქა - უხ შენი, გეჭირა არაა? ის ისეთი დედამოტყნილია, პირშიც ჩაგიდებდა... გედოო? გედოოო? - თედო ხმას არ იღებდა, - გედო, გედო და შეგასხამდა კიდეცა ის შობელძაღლი, ისა - ჯვარნაკრავმა კიდე წამოარტყა თავში, თედოს გემო გაახსენდა და გააყრიალა - ისა, ისე არ გაჩერდებოდა... შენცა სტყნამდი ხოო, შენცა... უ, მე თქვენი დედები დავტყანი თქვეენიიი!!! - გაბრაზდა ჯვარნაკრავი, - ეხლა ხო ხვდები ვის რა აქ და როგუარი საქმე, ხვდები, შე შობელძაღლო შენა? - თედომ თავი დაუქნია - ის კიდენა გეუბნებოდა რო ქალებსაც აქ და კაცებსაცაო, არა?... ერთიდაიგივეაო, ჰო? აიი, რა მამაძაღლია... ექა ხდება ყველაფერი... ექედან გამოძვერი შენცა, მეცა და ყველანი, ექედან შევედით და ექედანვე გამოვძვერით, გაიგეეე?!?!? - ჯვარნაკრავმა ახლა მელანოს წამოუთაქა, ოღონდ ფეხებს შორის - გაიგეე?! ჰოდა, მიხედე ეხლა ემაგას, თორე ხო იცი ჯერ ენას მოგაჭრი... მერე კიდენა, თუ კიდე უკანალი მოგენატრება, თან ჩემი შვილისა, კაცოო... მერე მართლა მოგკლამ... არა, ჯერ დაგკოდამ და მერე მოგკლამ - შემთვრალმა ჯვარნაკრავმა მამაშვილურად გაუღიმა თედოს - მიხედე - უთხრა ბებოს და თვითონ მელანოს მოეხვია. ბებო თედოს ისე მოეფერა, ბიჭს ფეხები მოეკვეთა, ესიამოვნა ბებოს ტუჩების მლაშე გემო.

- ეხლა მიდი... მანდ არა... აი, შემხედე - ისევ წაუთაქა ჯვარნაკრავმა თედოს და მელანოს დააწვა - დანარჩენი ისევ ისე... ჰა, როგორიააა? - ბებო აკვნესდა, - ხო ხედავ ესე უნდა აკეთო, ეს არის სწორი - ღრიალებდა ჯვარნაკრავი და მელანოს უხეშად ხმარობდა. სხვანაირად რო გავიგო, მოგკლამ, გაიგეე, მოგკლამ... ხო მოგწონს, ხო გადამირჩი და თუ არ დამიჯერებ, მოგკლამ, ჯერ შენ, მერე დედაშენს და მერე იმას... მიდი, მიდიი, მიდიიიი - ღმუოდა ჯვარნაკრავი, აღმუვლდა თედოც.

- შენ რა გგონია?- ბღაოდა ჯვარნაკრავი, - ჩემი შვილია და არ დავუთმობდი, არ მიუშვებდიი? ისე ვიზამდი, ყველას ეგრე დეეწყო ცხოვრება... მარა ვერ ვიზამ გაიგეეე, ემაგაზე რო ხელი მოვანერო, მაშინ რითვინ ვცხოვრობთ, ან ეს რევალუცია, გაწევ-გამოწევა, ან ეს ომები რითვინ არი, რითვინ ვიბძვით.... რითვინ ვხოცამთ, ვანგრევთ და მერე ვაშენებთ.... რითვინ არი ეს თავისუფლება, თუ ეგეთები იქნებიან სულა და ველარ გაჩნდებით, ჰააჰ??? ...მიპასუხეთ... მიპასუხეეთ??? - რისთვინ გინდა ეს ქონებები... ეს დანატროვარი... - რისთვინ გვინდა ეს წინსვლა ცხოვრება, მომავლისთვინ არ გვინდაა?!... მომავალი კიდე როგორ იქნება თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემაგაზე დავთანხმდით... თორე რააა, შვილია ჩემი, ხო არ მოვკლამ... მაგრამა დანარჩენებს დაგხოცამთ სულყველასა... სუყველასააა... დაგაჭრით ენებსააა.... - იბღავლა საბოლოოდ ჯვარნაკრავმა და მონყვეტით გადავარდა საწოლზე.

თედოს ბებოს მკერდზე მშვიდად ეძინა.

დილით ჯვარნაკრავმა და თედომ მელანოს სახლში გაიღვიძეს. ნაბახუსევზე ლაპარაკი ეზარებოდა ჯვარნაკრავს, მაგრამ მაინც დაარიგა თედო: - სხვანაირად თუ მოიქცევი, რაც დაგპირდი შეგისრულებ... ხო იცი, ჩემთვინ ადვილია, ხალხის მტრად გამოგაცხადებ და მორჩა - ხო გაიგე... როცა გინდა აქ მოხვალ და მელანოს მოსთხოვ, რაც გინდა... იქ რო განხო, მეთორმეტე შენ იქნები... ეხლა კი წამო, ნამდვილი წითელარმიელი უნდა გაგხადო, დედაშენს მე ვეტყვი.

ერთი წლის შემდეგ თედოს არმიაში ჯამაგირი დაუნიშნეს. ყოველთვის ერიდებოდნენ ნაწილში მასთან ურთიერთობას, უფრთხოდნენ კიდეც. ერთხელ იოსებ-გოგო მოვიდა მასთან. კაცის ხმით, - ბიჭურად ელაპარაკა დარაჯებს, - ძმა ვარო - ისე, ესეც კი შეიძლებოდა თქმა. ყველამ იცოდა ვინ იყო, შეშინდნენ და შეუშვეს. იტირა იოსებ-გოგომ, თედო რომ დაინახა, ცხარე ცრემლით იტირა - რახან აქამდე არ მოგკლა აღარ მოგკლავსო. გადაეხვია და სამხრეები და აპელატები დაუსველა ცრემლებით, ცხელი მლაშე ცრემლებით. მერე სახეზე მოეფერა, სახეზე და ტუჩებზე და მლაშე ცრემლების გემო იგრძნო თედომ. ბლანტი თესლის გემოც იგრძნო, სასაზე რომ ეკრობოდა ხოლმე, კინაღამ აუდგა. ამისი ეშინოდა ყველაზე მეტად ბიჭს, მაგრამ გაუძლო.

- შენ შემდეგ ვერავინ შევიყვარე და მიშველეო, - ამ სიტყვების მერეც გაუძლო თედომ, მითუმეტეს, რომ ჯამაგირი ახალი აღებული ჰქონდა და ბებოსთან წუხანდელი ნამყოფი იყო, რა მოხდა, რომ ხანდახან ბებოს მოფერებისას იოსებ-გოგო ედგა თვალწინ.

იოსებ-გოგო წავიდა, ბევრი იტირა, ისე წავიდა. ხან ქალის ხმით და ხან კაცის ხმით იტირა. ხან ქალურად იყო სასოწარკვეთილი და ხან კაცურად, ბოლოს მიხვდა იოსებ-გოგო, რომ გაუძლო თედომ. გამწარდა. ერთდროულად, ქალურადაც და კაცურადაც გამწარდა. ეს უკანასკნელი სიყვარულიც დამაკარგინა, არ ვაპატიებო და წავიდა.

კიდევ 1 წელი გავიდა, 16 წლის იყო უკვე თედო, დიდი ხმაური ატყდა ყაზარმაში. გაკომისრებული თეთრი ღენერალი მოსულიყო, აი, სწორედ ის, მელანოსთან ბებო რომ აართვეს ლოგინიდან, ბრდღვინავდა გაკომისრებული თეთრი ღენერალი. ბრძანა, ოციოდე სალდათი მიეცათ სასწრაფოდ და გააქენა.

მაშინ 1936 წელი იყო, ყველა ამბობდა, სტალინი უკვე აღარავის აპატიებს სამშობლოსა და პარტიის ღალატსო, ის კი არა, იმასაც ამბობდნენ, თურმე ბერია თვითონ დადის სოფლებში და ქალაქებში და თვითონ ეძებს მოღალატეებსო. სახლებში ჩუმჩუმად ჭორაობდნენ, - შეკრიბა ყველა კომისარი და მეთაური და საშინლად დაუცაცხანა, ერთმანეთისთვის ყურადღების მიქცევა დაავალა, შეცდომას აღარავის ვაპატიებთო. ზოგი კი ამბობდა, ცალ-ცალკე დაიბარა და სათითაოდ დაავალა, ვის რა უნდა ეკეთებინა. ვინც ყველაზე მონდომებული იქნება, იმას დაწინაურებაც კი ელოდებაო. კაცმა არ იცის დაავალა თუ არა, კაცმა არ იცის დაიბარა თუ არა, ან ამბის გამოტანას ვინ გაბედავდა. ფაქტი ის არის, რომ, ამ ჭორების შემდეგ ყველა კომისარი და მეთაური ტურებივით დაძრწოდნენ მთელ ქვეყანაში, რომ ხალხის მტრები ეპოვათ. დროდადრო სათავისოდაც იყენებდნენ, - ხან ვის აანაპნიდნენ ქონებას და ხან ვის გააგორებდნენ, თუ ცოტა ბოლმა ჰქონდათ ვინმეზე. ხანაც სხვის ცოლს შეიგორებდნენ ლოგინში. თუმცა ერთი რამე არ ახსოვდათ და არ იცოდნენ, წუთისოფელი რომ მუხთალია. ეგონათ, ღმერთი მართლა აღარ იყო და აღარ მოეკითხებოდათ, მაგრამ ან საიდან უნდა ცოდნოდათ უზნეობისა და სიზარმაცის გამო მიწიდან მოწყვეტილ, ჩამპალი ქარხანა-ფაბრიკებიდან გამოპანღურებულ, აყროლებული საპატიმროებიდან გამოყრილ მუშ-გლეხ-ბანდიტებს.

ვისაც თოფი დააჭერინეს და დიდმა ბელადმა დაავალა ხალხის ხოცვა, ყველას ეგონა, რომ მათ ზემოთ ძალა აღარ იქნებოდა. ჩააფურთხეო, უთხრა ერთხელ ერთმა მეორეს და შუბლში აჯახა ტყვია, როცა პირველს ეგონა, რომ დაასწრებდა და მოკლავდა. მერე იმ მეორეს დაახალა ვიღაც მესამემ. ესე გრძელდება დღემდე, რაც კაენმა დაიწყო, ის ბოლშევიკებმა ისტორიის ჩვეულებრივ კანონზომიერებად აქციეს, თორემ, განა მანამადე არ ხოცავდნენ ადამიანები ერთმანეთს.

და ესე ტურასავით დაძრწოდა გაკომისრებული თეთრი ღენერალიც სოფლებსა და ქალაქებში. სხვებთან შედარებით, მას ცოტა რთულად ჰქონდა საქმე, 10 წლის წინანდელ აჯანყებაში რომ ხარ ეჭვმიტანილი და გამოსწორება გინდა, თან იმდენი მტერი გყავს, პირდაპირ გეუბნებიან: შენ აქ „კამანდირი" ვერ იქნებიო, - თუ არა, შეუტევ - თავი მაინც ხომ უნდა დაიცვა. თუმცა ყველაფერი უკუღმა კი მოხდა. ერთხელ, დიდ ბაზარში, ხალხის მტრების საძებნად ეკზეკუციაზე სალდათები წაიყვანა, იქ ის პატარა იოსებ-გოგო დახვდა, ბევრი ეკეკლუცა გოგო, მერე უთხრა, - მე ვიცი შენი შვილი სად არიო. გადაირია გაკომისრებული თეთრი ღენერალი, თან ისეთი ამბები მოუწყო იმ პატარა გოგომ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სინამდვილეში გოგო არ იყო და იოსებ-გოგო იყო. მერე იოსებ-გოგომ შვილის საფლავი აჩვენა და სულ კისკის-კისკისით მოუყვა, რაც დიდი ხნის წინ თედოს მოუყვა.

ზუსტად ორი თვე ელოდა ლავრენტი ბერიასთან აუდიენციას გაკომისრებული თეთრი ღენერალი. „მე თუ იმდენი ჩემიანი ჩავაბარე, ხომ შეიძლება მეც ერთხელ თავისიანი ჩამაბაროსო" - ფიქრობდა გაკომისრებული თეთრი ღენერალი. არავინ იცის მიიღო თუ არა ბერიამ... და თუ მიიღო, კაცმა არ იცის, რა ილაპარაკეს კაბინეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიას არ ყვარებია ვალები.

გაკომისარებულმა თეთრმა ღენერალმა სამხედრო ნაწილში, ყველას გასაგონად, რუსული აქცენტით უთხრა ჯვარნაკრავს, სამშობლოს ღალატში გედება ბრალიო, მერე გამართული რუსულით დაუსვა კითხვა: სკაჟი ტი ვრაგ ნაროდა?

- ნეტ - თქვა ჯვარნაკრავმა - პავლოვიჩი გაგიგებს და დედა მოგეტყნება შე უბედურო.

- პავლოვიჩმა იცის და შენ გეტხნება დედა შე უბედურო... აი, კახალდი, ტვიტონ ბერია პადპისალ.

ჩაეცინა, მუცელში გვრემა და შიმშილი იგრძნო. მიხვდა რომ ნააგო, მაგრამ მაინც გამომცდელი ღიმილით, ქვემოდან ამოხედა.

- არ იჩქარო ბჯოო.

- და შენ რომ იშქარე?

- რა ვიჩქარე, ძღნერო? - არა და მაშინ არ უფიქრია, იჩქარა თუ არა. იმ დროს არასოდეს არ ფიქრობდა დროზე, არც იმაზე რომ შეიძლებოდა არ მოეკლა. იმ დროს ყოველთვის ზუსტად იცოდა რომ უნდა მოეკლა, წამიც არ უნდა მოეცადა, ერთი გაელვებაც, უცებ კლავდა... და ვერც უშვებდა, რომ ვინმეს შესაძლოა სხვანაირად ეფიქრა, მოკლულის მამასაც კი.

- იმან გითხრა, არა?

- ჯერ მოვდლანი და მერე მიდღრა. შენი შვილი მოვდლანი, ჩემმა შვილმაც მოდღნა, - სმატრი კაკ პალუჩილას შენ ჩემი შვილი მოკალი, პატამუ ჩტო შენ შვილსა ღლნამდა, მე კიდე ვზიალ ი შენი შვილი მოვდლანი... ეხლა შენ უნდა მოგკლა... ი ვ რასჩოტე... - გადააფურთხა, - ბოგ ვსიო ვიდიტ - ისევ გადააფურთხა.

- ეეჰ, იქვე უნა მიმეხვრიტე მაშინა, უნა მიმეხვრიტე, შენი ძმაკაცების სისხლი რო დალიეი, იქვე უნდა დემეხვრიტე - დანყდა გული ჯვარნაკრავს, ცრემლებიც კი მოაწვა, - აბა შემახედე სად აწერს ხელსა პავლოვიჩი?

- ტი ჩტო ნე ვერიშ? - აღშფოთდა გაკომისრებული თეთრი ღენერალი.

უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჯვარნაკრავი, რომ დაეჯერებინა დახვრეტდნენ, რომ არ დაეჯერებინა და მართლა ბერიას ხელმოწერა აღმოჩენილიყო - მაინც დახვრეტდნენ. ღირსეულად სიკვდილი გადაწყვიტა.

- სტრელიაი, სტრელიაი... მძღნერო შენა, შენც მალე მოგეტყნება დედისტრაკი, ის ჩემი ტრაკისმიმცემი შენზეც ეტყვის სხვას და ბელადს როგორ ეზიზღება ეგენი ხო იცი და მიგახვრიტავენ შენცა - და ხმამაღლა იღრიალა მთელი სამხედრო ნაწილის წინაშე - ეს კაცი ტრაკისმიმცემი და კაციტყანიაა, ყველამ იცოდესო. სალდათების უმეტესობამ მოასწრო და ყურებზე აიფარა ხელი, ყოველშემთხვევაში, გაკომისარებულ თეთრ ღენერალს ასე დაანახეს.

- პიატ სტრელკოვ, - იღრიალა გაკომისარებულმა თეთრმა ღენერალმა, - . არავინ ნაბიჯი არ გადადგა, მაშინ თვითონ ჩამოუარა ასეულს: ტი, ტი, შენ, ჩიტვიორტი ტი... იიი... ტი... - და ყველას წინ იმ წერილს უფრიალებდა, რომელზეც, კაცმა არ იცის, ბერიას ნამდვილი ხელისმოწერა იყო თუ არა.

ხუთი კაცი რიგებიდან გამოვიდა და კედელზე აყუდებული ჯვარნაკრავისკენ წავიდა. უცებ, გაკომისარებული თეთრი ღენერალი გაჩერდა, ყაზარმასთან ვიღაცას მოკრა თვალი, რომელიც კედლის უკან იმალებოდა. მიადგა. ყურში მოკიდა ხელი და გამოათრია... - ი ტიიი... უზნაიოშ? უზნაიოშ ხალუი?!

- ონ ნე ხალუი, ონ კნიაზ, ა ხალუი ეტა ტი... ჯერ კნიაზი რო გახდი და მერე ისევ ხალუებს რო მოგვეყიდე... ფუ შენი, მაგას დაანებე თავი.

გაკომისარებულმა თეთრმა ღენერალმა ხუთიდან ერთს შაშხანა წაართვა, პანღური ამოკრა და გააგდო. შაშხანა თედოს მიაჩეჩა, - პიატიმ ტი ბუდეშ, შენი დედა მოთხან... ვ რიააად!

არცერთი არ დადგა. ყველა ძალით დააყენა.

თედოც გაუძალიანდა, მაგრამ ამოიღო ჯადოსნური ფურცელი და ცხვირზე მიადო: კიტხვა ისი?

თედომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ცაიკითხე ეს!

და თითი იქ გააყოლა სადაც ეწერა: ლავრენტი ბერია. თედომ უხალისოდ მოიმარჯვა შაშხანა, - უხ ამისი, რა? ოთხი ტყვია არ ეყოფოდა, ხო? - გაიფიქრა და შაშხანას ლულაში ჩახედა. გაკომისარებულ თეთრ ღენერალს მოულოდნელად ხმა ჩაეხლიჩა და ხრიალით დაიწყო ბრძანებების გაცემა.

ძალიან ენანებოდა ეს კაცი თედოს. ენანებოდა, ეშინოდა და ეზიზღებოდა. რომ დაფიქრდა, აღმოაჩინა, რომ კარგად არც იცნობდა. არადა ყველაფერი ხომ მან გაუკეთა. საჭმელიც ხომ მისი იყო ყოველთვის და ის ახალი ფეხსაცმელიც, ის ტანსაცმელიც, ის პირველი ქალიც და ჯარშიც ხომ პირველად მან მოიყვანა, ჯამაგირიც მან დაანიშნინა. უცებ დაავიწყდა მისი სახელი - „მოიცა რა ქვია? თოფდაკრული ? არა... ტყვია... არა ... ისა ნამდვილი სახელი? ეს სულ არ იცოდა.... მოიცა ჯოხ? არა... ჯოხ კი არა ჯვარ დაკრული კი არა... ჯვარნაკრავი ამხანაგი... მეთაური ჯვარნაკრავი". რატომღაც სიმშვიდე იგრძნო. ერთხელ ჩხუბიც კი მოუვიდა მის გამო, - იმიტომ გმფარველობს, რომ დედაშენთან წევსო. რა, არ იცოდა, თუ რა? მაგრამ ეს არავისი საქმე და სალაპარაკო არ იყო...

გაკომისარებულმა თეთრმა ღენერალმა ისე იღრიალა, თითქოს ცხოვრებაში საბოლოოდ ღრიალებდა, ჩახლეჩილი ხმა დაწვრილებოდა და კნავილს უგავდა:"მოემზადეეტ, იობ ვაშუ მატ... პრიგატოვიტ არუჟიე!!".

„რასა ჰკნავი შე ღორო, მაგ ქალალდსა ტრაკში გაგიკეთებენ და შენც ეგრევე დაგხვრიტამენ... მიგაძაღლებენ..."- თავისთვის თქვა ჯვარნაკრავმა და თედოს მიაშტერდა. თედომ თვალი მოარიდა. ხომ არ ავაცილო? ვინ გაიგებს, მოვარტყი თუ არა, დანარჩენებიც ხო ესვრიან და ოთხი ტყვიაც მოკლავს, რას გაიგებენ, ხუთი ლულიდან გამოფრენილი რომელი ტყვია აცდა"- ფიქრობდა თედო და შაშხანას მექანიკურად ამზადებდა. თავი აწია და

ჯვარნაკრავის მზერა მის მზერას შეხვდა. შერცხვა, ოფლმა დაასხა და უცებ ფეხებშუა გაუმაგრდა, - „...ამხანაგო მეთაურო ჯვარნაკრავო ისა..."- ფეხებშუა კიდევ უფრო უმაგრდებოდა- „ამას რაღა უნდა, დამანებე თავი..." - ჩაიბურდღუნა თავისთვის და ჯვარნაკრავს წარბებსქვემოდან გახედა, ის აღარ უყურებდა, ცისთვის მიეშტერებინა თვალი. სხვათა შორის ჯვარნაკრავის მადლიერი უნდა იყოს, ჯვარნაკრავმა რომ არ მოკლა იმ თავისი იოსებ-გოგოს გამო, რა ლამაზი იყო... იყო რატო - არის. უცებ იოსებ-გოგოს შეხება იგრძნო და შაშხანა გვერდით გაწია, თოთქოს უნდოდა, მოერიდებინა. სამიზნეს თვალი მოაცილა და ჯვარნაკრავს გახედა, ხომ არ დამინახა, იოსებ-გოგო რომ შემეხოო. საშინელი აღგზნება და ფეხებს შუა დაძაბულობა ტკივილში გადაუვიდა.

„რო გავათაო ეე?"- გაიფიქრა.

„დატენეეე!!"- იღრიალა მკივანა ხმით გაკომისრებულმა თეთრმა ღენერალმა. მექანიკურად გადატენა შაშხანა. ჩხაკ- ჩხუკ. ტყვია ლულაში ჩაჯდა. მოეჩვენა, რომ ამხანაგი ჯვარნაკრავი მის ლულას ჩაშტერებოდა. უნდოდა რაღაც ეგრძნობინებინა, ჩაიბუტბუტა კიდეც: „აგაცილებ, მე აგაცილებ... ფეხებზე მკიდია, დამსჯის თუ არა". მერე გაახსენდა, იოსებ-გოგოს სიყვარულიდან გული რომ გადაეყოლებინა, როგორ მიიყვანა ყველას ბებოსთან ჯვარნაკრავმა, როგორ გადარჩა, რომ კაციტყანია არ გახდა, ან პირიქით. მერე გაიგო, ეს რას ნიშნავდა, მერედამერე სხვა კაცებმა რომ თქვეს - ცუდიაო, - ცუდი აღმოჩნდა, თორემ ისე რა? - მშვენივრად გრძნობდა იოსებ-გოგოსთან თავს. გულის სიღრმეში ვერც კი გაერკვია, რომელი სჯობდა. უცებ გაახსენდა, - სულ პირველად, მელანოსთან, ბებო რომ ეფერებოდა, მისი ტუჩების მლაშე გემო და დაძაბულობისგან კიდევ უფრო ეტკინა ფეხებშუა. უცებ მიხვდა, რომ მაშინ, გაკომისრებული თეთრი ღენერლის ნალოშნს ლოშნიდა და მისი ულვაშების სიმლაშე იყო ის მლაშე გემო. ტანში გააჟრიალა და წამოაზიდა. მუხლები აუკანკალდა, მაგრამ ტკივილი უფრო მოემატა.

„დაუმიზნეეე!!"- მჭახედ იხრიალა გაკომისრებულმა თეთრმა ღენერალმა, ისე მჭახედ, რომ ხველა აუტყდა.

დაუმიზნა. „ის როგორ იყო... ის ამბავი? ბარაბა თუ ქრისტეო? ხალხმა რო... როგორ თქვა, ხელები დამიბანიაო?... დაფიქრდა და ვერ გაიხსენა საიდან იცოდა. გაახსენდა! - ერთხელ, სომეხი გოგოს, კარინას მამა მოუყვა ქრისტეღმერთისა და ყაჩაღის ამბავს, - ხელისგულები გაუოფლიანდა და ჯვარნაკრავის მზერას შეეჩეხა, „არაა, არ ვესვრი - საბოლოოდ გადაწყვიტა, - დამსაჯონ, დამხვრიტონ აქვე". მერე გაკომისრებული თეთრი ღენერლის ულვაშების სიმლაშე იგრძნო ისევ, ბებოს ტუჩებიდან რომ ალოშნა და კვლავ წამოაზიდა. მერე ისევ იოსებ-გოგოს შეხება იგრძნო. „... არაა, ამის დედაც მოვტყან, ავდგები და ვესვრი, ჯერ დედას მიტყნავდა და ამის გულისთვის ყველა დამცინოდა და არავინ მეკარებოდა, ყველას ეშინოდა.... მერე ამას ვინა ჰკითხავდა, მე ვინ მიყვარდა და ვინ - ... გაჩერდა დიდი ნერწყვი გაუჭედა ყელში... - ან ვის - ისევ იოსებ-გოგოს შეხება იგრძნო, - და რო მოვეკალი და არ მომკლა? არა, არ ვესვრი... არა, უნდა ვესროლო... და ჯარში რო მომიყვანა და ჯამაგირი?! არ ვესვრი, არა".

„ცეეეცხლიიი"- გაიგო მოულოდნელად ხავილი. შეკრთა. თავისი ფიქრების შეეშინდა და თითი მის დაუკითხავად დააწვა სასხლეტს.

ხუთივე ტყვია ამხანაგ-მეთაურ ჯვარნაკრავის (ნამდვილი სახელი და გვარი თითქმის არავის ახსოვდა), მკერდში გაიჭედა.

„ვაიმე მოხვდა... არ მინდოდა, ბოდიშიიი" - ცრემლები წასკდა. გაქვავდა და გაიყინა. ჯვარნაკრავმა სამყაროსთვის დატოვებული ბოლო მზერა სწორედ მას, თედოს ესროლა და მოკვდა. თედოს ჯერ ეგონა, რომ მოეჩვენა ჯვარნაკრავის მზერა. მერე მიხვდა, რომ ნამდვილად მას ეკუთვნოდა. დაღლილმა, ცხოველური ინსტინქტით იგრძნო, რომ დატანჯავდა ეს მზერა და თავიც არ გაუქნევია ფიქრის გასაფანტად, - ისე დაივიწყა... და არც კი იცოდა, რა ძვირფასი იყო ეს ტანჯვის დავიწყების წამი. სატანასავით ბოროტი და ღმერთივით ყოვლისმომცველი სინდისის ქეჯნა იყო ეს ტანჯვა... და ამ ტანჯვის დავიწყება და გულთან არ მიკარება ისწავლა თედომ იმ წამს.

წესით, სამუდამოდ მადლიერი ჯვარნაკრავის კი არა, გაკომისრებული თეთრი ღენერლის უნდა გამხდარიყო. მაგრამ უმადურია ადამიანი, მაშინ თედოს სულ პირველი წითელი კომისრის გახეთქილი ტუჩი, დორბლიანი ლაშები და პირში გამოვლებული წითელი ქიმიური ფანქარი გაახსენდა, მამისის თავზეხელაღებულ სიცოცხლეს რომ დაუსვა წერტილი. ვერაფრით გაიხსენა საიდან ახსოვდა ის სულ პირველი წითელი კომისარი, მაგრამ მაინც ეს ამბავი გაახსენდა.

გაკომისრებული თეთრი ღენერლის ხმა შორიდან მოესმა: „აბასრალსა? რასა სტირიხარ, მერე რა რო დედაშენსა დღნამდა... ეს ერთი და სხვა ქიდე ბევრეეები". აჟიტირებული და აგზნებული ღენერალი სიხარულს ვერ მალავდა, შაშხანა ჩამოართვა თედოს, თედოს ხელები არ ჩამოუშვია, ასე გაქვავებული იდგა. თითქოს ისევ შაშხანა ეკავა. „მუდაკ, აპუსტი რუკი", ძალით ჩამოაწევინა ხელები ღენერალმა, მოეხვია და ტუჩებში დალოშნა, მლაშე ულვაშების გემო გაეგლისა სახეზე და ისევ წამოაზიდა. გაკომისრებული თეთრი ღენერლის პასუხად, მხოლოდ ღრმა ხვნეშა წამოუვიდა მუცლიდან. ღენერალი ჯვარნაკრავთან მივიდა, დახედა, დააკვირდა, ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ დაახალა თავში. „იობ თვაიო მატ, ვოტ სიჩას ტოჩნა ვიიბუ ტეაევო სინკა ილი კაკ ევო" - ხრინწიანად, მკივანა ხმით გადაიხარხარა და წავიდა. შაშხანა თედოსთვის უნდოდა მიეგდო, მაგრამ სახეზე ეჭვმა გადაურბინა, გადაიფიქრა და თან წაათრია.

თედოს ტანში გააჟრიალა. სულ წამით იგრძნო სიამოვნება, ბარძაყს წებოვანი, ბლანტი მასა წკრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალით ჩაუყვა და შარვალი მიინება. მოითენთა და ძილი მოერია.

იდგა, იდგა, გაშეშებული და ხელებჩამოყრილი და დაახლოებით მაშინ, ჯვარნაკრავის სხეულმა გაციება რომ დაიწყო, წავიდა.

გაკომისრებულ თეთრ ღენერალს წითელი არმიიდან რომ არ გაეგდო, შემდეგ დახვრეტაზე თავისი ნებით წავიდა.

გაკომისრებული თეთრი ღენერალი ზუსტად სამი წლის, ორი თვის, სამი კვირის, 4 დღის, სამი საათისა და 11 წამის შემდეგ მორიგი კომისრის ბრძანებით ხალხის მორიგი მტრის ბრალდებით დახვრიტა, ოღონდ უკვე აღარაფერი გახსენებია. მეაათასცხრაასოცდამეერთე იყო და ყველა განცდა იმდენჯერ გამეორებოდა, რომ აღარც აღელვებდა. სახლში ძალიან ეჩქარებოდა უსაყვარლეს ცოლთან. ბებო-მასწავლებელს სამი დღის წინ მისთვის პირველი შვილი გაეჩინა. ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც არ დაეზარა და ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ დაახალა თავში, უკვე მკვდარ გაკომისრებულ თეთრ ღენერალს.

## ON AIR

- თქვენ ჩემზე ახალგაზრდა ბრძანდებით გენაცვალე და არ იცით ესა... არა... ესა ძალადობა კი არა წესრიგია... წესრიგი...

- მესმის, ახალგაზრდა ვარ და არაფერი მესმის, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, იმ თქვენმა ბელადმა გაწყვიტა ყველა, თუ ვინმე მოაზროვნე იყო და თავისუფლებისმოყვარული... ვინ გადარჩა ძირითადად? პლებეები, მსახურებას მიჩვეული ადამიანები, ყმები და ლაქიები... ან კრიმინალები, როგორიც თვითონ იყო ახალგაზრდობაში, ჩვენ ყველა ძირითადად ვართ სწორედ ამ გადარჩენილების შთამომავლები, პლეებეეების შთამომავლები... პლებეებს ძალიან უჭირთ რამე შექმნან, ღირსების დეფიციტის გამო, მონური ხასიათის გამო...

- ვინა არი კაცო პლებეი და მონა, ჩემი წინაპარია პლებეი? პლებეიც ხარ და ღორიც... - გაცხარდა მოხუცი.

- გააჩერეთ რა?- შეხედა ახალგაზრდამ წამყვანს.

ღილაკს თითი დააჭირა, ჩახლეჩილი ხმით მიკროფონში ჩასძახა, - არ გააჩერო, მიაწექი, არ გააჩერო, დამშვიდება არ აცალო... მოიფიქრე რამე, ... ეხლა დაიწყებენ გინებას... მიდი, - საინფორმაციო გადაცემის სააპარატოს მონიტორებში ჩანდა ცოტა დაბნეული წამყვანი, რომელიც ყურზე ხელს იდებდა, რომ ყურსასმენიდან პროდიუსერის ხმა გაეგო. კარგად არ ესმოდა და გადაწყვიტა, სტუმრები დაეწყნარებინა - მოგიწოდებთ კორექტულობისკენ... - სააპარატოში, გადაცემის პროდიუსერმა, კაფანდარა, ლამაზმა ქალმა პატარა მიკროფონი მუჭში მოიგდო და ახავლდა, - კორექტულობისკენ კი არა... მაგ ტიპს, მაგ ბებერ სირზე კითხე, კონკრეტულად მაგასაც თვლის პლებეით? - წამყვანს ცუდად ესმოდა, - ფუ, დებილია ამის დედა მოეტყან - წამყვანი დაიძაბა, გაიგო როგორ შეაგინეს.

- კაი, დამშვიდდი, ნუ ნერვიულობ... ხო იცი, მოიფიქრებს რამეს - მოეფერა ასისტენტი ქალი გაკაპასებულ პროდიუსერს.

- აუ, გააჯვი რა... ერთი შენ მოიფიქრებ და მეორე ეგ... - პროდიუსერმა ისევ დააჭირა ღილაკს თითი და მიკროფონში ჩასძახა, - ორივეს კითხე პლებეობის განმარტება და რატომ ეძახიან ერთმანეთს პლებეებს, თითო წუთი მიეცი. - პროდიუსერი პულტიდან ადგა, რეჟისორს მიხედა, ეხლა ჩახოცავენ ერთმანეთს და არ გამაზო, შენც არ გამოსირდე... სიგარეტი მომე - უთხრა ასისტენტს, რომელიც ამშვიდებდა.

- არ მაქ.

- აბა, რა ჩემი ყლე გაქ? მიხედე ეთერს... მე მოვწევ...

პროდიუსერი სააპარატოდან გავიდა, - მერე ჩემზე იტყვიან ცოფიანიაო, - ჩაიბურდღუნა თავისთვის, იქვე მაგიდაზე მიგდებული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო, ვიღაცამ სანთებელა მიუტანა, - მოუკიდა და ტუალეტში შევიდა. ღრმა ნაფაზებით ეწეოდა, ვერაფრით ხვდებოდა, საიდან უნდა მოეტანა ამდენი ფული, - არაა... ცუდად გავზარდე... მამამისს რო შევეცი... ამხელა კაცი ისევ ჩემ ზურგზე... ამ ონლაინკაზინოებზე გადაცემა უნდა გაეაკეთო... ფუ მოგიტყანთ რა... ყველა კაცი უტრაკო, უმაქნისი სირია ამ ქვეყანაში... - სიგარეტის ნამწვი უნიტაზში ჩააგდო და ჩარეცხა.

სტუდიაში განათებები ხურდა და ლიცლიცებდა, ოპერატორები ცდილობდნენ დაეჭირათ სტუმრების სახის მიმიკები, რომლებიც გაცხარებით კამათობდნენ... ახალგაზრდა ცდილობდა მშვიდი ყოფილიყო და ყველასთვის დაენახებინა, რითი სჯობს მოწინააღმდეგეს, ძველ თაობას, რეტროგრადებს, რომ სწორედ მისი ახალი სისხლი იყო საჭირო ქვეყნისთვის და არა ამ ბებრის აყროლებული სისხლი.

- სულ მგონია, რომ იმ დროს მისტიკას ჰქონდა ადგილი, მართალი გითხრათ არ მწამს ამ მისტიკის... ის კი არა, ათეისტი ვარ, მარა ნამდვილად რაღაც არამიწიერი ძალა მოქმედებდა მაშინ... აბა ესე ერთდროულად, ასე რამ გადარია ამდენი მილიონი ადამიანი, რო დაარღვიეს ეს განვითარების თანამიმდევრობა... აი, გინდა დარვინის მაიმუნიდან, გინდა ადამ და ევადან მოყოლებული...

- აჰა... ამას ღმერთიც არ წამს, ამ ლაწირაკს ამას...

- რა მაკვირვებს იცით... ბოლშევიკობას და ღმერთს ერთმანეთს როგორ უკავშირებთ... ის თქვენი სტალინი იცით რისთვის გამორიცხეს სასულიერო აკადემიიდან?

- აი, მართალი არ იყო რო ხვრიტავდა? შენნაირები ხო უნდა დაეხვრიტა? -ნერვიულად, კბილებში გამოცრა ასაკოვანმა.

- დამშვიდდით რა... ხომ არ გგონიათ რომ მე და თქვენ განსხვავებული ვართ, თქვენზე უკეთესი კი არ ვარ... იცით იმ თქვენ ბელადს რომ არ აერია ყველაფერი, ჩვენ აქ კი არ ვისხდებოდით

ეროვნული

ეხლა......თქვენ თქვენ საქმეს გააკეთებდით - სადმე ფერმა გექნებოდათ, გაზრდიდით ღორებს - სასარგებლო საქმე იქნებოდა... მე შეიძლება მებაღედ მემუშავა სადმე, - ...ლამაზ ყვავილებს გავზრდიდი... ეხლა ნახეთ რა ხდება? თავი განათლებული საზოგადო მოღვაწეები გვგონია, მაგრამ არც ერთს სისხლში ეს არ გვაქვს და იმიტომ ვაგინებთ ერთმანეთს, რომ იმას არ ვაკეთებთ, რასაც უნდა ვაკეთებდეთ.

- მგონი, 21-ე საუკუნეში ძალიან უხერხული და არადემოკრატიულია, გენზე, სისხლზე და წარმომავლობაზე საუბარი, მგონი ადამიანის დამსახურება მისი... მისი... - დინჯად დასძინა წამყვანმა, უცებ მის ყურში ისევ ახავლდა კაფანდარა ლამაზი პროდიუსერი ქალი, - არ ატეხო ეხლა ეგ სირული ინტელექტუალური დისკუსია... დაძაბეეე - წამყვანი წამით გაჩერდა, ასაკოვანმა სტუმარმა მყის გააგრძელა....

- ჩვენ შენნაირი არასოდეს ვიქნებით, შე მართლა მეღორე შენა, ეტყობა ბევრი ვერ დასაჯა იმ ცხონებულმა ისე, როგორც საჭიროა, თორე ხო აღარ იქნებოდნენ შენნაირი საყურიანი პედარასტები - იღრიალა ასაკოვანმა. ახალგაზრდამ ყურზე შეივლო ხელი. სახეზე გაბრაზება დაეტყო.

- აი, ხედავთ, ესარის სახე ბოლშევიზმის... შეიძლება ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ისტორიას ხომ ვერ გავექცევით... აჰა, ზუსტად იგივეს აკეთებთ, რასაც ის თქვენი სტალინი მაშინ... ეგრევე ვერ ამიტანეთ რაღაც განსხვავებული რო ვთქვი და მოსაკლავად მიმეტებთ, თქვენი შვილის ტოლს... მკვლელი ხარ აბა რა ხარ?!?!

- რააა, მე ვარ მკვლელი?

- მე ეგ არ მითქვამს... მე ვთქვი...

- შე ლაწირაკო, ღირსი არა ხარ ეხლა მართლა მკვლელი ვიყო... კი არ უნდა მოგკლა, უნდა მოგტყნა...

წამყვანი დაიძაბა: - თუ შეიძლება კორექტულად, - მიმართა ორი სტუმარიდან უფრო ასაკიანს და ახალგაზრდას გადახედა, ახალგაზრდას ეტყობოდა, რომ სტუდიის განათებები უშლიდა ხელს, თვალებში ანათებდა და ხასიათი უფუჭდებოდა.

სააპარატოში პროდიუსერს ავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ღილაკს დააჭირა და წამყვანს ყურში ჩასსისინა, - კითხე ერთი, მართლა მოკლავს, აი, ნება რო მისცენ, მართლა მოახერხებს ესროლოს? ან კითხე, გააუპატიურებს დასჯის მიზნით? გამოუტანდა ეგეთ განაჩენს??

წამყვანმა თავი ვერ შეიკავა, - რაა, ეგ ვკითხო?- ხმამაღლა მოუვიდა.

- რა უნდა მკითხო... რას გეუბნებიან... თქვენც კარგი ნაბიჭვრები ხართ თქვენა... - უყვირა ასაკოვანმა წამყვანს.

- აი, ხომ ხედავთ თქვენ თვითონ...

- რა მე თვითონ...შენ ხარ ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატე... მოგიტყან ლიბერალობა - შეუბრუნდა ისევ ახალგაზრდას ასაკოვანი....

- დაწყნარდი რა, ბიძაჩემო, შენ და შენნაირებს მგონი რაღაც სხვა გგონიათ ეს ლიბერალობა... იცი რა არი? თუ თავი გაქვს მშვიდად [illegible] ფაქტებით, თუ არა და...

- წამყვანის ტვინში ყველაფერი აირია, - გული ამერევა ეხლა, გაიფიქრა, ფუ, მეზიზღებით ყველა, ეხლა იმ ნაბოზარ ქალს გაუვარდები და დავლეწავ, ამათ კიდე, ამათ... სუ დედის ტრაკს ვაგინებ - უნდოდა რაღაც ჩაედინა, მაგრამ სტუმრები უკვე ერთმანეთს ექაჩებოდნენ და დაინტერესდა რას იზამდნენ. ასაკოვანი სტუმარი წამოხტა და ახალგაზრდისკენ დაიძრა - შენ უნდა მოგიტყნა დედის ტრაკი!

- შე ნაძირალა ... აქვე გაგჭრი შე ბებერო ნაბიჭვარო!...

- ნაძირალა კი არა - ასაკოვანმა წყლით სავსე ჭიქა ესროლა ახალგაზრდას, ახალგაზრდა წამოხტა - მართლა გადაიჯვით თავზე, მე თქვენი დედები მოვტყან, მერე გახვალ და იტყვი ვაჟობეთ, ძლიერები ვართო, შენ მოგიტყნავ... - ასაკოვანმა დასწრება სცადა, სკამს წამოავლო ხელი და ახალგაზრდას მოუღერა, ახალგაზრდამ აიცილა, - წამყვანი ილიმოდა, სიცილი რომ არ შეტყობოდა სახეზე, ხელი აიფარა, ახალგაზრდამ სკამი მოიგერია და ასაკოვანს ყბაში უთავაზა, ასაკოვანი წაიქცა, წამით გაითიშა. ახალგაზრდამ კამერებს ჩაუარა და სტუდიიდან გავიდა, ასაკოვანი გონს მოვიდა და ახალგაზრდისკენ სკამი ისროლა, მოხვედრილი მუშტისგან ორიენტაცია არეოდა და სკამი პირდაპირ კამერას მოხვდა, კამერა არ გათიშულა, მაგრამ მთელი ქვეყნის თვალწინ მინის წვრილ ნაწილებად დაიფშხალა. ოპერატორები კამერას ეცნენ, ზოგმა იაქტიურა და გასაშველებლად შევარდა სტუდიაში. ეთერში სარეკლამო ტიხრის მუსიკა და ტელეკომპანიის ლოგო გაუშვეს, ხმის რეჟისორს დაძაბულობისგან ღილაკები აერია, სტუდიაში წამყვანების და სტუმრების ხმის გათიშვის მაგივრად, პროდიუსერის შიდა მიკროფონი ჩართო. ეთერში, რეკლამების ფონზე, რამდენიმე წამი ისმოდა სტუმრების ლანძღვა-გინება და კაფანდარა, ლამაზი პროდიუსერი ქალის გამკივანი ხმა: კამერას ნუ ეფარებით თქვე დედამოტყნულებო!!!

წამყვანი დახეულ პერანგს იცვლიდა. ასაკოვანი სტუმარი გინებით ტოვებდა შენობას.

- რეიტინგს კი მოხსნით - უთხრა ახალგაზრდა სტუმარმა პროდიუსერს.

- ძალიან დიდი ბოდიში, ვერაფრით გავითვალისწინეთ, რომ ასეთი აგრესიული იქნებოდა - ბოდიშს უხდიდა პროდიუსერი ახალგაზრდას. დარცხვენილი მზერით უყურებდა და ცდილობდა, საკუთარი ჩახლეჩილი ხმისთვის სინაზე შეემატებინა.

- სულ არ გვინდა ესეთი რეიტინგი... კიდევ ერთხელ დიდი ბოდიში.... და უკაცრავად, ეთერი უნდა გავაგრძელოთ...

- კარგით ერთი... - სტუმარი წავიდა.

- წადი შენი დედაც მოვტყან, შე ყლეო - მიაყოლა ჩურჩულით, - თხელ-თხელმა, კაფანდარა ლამაზმა პროდიუსერმა. ძუძუს თავებზე და მუცელში სიმხურვალე იგრძნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააპარატოში ყველა ყაყანებდა, მომხდარზე ხორხოცობდნენ.

- მორჩით ეხლა ყროყინს... ორ წუთში ეთერში ვართ.

ყველა გაჩუმდა. პროდიუსერმა ღილაკს მიაჭირა თითი.

- კაი იყო... უმაგრესი, ბოდიში მოიხადე, რეზიუმე გააკეთე, დაგმე... ის რო სირი იყო ვიცოდი და ესეც მაგარი სირი ყოფილა... შენ რო გაგინე ხო არ გეწყინა.

- მოიცა რა, სამსახურია...

- ამდგარიყო და წასულიყო თუ ეგეთი ღირსეულია, ... მაგის ღირსებასაც დავაჯვით ერთად... - წამყვანმა და პროდიუსერმა გაიცინეს.

- ოცი წამი, - გაისმა სააპარატოში.

- კაი... კაი მორჩა მერე... აბა, სიფათი დაკერე... ლაპარაკისას ოდნავ ხელი მიიდე სადაც მოგხვდა... ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი... ეთერში ხარ...

## როცა იგივე ძლნერში ხარ

- აჰა, იგივე ძლნერში ვარ მეც, პლებეურ ბოლშევიკურ ძლნერში, მაგინა- ვაგინე მთელი ქვეყნის წინ, ფუუ, თავი მეზიზღება - რითი ვჯობივარ... ერთი განსხვავება ის არი, რო მე უფრო ახალგაზრდა ვარ და მე მერე შეილება შემრცხვეს, ოღონდ მერე... თან ნარკოტიკია - ყველა რო გიცნობს, ზოგს რო მოსწონხარ და ზოგს არა, მარა მაინც ყველა გიცნობს, ძალიან ძლიერი ნარკოტიკია. ვერაფრით ანებებ თავს. ტკბილი ილუზიაა, რომ წარმოადგენ რალაცას, შემდგარი ხარ - თუმცა ზიზღის კოეფიციენტიც იზრდება იმათგან, ვინც ვერ მოახერხა ეს. ეზიზღებათ ამ ორივეს ერთმანეთი, იმიტომ რომ ერთმანეთის სისხლით იკვებებიან, ვამპირების დუელია.

...მერე ზიხარ და ფიქრობ, გიღირს თუ არა ყველაფერი ეს მთელ ამ აუტანლობად. გინდა დაიმალო: მონასტერში ხო არ წავიდე, ხომ არ განვერიდო? მაგრამ, ვინ გაცლის, რომელიმე პატარა ჭინკა მოგიცუცქდება: შეგაქებს, პატივისცემას გამოხატავს, - რომ შენი აზრები ძალიან მნიშვნელოვანია და თვითკმაყოფილების უზომო გრძნობა გიპყრობს, რომ არამარტო აზრები, გაბედულებაც შეგიქეს, იმიტომ, რომ საზოგადოება შენნაირი ადამიანების არსებობით გადარჩება, რომ ზალიან ძვირფასი ხარ ამ საზოგადოებისთვის... და აი, მანდ ხდება ყველაზე დიდი შეცდომა, მანდ დგება გარდამტეხი მომენტი ცხოვრებაში, - შენ გედება ფასი, კონკრეტული ღირებულება - თვითღირებულება და გასაყიდი. და როცა მიხვდები, რომ თვითღირებულება და გასაყიდი საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს, კი არ ემთხვევა, სხვადასხვა ვალუტაში ითვლება თურმე... აღმოაჩენ რომ ჩაკეტილ წრეზე ბრუნავ და გამოსვლა ამ წრიდან შეუძლებელია, რადგან შენ უკვე ფასი დაგედო, ესე იგი გასაყიდ პროდუქტადაც იქეცი და იწყება ქანცგამწყვეტი სასოწარკვეთილი ვაჭრობა. „ქანცგაწყვეტილ ცხენებს, ხოცავენ, ხომ მართალია" - ამერიკული ფილმია ეგეთი, უუჰ, კაი ფილმია!

- დაიკიდე რა, ყველაფერი ნორმალურად იყო რა... შენ რა შუაში ხარ, დედა გაგინა ტო... დაგარტყა და ხო არ მოითმენდი... მერე რა რო ბებერია, ბებერი რო მოსაკლავად გამოგექაჩოს, თავი არ უნდა დაიცვა, ტო? დაწყნარდი რა, რა გჭირს... ზატო ყველა გიცნობს, პატივს გცემენ, მამენტ შეილება უყვარდე კიდეც - გაეცინა ჩემ მეგობარს - ბიჭო, ერთი მწერალი მეგობარი მყავს შენნაირი, მაგარი სტრანნი მასტია...

სულ დამავიწყდა, ჩემი მეგობარი გავიყოლე ტელევიზიაში, ცნობილი ტიპები ჩემს გარდა არავინ უნახავს, - არც აინტერესებს, არც ჭორაობს, ცოტა ნერვებსაც კი უშლიან. ცხოვრების ყველა ძირითადი სიამოვნება ხიბლავს. სიჭკვიანეების და ფილოსოფიის გარეშე ცხოვრობს, გამოსდის კიდეც მგონი, - ჩემგან განსხვავებით, ფული სულ აქვს და არც არავინ ლანძღავს სახალხოდ, ჩემგან განსხვავებით.

- მეც სტრანნი ვარ ხო... - ვკითხე.

- სტრანნი ხარ მარა ჩემი ყლე ხარ... წამო რა დაბადების დღე აქ... თან ოჯახიც რალაცნაირი ყავს, შენ დაგაინტერესებს... თედოა რა... ფუ რა გვარია... ოოო, იცი რა დაგვილევია ... მოგვიწევია კიდეც ერთად... დაჟე მწერლობს კიდეც მგონი რალაცას......

- ჰო, თუ დაგვილევია... თან მოგვიწევია, მეცოდინება...

აღმოჩნდა, რომ თედოს ვიცნობდი, მართლა უცნაური კაცი იყო, ჩუმი, მხრებში მოხრილი, გაბურძგნული... აი, ჩვეულებრივი უხერხემლო ინტელექტუალის ძალიან ტრივიალური ტიპაჟი. ამბობდნენ, კარგად წერს, ოღონდ იშვიათადო, რო თვრება აგრესიული ხდება, მაგრამ ისე კარგი ბიჭიაო, ნიჭიერიც კიო. ცოტა გულჩათხრობილია, მაგრამ გულწრფელიო. გადაგყვება თუ დახმარება გჭირდება, ოღონდ დიდი არაფერი შეუძლიაო. მამა რეციდივისტებმა მოუკლეს, მაგრამ არც მამამისი აკლებდაო. დედის მამა ზრდისო. ეხლა რალას ზრდის, ეს უკვე კაცია, ის კიდე გადახრჩუებული ბებერია, მაგრამ თავის დროზე დიდი გვარიშვილობისა იყო და მერე სასტიკი ჩეკისტი გახდაო. ჩემდა ჭირად დამაინტერესა, წავედი გულის გადასაყოლებლად და დასალევად.

ვერაფრით გავიხსენე როდის დავლიეთ და მოვწიეთ ერთად. თვითონ გამახსენა. ორი წლის წინო, ბიჭოო, აი იმ გამოყლევებულის წიგნის პრეზენტაცია რო იყოო, დასალევიც არ ჰქონდა მოტანილი, ჩვენ ვიყიდეთო. მერე იმან, აი წამალში რო გაიპარა, - პოეტი რო იყოო, გრძელ ლექსებს რო წერდა, ელამიო. იმან მოსაწევი გააძრო, ბომბივით რო იყოო. ბევრი სასმელი იყო და ცოტა მოსაწევიო. არ გახსოვს, ძაან მწარედ რო ვახრჩოლეთ ბოთლიდან და მაგრა დაგვყარაო. უნამუსო ვიყო, არ მახსოვს.

სუფრა იყო სავსე და მადიანი. მაძღარი, მე ვიტყოდი, - როგორც ჩვენ შეგვეფერება, ქართველებს. მაგიდა პირდაპირ პაპამისის საწოლზე მიმდგარი. სახლს ძველი სიმდიდრე ეტყობოდა, ავეჯ-

ზეც, სიდიდეზეც და ძველ რემონტზეც. არ მოველოდი, ისე გულმხურვალედ შემხვდა თედო, გადამეხვია კიდეც. თვითონ იუბილარი, თედოს პაპა, - სუფრასთან გამოჭიმულიყო. თავიდანვე ცოტა გიჟი მეჩვენა, ბევრი ნაოჭები გამხდარ თავზე და სახეზე, ასაკისგან გაწყალწყალებული ლურჯი თვალები და სიბერეში შემორჩენილი მსუქანი ტუჩები. პატარა თედოსაც ესეთი მსუქანი ტუჩები ჰქონდა, სულ მინდოდა, რომ ესეთი ტუჩები მქონოდა. მეგონა რო ქალებს ეგრევე უნდებათ კოცნა. სტუმრად იყვნენ კიდევ ორი კაცი და ერთ-ერთის ცოლი. სანამ სუფრასთან დავჯდებოდით, პატარა თედომ ამიხსნა, პაპაჩემ თედოს შორეული ნათესავები არიან, როგორც მეუბნებიან, ძლივს გვიპოვეს და ეხლა მპირდებიან, აღარ დაგკარგავთო, წარმოდგენა არ მაქვს ვინ არიან. ვერ ვიტან ეგეთებს, ნახე რა იდიოტურ ანეგდოტებს ყვებიან ეს გამოსირებულებიო. პაპაჩემი ცას რო გამოეკიდოს, კიდე ჰა- ჰა 10 წელი იცოცხლოს და მერე მე უნდა მომიტყნან ამათ ტვინიო. რას ერჩიმეთქი - ხალისიანები არიან, აბა ყველა მწერალი ხო არ იქნებათქო. რო მცოდნოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვერც მე ავიტანდი თავიდანვე. ისე მართლა ცოტა გამოყლევებულები იყვნენ.

მერე დაიწყო სადღეგრძელოები, განსხვავებულები, ყანწები. ჩემი მაგობარი ჩაუჯდა შორეულ ნათესავებს და აქეიფდა მადიანად, უუჰ, ხალისობენ. მე ცოტას ვწრუპავ. ძველი მეგობრებივით გავუგეთ მე და პატარა თედომ ერთმანეთს, იმდენად კარგად, რომ როცა პაპამისი აგრესიული სისინით დავალებებს აძლევდა, ბოდიშსაც აღარ მიხდიდა, - ასრულებდა და მერე იძახდა, გაატრაკა რა საქმეო, არ ეყო რაც ხალხი ხოცაო? თავიდან მეგონა ხუმრობდა, რო დავთვერი, ვიკითხე, მართლა ხოცავდა თუ ხუმრობ, სტალინიათქო? თამადამ - შორეულმა ნათესავმა, ყური მოკრა ჩემს ნათქვამს და აიტაცა, სტალინს გაუმარჯოსო, მეორე გადმოიხარა და მითხრა, კი არ ხოცავდა, დამნაშავეებს ანადგურებდა - დაიცადე თვითონ დაიწყებს მოყოლასო.

...იქ უკვე ველარ გავუძელი, როცა ცოლისძმას ცრემლები წამოუვიდა და შენ მაინც ამაცილეო, ჩაიბუტბუტა, და ვერა, არ გამომდის, ცხოვრებაში არ ამიცილებია, ვერ ვახერხებო, - უპასუხა. მაშინ, ჩემ დიშვილს, თუ ბიჭი გაჩნდა, ჩემი სახელი დაარქვიო და ჩაიფსა, არაო, ვერც მაგას ვიზამ, მოფიქრებული მაქ სახელიო, - რაღა ამ ისტორიის მოყოლა დაიწყო? იქნებ ესე არ გავგიჟებულიყავი, - მერეო, რო დაიძახეს ცეცხლიო, გულში სროლა მინდოდა, რო არ ენვალა და ის ჩემი ცოდვით სავსე შიშისგან ჩაიკეცა და სახეში მოხვდაო, თავის ქალა აეხადა... იმდენი მყავდა დახვრეტილი და ტვინი პირველად ვნახეო. მეგონა თვალებს დავუხუჭავდი და ეგეც არ გამომივიდა - თვალების დახუჭვის უფლებას ხო მარტო მე მაძლევდნენო და ჩემი ცოლიძმაზე ვერ მოვახერხეო. საწყალი ჩემი ცოლი, ამან იმსხვერპლა. ვიღაც ნაბიჭვარმა ამბავი მიუტანა, შენი ძმა შენმა ქმარმა დახვრიტაო. მეორეზე მყავდა ფეხმძიმედ და მშობიარობას ისე გადაყვა, ცოცხალს ვერც მივუსწარით. ბავშვიც ვერ გადარჩაო, - ცრემლები გადმოყარა... და ეტყობა ცრემლებზე გავგიჟდი. გონზე რო მოვედი, ლობიოთი სავსე ქვაბი ჰქონდა ჩამომხობილი თავზე, ძღნერივით ჩამოსდიოდა სიფათზე, ხელი შორეულმა ბიძაშვილმა დამიჭირა, ღვინით სავსე დოქსაც ვურტყამდი. მაგრა მცემეს. თედო არ ერეოდა ჩხუბში, ჩემი ძმაკაცი ჯერ გვაშველებდა, მერე რომელიღაცამ სკამი ჩაარტყა. მოწეული იყო და ვერ იჩხუბა. ისე, მაგრა ჩხუბობს.

## ქიმია

პაპაჩემი თედო ამ ამბიდან ერთ თვეში მოკვდა. ჯერ ცუდად იყო, არავის გველაპარაკებოდა, მერე გინება დამიწყო, მერე ჯანზე მოვიდა და ის ამბავი მომიყვა, როგორ გახდა ჯალათი და მერე ტვინში სისხლი ჩაექცა, ორ კვირაზე მეტი ესე ინვალა და მოკვდა.

დავკრძალეთ. დედაჩემი ვერ ჩამოვიდა. ის გამოყლევებული ნათესავები დამეხმარნენ. ამ იდიოტურ რიტუალებში ძალიან საჭირო ხალხია, - რაც იციან, იციან. სულ ოცი კაცი იყო საფლავზე. ქელეხზე ოციც კი არ დარჩა, სადღაც ათნი ვიჯექით.

ეხლა სულ მარტო ვარ. სიცარიელე მაქ. მსხვერპლის სიცარიელე, სადისტის სიკვდილის შემდეგ... და უცებ გამახსენდა ფული. ბოლოს კი ცოტას იძლეოდა, მაგრამ იქნებ რაღაც მაინც დარჩა. ყველგან მოვძებნე, არსად არ იყო. ერთადერთი, ლოგინს არ ვეკარებოდი. ღვდელმა გვითხრა ორმოცამდე ხელი არ ახლოთ, სული აქ ტრიალებს და შეიძლება თავის ლოგინში დაწოლა მოუნდესო. ვითმინე, ვითმინე და არასოდეს მჯეროდა ღვდლების და რაღა ეხლა გადავირიე. ლოგინი ავშალე, - არც ბალიშებში, არც მუთაქაში, არც ლეიბში. საბანი ხშირად ამიწევია, მაგრამ მაინც მოვსინჯე, - არსად არაფერი. გადავწყვიტე, რომ ეშმაკი აძლევდა და მაინც ავშალე ლოგინი. იქ, სადაც ფსლის ლაქები იყო, აი, ზუსტად იქ, სადაც ტრაკი უნდა დებოდა... მაინც რა ახვარი იყო, არც თავთან, არც ფეხებთან... ზუსტად იქ სადაც ტრაკი ედო, სადაც ყველაზე ნაკლები სურვილით შეეხებოდი, პატარა გასაღების ღრიჭო ვიპოვე. გასაღების ძებნა არ დამიწყია, ამოვამტვრიე. ტახტი სკივრად ექცია, შუა ნაწილის რამდენიმე ფიცარი კარივით გაიღო, - საერთოდ ვერ შეამჩნევდი. შიგნით ორი რკინის ყუთი იდო, ერთი პატარა, - სამი სქელტანიანი წიგნის ხელა. მეორე ექვსი წიგნის ხელა. ორივე გასაღებით იყო ჩაკეტილი. რათქმა უნდა არც ამ გასაღებების ძებნა დამიწყია, - ორივე გავტეხე. პატარაში დიდის გასაღებები იდო და წერილების დასტა. დიდში... ვიპოვე, ვიპოვეეე!!!! - ბევრი ფული ვიპოვეეე! და დიდი სია, სად, რას და როგორ ხარჯავდა. ჩემი ბოზების ფულიც კი შეეტანა, თითქმის ორმოცდაათიათასი გამოდიოდა, რა მიტყნაურია, ეე! ის ფული, რაც დამხვდა, სულ ცოტა - ხუთი წელი ნამდვილად მშვიდად მაცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული

რებდა, თან დედაჩემიც ხო მიგზავნის და თითსაც არ გავანძრევ, თუ მომინდა, ჰაჰა დავწერო. ... და არც ცოლს მოვიყვან, ბოზებით გავალ იოლას თუ მაინცდამაინც.

კიდევ იყო ერთი სია, რომელშიც ეწერა, რა რაოდენობის ფული, ვის დახვრეტაში ჰქონდა მიღებული, მთელი ნუსხა - ჯამაგირად, პრემიად, საჩუქრად.

ფულით გამოწვეული სიხარულის ელდა რომ გადავიტანე, ჩამოვწერე, ვის რა ვალი უნდა დავუბრუნო და მე რა დამრჩება. ერთობ კმაყოფილი წამოვწექი, გვერდით მოვიდე ეს სიები და წერილები და დავიწყე კითხვა.

პატარა ყუთში დედაჩემის გამოგზავნილი სამი წერილი იდო. ფულზე ჩხუბობდნენ, - ნუ მალავ რასაც გიგზავნითო, ეჩხუბებოდა დედაჩემი. აღარ დამაინტერესა მათმა ვნებათაღელვებმა და დახვრეტილების სიას ჩავუჯექი. სუ ფეხებზე მკიდია, აქამდე ვინც დაუხვრეტიათ და ვისაც ამის მერე დახვრეტენ, მარა გაოგნება მაინც ვერ დავმალე, ხო ვიცოდი რო ჯალათი იყო, მაგრამ ამდენი ადამიანი მეტისმეტია... მოკლედ, ეწერა, ვინ ვინ იყო და რისთვის დახვრიტეს. ხან ერთი სიტყვა და თარიღი და ფულის რაოდენობა, რამდენი გადაუხადეს. ომამდე დახვრეტილებს, ძირითადად „ხალხის მტერი" ეწერა, სულ თავადიშვილ-აზნაურები იყვნენ. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული 50-იან წლებამდე, ძირითადად „დეზერტირები" ან „შპიონები" ჰქონდა მიწერილი. 50 იანებიდან 70 ნების ბოლომდე, „შპიონები", „სამშობლოს მოღალატეები" და „ხალხის მტრები"თითქმის აღარ იყო. ერთი-ორ ადგილას იყო მხოლოდ „აგენტი", დანარჩენი სულ „მკვლელები" და „ქურდები" იყვნენ, ან - „ყაჩაღები", ყველაზე მეტი მაინც"კომბინატორი" იყო, „მილიონები ჰქონდა სახელმწიფოსთვის მოპარული"- ეწერა მოკლე ახსნა. ოთხმოციანებში, ცოტ-ცოტა ისევ წამოვიდა „სამშობლოს მოღალატეების" რაოდენობ. ყველაზე დიდი ფული კი, რაც არ უნდა უცნაური, ბანალური და სიმბოლური იყოს, პირველ და ბოლო დახვრეტილში მიეღო. პირველზე ეწერა, - „მწერალი, ბერიას დასცინოდა". ბოლოზე ეწერა, - „მღვდელი, თვითმფრინავი გაიტაცა".

დავყურებდი ფულს და რიტორიკული ფიქრები მიტრიალებდა, ღირს ამ სისხლიანი ფულის დატოვება? ისე, ფულს მართლა არ აქვს სუნი და არც სისხლი ეტყობა.

სიების ყუთში ძველი გაყვითლებული წერილებიც ეყარა, სულ ხუთი ცალი იყო, წერილის ავტორს თავისი სახელი არ დაეწერა, თუმცა პაპაჩემის ხელით ყველაზე მიწერილი იყო: იოსებგოგო, ან სოსიკო ან იოსკა - და თარიღი, - როდის იყო მოსული. ძალიან დამაინტერესა, ქრონოლოგიურად დავალაგე, პირველი წერილი სამოცდაათი წლის იყო, ბოლო წერილი სამოცდახუთის: „თედო, დედაშენი ჩვენთან არი, ჩემო ყველავ, იმ ღენერალმა, მამაჩემი რო დახვრიტა, სალდათები დაგვიყენა და არსად გვიშვებენ, თითონ მოდის და ხან ერთს და ხან მეორეს... მერე კიდევ რაღაც ეწერა და გადაჯღაბნილი სტროფების შემდეგ გრძელდებოდა, - „... თედო, გუშინ ღენერალის კაცები მოვიდნენ... ქაღალდი მოიტანეს, უნდა დაგვხვრიტონ მეც და დედაშენიც, ორივენი გეაჯებით, იქნებ შენ მოხვიდე ამის საქნელადა, თან განახავდით და თანაც შენ უფრო მოგვივლიდი... დედაშენიც ძალიანა განატრობს... იქნებ შენ დაამთავრო ეს ძაღლუმადური ცხოვრება, ... შენ დაგვხვრიტო ჩემო ერთავ." ან მაშინ პატარა იყო, გული აუჩუყდა და ვერ გააკეთა, ან უკვე ისეთი ნაძირალა იყო, გააკეთა და მიხვდა, რომ არ უნდა ჩაეწერა. ათი-თხუთმეტჯერ მაინც გადავურბინე დახვრეტილების სიას, ვერაფერი ვიპოვე, ხან ისე წავიკითხე, ხან ესე. მეთქი, იქნებ რამე დაფარულად მაინც უწერია, - არაფერი. კიდე ერთია, შეიძლება მართლა ადამიანურ თანადგომად ჩათვალა, ტკივილის გაზიარებად და მივიდა, ნახა და გააკეთა, უბრალოდ სხვანაირად არ იცოდა. კაცმა არ იცის, იქნებ შავისა და თეთრის ზღვარს გადაცდენილი, აბსოლუტური სათნოებაა. ბევრი ვიფიქრე ამ ყველაფერზე და წერა დავიწყე.

ამ ამბის მერე 10 წელი გავიდა თითქმის, გადავხედე ამ ჩემ დაწერილ ისტორიას და რედაქტირება არ აწყენდა, რედაქტირება კი არა, ფინალის გაგრძელება, აი, ხომ არის ლიტერატურაში შემთხვევები რომ აგრძელებენ ამბავს, ათი წლის მერე, ოცი წლის მერე, მეც ვიზამ, რა მოხდა, ვის რას ვუშავებ, მითუმეტეს რო ამ მოთხრობის მერე არაფერი დამიწერია, მაგრამ არც გამომცემელთან მიმიტანია - ვერც დავამთავრე, ეტყობა გამაზარმაცა პაპაჩემის ფულმა, საჭმელ-სასმელზე საზრუნავი მე არ მქონდა და ბოზებსაც თავზე გადასდიოდათ. ის ფული როგორ გამიქრა, არც ვიცი, არადა, კაი დიდი ხანი მსუყედ მეყო. ვსვამდი და ვჭამდი, - ამაზე მაინც არაფერი მქონდა სადარდებელი, ერთი ეგ არი, სიზარმაცეს მიმაჩვია. სამეგობროში მე არ ვხარჯავდი, - არ მყავს. არც მანამდე მყოლია და ეს კაცური საძმაკაცო ხო ყოველთვის მეზიზღებოდა...

ცოლის მოყვანა არც არასოდეს მიფიქრია. მართალი გითხრათ და, ხანდახან ფილოსოფია წამილებს და იმ დასკვნამდე მივდივარ, ამ სამყაროს ჩემი ნათესლარი ნაღდად არ ჭირდება. მოსაწევიც აღარაფერს მიშვრება, ჰეროინიც ორჯერ-სამჯერ გავსინჯე, არაფერი - გული ამერია რა... ერთ ჩემნაირ ბოზს ვარ მიჩვეული, მარტო ის მიგებს, კაბის ჩაცმისას რო უფრო მიდგება. ახლა ალბათ ელოდებით რო ან ეკლესიაში წასვლაზე დავიწყებ ლაპარაკს ან თავის მოკვლაზე... არაფერიც, გადავწყვიტე... აი, ეხლა კი ელოდებით რო რაიმე ორიგინალურს ვიტყვი, არც არაფერი, ისევ ისე ზარმაცად წავალ და დავიძინებ, მღლის ამდენი ფიქრი... ძალიან მტკივდება თავი, დღეს ბოლო ქიმია გავიკეთე და ცუდად ვარ ცოტა... მეუბნებიან, პირველ სტადიას ვკურნავთო... არ მჯერა, თავშია მაინც და, რავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ქალებაშვილი

# ხელის მტევანი წითელ იატაკზე



## 1

ხის წითელ გახუნებულ იატაკზე, კედელთან ახლოს ზის მიკუნჭული. დროდადრო ჰაერს ღრმად ისუნთქავს, ან ისე ამოიოხრავს ხოლმე, რომ მისმა ტკივილმა სხვის ყურამდე არ მიაღწიოს. თავი ხელებში აქვს ჩარგული. დიდი ხანია, თვალებში აღარ მიყურებს, ალბათ ვერ მიტანს, ვეზიზღები. ვდგავარ ღია ფანჯარასთან და ნანვიმარ ქუჩაში მზერას ვახეტებ, იქნება და, გამოსავალს მივაგნო.

ჩემი ცოლი... ჩემი ცოლი... დიდი ხანია, აღარაა ჩემი. იქნებ არც არასდროს ყოფილა. იქნებ მისმა ყოველდღიურმა ფუსფუსმა, რასაც ასე მივეჩვიე, დამიბრმავა თვალები და დამაჯერა, რომ ჩემი იყო კულით თუ ხორცით.

დგება. ზედაც არ მიყურებს. თითქოს აქ არ ვიყო. თითქოს ეს ოთახი ცარიელია. ნეილონის თეთრ ფარდას ნიავი მსუბუქად ეხება, ალაგ-ალაგ ბურცავს, ტალღავს. მოპირდაპირე სახლის ფანჯარაზე მტრედები მოგროვილან, გვერდიგვერდ ჩამწკრივებულან, ერთმანეთს ათბობენ. აღარ შემიძლია ამ სურათის ატანა, ვერც პირი მიბრუნებია. რომ შემოვბრუნდე, რას ვიზამ? რას შევცვლი?

მისი ფეხის ხმა მესმის, მსუბუქად დადის. ზოგჯერ იატაკი ჭრიალებს და თავზარი მეცემა, მაკრთობს, გულს მიფრთხობს. რას ვიზამ, რომ შემოვბრუნდე? კარადაც აჭრიალდა, ელვა შესაკრავის ზრიალმა ბოლო მომიღო. თითქოს ასეულობით დამფრთხალმა ჩიტმა ფრთები ერთდროულადააშრიალა და სამუდამოდ დატოვა ხმელეთი. დავცარიელდი. სახლის კარი ისე გაიხურა, თითქოს არც არასდროს გაღებულიყოს. ისე წავიდა, თითქოს აქ არასდროს ეცხოვროს.

შემოვტრიალდი და კარს შევხედე. აცვენილ საღებავებს შორის ზომბები და უცნაური სხეულები მელანდებოდა. ძალაგამოცლილი ჩავიკეცე. თვალწინ დამიტრიალდა ერთი საათის წინანდელი ამბავი.

აღარც კი მახსოვს, კამათი რატომ დავიწყეთ. გაღიზიანებული იყო. მთელი დღე წიგნიდან თავი არ აუღია, ჩემთან ლაპარაკს ერიდებოდა. რამდენჯერმე ვცადე, მისი ყურადღება მიმეპყრო, მაგრამ კითხვებზე მოკლედ მპასუხობდა და წიგნს უბრუნდებოდა.

## 2

ის რომ კითხულობდა, მე სამზარეულოში ვიყავი. ყავას ვადუღებდი. კოვზი დამივარდა. ვერ მოვითმინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიგინე. იტაკიდან ავილე, ნიჟარაში ჩავაგდე და დასხმული ყავის დალევა გადავიფიქრე. ისე წვიმდა, რომ გაქცევის შესაძლებლობას არ მიტოვებდა. აბა, სად უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ ამინდი კიდევ უფრო მალიზიანებდა როგორც წინალობა, რომლის გადალახვაც საკუთარი ძალებით არ შემეძლო. უშველებელი შავი ტვირთი გროვდებოდა სულში, სიჩუმე კი ყველაფერს ამუქებდა. რაც უფრო ხანგრძლივდებოდა უსიტყვოდ ჩავლილი დრო, ტუჩები უფრო ძლიერად ეწებებოდნენ ერთმანეთს, მუმიებს ვემსგავსებოდით, ჩიხშიც უფრო ღრმად შევდიოდით.

სად გაქრა სიყვარული? როგორ გავბედე ხელის აწევა? როგორ გავუბედე საკუთარ თავს ასეთი სიმდაბლე? ჩემი აღმართული ხელის ჩრდილმა კედელზე რომ აირბინა, მისი პროფილი არ განძრეულა, ალბათ აინტერესებდა, სადამდე დავეშვებოდი. მხოლოდ მაშინ და ისიც ერთხელ შემომხედა მკვეთრად, გამჭოლად. ეგ იყო და ეგ... ამით ყველაფერი დასრულდა. საბოლოოდ წავართვი ის მცირე პატივისცემა, რომელსაც ინახავდა როგორც მიზეზს, რომ ჩემთან თანაცხოვრება გაემართლებინა.

### 3

ოთახის შუაგულში მაგიდაზე ჯერ კიდევ დაუმჭკნარია ჩემი მოტანილი ყვავილები. თეთრი, იისფერი... ყვავილებიც ზიზღს მგვრიან, საკუთარ თავს მაძულებენ. მე ვიყავი თვალთმაქცი, მე შემეძლო ორი დღის წინ ამ ყვავილებით ხელში მოვსულიყავი და ახლა რა მოხდა? რა დატრიალდა ერთი საათის წინ? აკვიატებულმა აზრებმა შემიპყრეს. მამა სერგი... მამა სერგი... მამა სერგი... ვიმეორებ... ვიმეორებ... შეწყვიტე, ღმერთო! დამასვენე... დამასვენე, ღმერთო.

ასე ხომ ხშირად არ ხდება? როგორც წესი, არ ვიქცევი ასე. ეს მე არ ვარ. არ მგავს ეს კაცი. როგორ გავბედე?!

ჩვენი ქორწილი გამახსენდა. ის ტკბილი ღამე, მისი სითბო... გული მერევა. თმებში ხელები ჩავიბღუჯე, თითქოს მინდა დავიგლიჯო, ჩემს თავს ვაზღვევინო იმის გამო, რომ უკანასკნელი ადამიანი დამაკარგვინა.

გული ამერევა. ფეხს ფეხზე ვიჭერ. მინდა მეტკინოს. მე ხომ თავი ყოველთვის კარგ კაცად მომქონდა? არ შევირჩენ. არც შემრჩა... პირველ ღამეს სულმა წამძლია. მის გაშლილ ფეხებს შორის ისე მალე შევაღწიე, არც მიკითხავს რას გრძნობდა, რა უნდოდა, კიდევ რა შემეძლო გამეკეთებინა იმის გარდა, რაც გავაკეთე... დილით გაღვიძებულებმა ერთმანეთს გავუღიმეთ. სინდისმა შემაწუხა, შემრცხვა და გაქცევა მომინდა. პირველმა დღემაც არ ჩაიარა ურიგოდ, შინაგანი ხმა მობეზრებული პერანგივით საგულდაგულოდ მივჩქმალე, კარადაში შევუძახე და დიდი ხანი არც გამხსენებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

4

რაც დრო გადიოდა, მით უფრო გვიჭირდა სურვილების თანხმობაში მოყვანა. მის თვალებშიც იშვიათად ციმციმებდა სიხარულის მინავლებული ვარსკვლავი. სექსის დროს ჩემთვის გაუგებარ ოცნებებში ისე დაფრინავდა, უცხო პლანეტაზე მეგონა თავი. ვერ ვხვდებოდი, ჩემს მოძრაობებს განიცდიდა თუ არა. ხანდახან დასრულებული არ მქონდა, რომ გამოსვლას მაიძულებდა და საწოლიდან დგებოდა, იცვამდა...

ბოლო დროს მისი მეგობარი ხშირად მოდიოდა სტუმრად. მას რომ ხედავდა, მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი, მაშინ უბრწყინავდა თვალები, თითქოს სიცოცხლე უბრუნდებოდა. მეგობარს რომ ემშვიდობებოდა, განწყობა ან ამაღლებული შერჩებოდა, ან მყისიერად მოიწყენდა და ყველაფრის სურვილი უქრებოდა.



5

ცოლმა მიმატოვა. სიყვარული სილასავით ჩაიწრიტა ჩვენი თითებიდან - ბუდე ვერ ავიშენეთ... წყალივით ჩაიწრიტა - ერთიმეორეს წყურვილი ვერ დავუამეთ... სიყვარულის ხიდან ჩამოცვენილი ყვავილები ქარმა გაიტაცა და უცნობი ქუჩის კუთხეში მოაგროვა. მეეზოვე მივიდა და ჩვეული გულგრილობით მოხვეტა, ნაგვის ყუთში ჩაუძახა ყველას ერთიანად. წარსული ხელიდან გამოგვეცალა. მაინც რა გვქონდა საერთო? რა გვაყოვნებდა ერთად? რატომ არ გვქონდა იმედი, რომ ამ ხის სიშიშვლე დროებითი იყო, რომ მალე ისევ შეიმოსავდა სურნელოვან კაბას?...

მამა სერგი... მამა სერგი... მამა სერგი... არ ვიყავი ამ ქალის ღირსი. თვითონაც კარგად ესმოდა, მაგრამ პირში არასდროს მოუძახებია, თავისი გარჯა არასდროს დაუყვედრებია... ალბათ ელოდა, რომ გავილვიძებდი... რომ ბოლოსდაბოლოს მის გარჯასა და მზრუნველობას კი არა, მის თვალებში ჩამდგარ წუხილს გამოვიძიებდი. სამზარეულოს გაზქურის ნაცვლად მის თითებს დავაკვირდებოდი... სავსე ქვაბი ცარიელი სულის ნიშანია, ყალბი ნუგეშია, რომელიც ახლობელი ადამიანის ხორციელ შიმშილს ისევე დროებით აძინებს, როგორც მზრუნველი ადამიანის სულიერ უკმაყოფილებას.

6

რა გინდა რომ ქნა, როცა საკუთარი უსუსურობა ისე გამცრობს, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად სხვისი დაჯაბნის მეტი სხვა გზა ვერ მოგინახავს?...

7

ჩვენი ცოლქმრობის მეხუთე წელს მიმატოვა. ერთხელ შევესწარი, თავის მეგობარს როგორი აღფრთოვანებით გადაეხვია. საეჭვიანო რა მქონდა, მაგრამ დღემდე ვერ ვივიწყებ ამ სურათს. რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის უნახაობის შემდეგ, ისეთი ძლევამოსილი და ინტიმური იყო მათი შეხვედრა, მისი მეგობარი კაცი რომ ყოფილიყო, შესაძლოა სცენებიც გაემემართა. ცოტა ხანს მათთან ვრჩებოდი ხოლმე, რომ სტუმარს უყურადღებობაში არ ჩამოერთმია. მერე სახლიდან საქმეზე ან სასეირნოდ გავდიოდი, რომ მათ თავისუფალ საუბარს მურმანის ეკლად არ შევრჩენოდი.

დაქორწინებული არ იყო და ყოველთვის, როცა საუბარი ამ თემაზე ჩამოვარდებოდა, სიტყვას ბანზე აგდებდა, მონა ლიზას თავშეკავებული ღიმილით ისხლეტდა. შინ რომ ვბრუნდებოდი, სტუმარი მალევე წამოდგებოდა, თავისთან გვიწვევდა და აღელვებული მიდიოდა. ნახევრად მობრუნებულ სახეზე ისეთი აზრი ეხატებოდა, თითქოს ფიქრობდა, რაღაც მრჩებაო. მერე კიბეებზე ეშვებოდა და ჩანთას ამოწმებდა. ეტყობოდა, ისიც კარგად იცოდა, რომ ჩანთაში ყველაფერი თავის ადგილზე იდო და ნახევრად ჩაბნელებულ სადარბაზოში მხოლოდ მღელვარების მისაჩქმალად აფათურებდა ხელებს. ჩემი ცოლი ფანჯარაზე გადაეყუდებოდა, ხელს დაუქნევდა და მანამდე არ შემობრუნდებოდა, ვიდრე მეგობარს მხედველობიდან არ დაკარგავდა. მართალია, მაშინ იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ალბათ რამდენიმე კვირაში ერთხელ, მაგრამ მაინც გამორჩეული მეგობრობა ჰქონდათ.

ახლაღა დავფიქრდი, რომ არასდროს მიკითხავს, როდის ან სად დაიწყო მათი ურთიერთობა. ქორწილში რომ ყოფილიყო სტუმართა შორის, ალბათ დავიმახსოვრებდი. არც სილამაზე აკლია და არც - ჭკუა. მაინც უცნაურია: სანდო ადამიანს ჰგავს, მაგრამ ახლოს ბევრს არ იკარებს. მისი სხეული რამდენიმე შრიან მდიდრულ და იდუმალ სახლს ჰგავს. მხოლოდ მისაღები ოთახი აქვს ღია, სხვა დანარჩენი კარებები რამდენადაც ცნობისმოყვარეობით გიზიდავს, იმდენად გაუცნობიერებელი შიშით გაფრთხილებს, რომ არ მიეკარო.

## 8

კარის აცვენილი სალებავებიდან ზომბებიც ქრებიან. წვიმიანი ამინდი, მე რომ გადაულახავი წინაღობა მეგონა, და ასე ძლიერ მთრგუნავდა, ჩემი საყვარელი ცოლის თავშესაფარად ქცეულა. უცხო ხმა ქირქილებს: მამა სერგი... მამა სერგი... ხელი ბოროტად ალვმართე, სინდისმა დროულად მომისწრო და ულირსი განზრახვა მომკვეთა. აი, ვხედავდი ჩემს წინ ამ მტევანს, წითელ გაცვეთილ იატაკზე რომ ეგდო შესაბრალისად... თითქოს მოწყალების სათხოვნელად გამოშლილიყო და თავისივე გასრესილ ყვავილებს სთავაზობდა საქორწილო სარეცელთან მიკუნჭული ცოლის აჩრდილს. ზომბებიც ტოვებენ სახლს, სიჩუმე ისადგურებს და ვრჩები სრულიად მარტო, იმ კალთის გარეშე, რომელსაც ბავშვობიდან გამოვეკერე, რომ ეს ამინდი... რომ ეს აუტანელი ამინდი არ დამდგარიყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაკო შუკაკიძე

* * *

მე მუშათა კლასის ოჯახში დავიბადე,
რაც თავი მახსოვს დედაჩემი სულ მუშაობს,
ამუშავებს მიწას, უვლის შინაურ ცხოველებს და ადამიანებს.
დადის ტყეში შინდისა და მაყვლის მოსაგროვებლად,
ის მსგავსად ყველა ომგამოვლილი ქალისა
ეროვნული გმირია,
რომელსაც სახელმწიფო თვეში 45 ლარს უხდის,
გაწეული გმირობისა და სიცოცხლის გადარჩენისთვის.
დედაჩემი ყველაზე ოპტიმისტი ადამიანია,
ის ხშირად მღერის ძველ სევდიან სიმღერებს
დაკარგულ სიყვარულსა და სამშობლოზე.
ჩემი დარდი მასთან შედარებით არაფერია,
სასაცილოდაც კი მეჩვენება.
ჩვენ მუშათა კლასი ვართ,
არავინ გვეკითხება რას ვგრძნობთ
ან რა გვაწუხებს.
პოლიტიკოსები და სასულიერო პირები განგვიხილავენ
როგორც ერთ-ერთ პრობლემას,
რომელსაც რაც მალე მოაგვარებენ, მით უკეთესი მათთვის.
ჩვენი ოცნებები მიწის ქვეშ კარტოფილებივით მარხია
და ფრთებს ველარასოდეს შეისხამენ.
დედაჩემი ეროვნული გმირია,
ჩვენ მუშათა კლასმა გამოგვზარდა
და რაც თავი მახსოვს სულ ვშრომობთ.



* * *

ხანდახან ჩემს მეგობარ პოეტებს დავცინი,
ღმერთო რა სულელები და ჩვეულებრივები არიან ისინი,
არაფერი რაინდული და მომხიბვლელი არ გააჩნიათ,
უსაშველოდ იხრებიან წელში,
დილით მთვლემარე სახით მიაბიჯებენ სამსახურებში და
გამონაკლის შემთხვევებში, ღვინოს სვამენ იაფფასიანს.
ვნებით.
არა როგორც ქალი და კაცი,
არამედ ორი იმედგაცრუებული ადამიანი,
რომლებსაც მარტოსულობისაგან თვალები და ხელები ჩამოწელვიათ
და აჭირდებათ ვინმე, ვინც კიდევ უფრო გაუსაძლის გახდის მათ ყოფას.
როდის ჩამოწვა ჩვენს ფანჯრებთან ნისლი?
როდის გაფრინდნენ საყვარელი კაცები და ქალები ჩვენგან?
როდის დაემსგავსა ცხოვრება საყვარელ პიესებში ამოკითხული პერსონაჟების ყოფას?
„დაიინება რომ შემეძლოს, სიყვარულსაც შევძლებდი"
ადექი გავიქცეთ, ვეუბნები მას,
ის კი მპასუხობს, - კარგიო, და უძრავად დგას.
რატომ არაფერს ვცვლი,
რატომ ვუყურებ ჩემს გაწელილ დაკრძალვას,
რატომ არ ვაჩენ შვილებს,
რატომ გავრბივარ ყველა შესაძლო ბედნიერებისგან,
ვინ ჩაინიშნავს ჩვენს კითხვებს, რომ მერე პასუხების გაცემა არ დაავიწყდეს?????
ხანდახან ჩემს მეგობარ პოეტებს დავცინი (გულიანად)
როგორი უბრალოები და ხელმესახებები არიან,
უსაშველოდ იხრებიან წელში და მოთმინებით მიაგორებენ ალმართზე სევდას.

* * *

როგორია თანამედროვე პოეტის თვალები ან ცხოვრება?
როგორია მისი ანთროპოლოგია, მრწამსი?
ფსიქოლოგია?
ფიზიონომია?

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფსიქიკური, სოციალური, თუ სხვა მდგომარეობა?
რატომ გამოიყურება ასე მარტო, მიუსაფარად და გამოთიშულად
რატომ ირხევა მისი სხეული, როგორც პორტის გრძელ რიგში მდგომი ნავები?
რატომ არავის ახსენდება მისი მოხსნა მისაბმელიდან,
რატომ არავინ გაიყვანს შემოდგომის ზღვაში,
იქნებ დარდი დაუგროვდა.
თვალები ფიქრით აევსო და სული ეკვრის?
როდის იქნება, რომ ყველა გრძნობა, რომელიც შესაძლოა დაუფლებოდა,
დაიფარება მიწის ან წყლის ქვეშ?
ჩვენ ვცხოვრობთ ერთმანეთის პირისპირ,
მაგრამ არაფერი გვაქვს საერთო ან წინააღმდეგობრივი,
როგორ ვერ შეძელი ზღვარის გავლება ცხოვრებასა და ლექსებს შორის?
ნუთუ იმდენად იდიოტი ხარ, რომ იმ ამბების გმირებს დაემსგავსე,
რომლებზეც წერ?
რატომ შეგემთხვა ასეთი გაუგებრობა,
შენ ხომ პრაქტიკულ და გონიერ ადამიანად მიგიჩნევენ მეგობრები,
როგორ შეძლებ მათთვის თვალის გასწორებას, ვინც იმედები აგკიდა მხრებზე
და აღმართისკენ ისე აუყევი გზას, არავისთვის შეგიხსენებია, რომ დაბრუნდებოდი,
ნეტავ გაურკვევლობის მსხვერპლი ხარ თუ გმირი?
სიტყვები სიცარიელის საბურველში გაეხვივნენ,
რატომ არავის გაახსენდი მთელი ეს დრო?
რატომ ხმას არ იღებ?
როდის იყო მკვდრები დუმდნენ?!
გამოიღვიძე!

* * *

კითხვები თოვლის ფიფქებივით ნადგურდებიან
და რჩება მხოლოდ მოგონება,
რომ ოდესღაც რაღაც გამოვტოვეთ,
გადავაბიჯეთ, თვალი დავხუჭეთ.
*ჩვენი სურვილები ჩაეფლო სევდის მორევში*
დაივიწყე,
დაივიწყე,
დაივიწყე,
რაც იყო!
ანგელოზებმა სახე იცვალეს და მოწყვლად ღმერთებს დაემსგავსნენ.
*შორს სამოთხე და შორს ჯოჯოხეთი...*
დაიბადე, ნიშნავს ვეღარ იხილო
ზღვებს ვერ გააპობ,
მთებს ვერ დაძრავ,
ღვინოდ ვერ აქცევ...
თვალებიდან ამოიგდე ზეთისხილის რტოები,
სისხლი,
სისხლი,
სისხლი!!
ყვავის ჩხავილი ემსგავსება დედის გალობას,
მარტოსულების სანუგეშოდ რეკავს ზარები,
დაივიწყე,
დაივიწყე
დაივიწყე!!!



* * *

ზოგი მკვდარი მიწაში ღვივდება,
როგორც თესლი ახალხნულებში,
ეს ძირითადად მათ ემართებათ,
ვინც ბოლომდე ვერ ჩაძაღლდნენ.
რა უნდა შეგემთხვეს ამაზე შემზარავი?
ვიდრე თავიდან შობა აქოთებული ქაობის ფსკერზე,
რა სასაცილოა და რა სევდიანი
ამოიზარდო სიკვდილიდან თანდათან
და გამზეურდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შეგიძლია თვალები დახუჭო და საკუთარი თავი გამოიხმო.
ახლა არსად გეჩქარება.
არაფერი გევალება.
არავინ გელოდება მეტროს გამოსასვლელთან.
ქაფქაფა ღრუბლები და ცხელი ქარი...
ყველა ცხოვრებამ ჩაიარა, რაც უნდა გეცხოვრა,
იასამნების ხეივანში ნვები პირაღმა.
რომელია შენი ვარსკვლავი,
შენი უბედური ვარსკვლავი რომელია?
როდის დაგცვივდნენ საყვარელი ქალები და კაცები?
მათი დანატოვარი მოგონებები, ხმელი ტოტებივით ჩამოგტყდომია,
როცა მარტო რჩები, უნდა აღიარო,
უნდა აღიარო რომ შიშველი ხარ
რომ არავინ და არაფერი დაგრჩა,
რაც დაფარავს იმედგაცრუების წყლულებს,
თვალებში ქვეწარმავალივით ჩაბუდებული სევდა,
შხამით ავსებს შენს ხმას და სიტყვებს.
რატომ გიფართოვდება...
რატომ გიფართოვდება ნესტოები?
რატომ გიფართოვდება ნესტოები ატმების ბაღში???

* * *

ჩემი ქალი ძალიან ლამაზია.
როცა ვუყურებ, ვხვდები,
როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი.
ვხვდები, თუ რა შორს ვარ ქალურობისგან.
ის ყოველთვის ნატურალურია,
მისი კანის ფერი,
თმა,
მანერები,
ყველაფერი ჰარმონიაშია!
ჩემი ქალი ყოველთვის სასურველია;
კაცები აღგზნებული მზერით უყურებენ, -
ერთი სული აქვთ მის სხეულს შეეხონ,
შეისრუტონ მისი სურნელი.
ჩემი ქალი ჩემი ერთგულია,
თვალებში მთელი ძალით ჩამყურებს,
მტვრიან გუგებს ამომისუფთავებს და
მეუბნება, რომ ის ძალიან ბედნიერია,
როცა მარტო ვართ...
ჩემი ქალი ყველაფერს ხვდება,
ხვდება, რომ მე იგი არ მიყვარს,
რომ როცა მასთან ვარ, სხვაზე ვფიქრობ,
თუმცა არასოდეს უსაყვედურია.
ჩემი კაცი იდიოტია,
ჩემი კაცი მოღალატეა,
მას არაფერი გაეგება
სიყვარულის და ეგეთი რამეების,
ჩემი კაცი მეზიზღება.
რატომ არ შემიძლია, აღარ მიყვარდეს?!
რატომ არ შემიძლია,
ჩავუსაფრდე და შუბლში ტყვია დავახალო?!
რატომ არ შემიძლია,
მშვიდად და ბედნიერად ვიცხოვრო ჩემს ქალთან?!
ის ხომ ისე მომხიბვლელია,
ისე ნაზი,
ისე მომთმენი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ლომსაძე

## ოდები სიკვდილს და გარეუბნის პალიმფსესტები

* * *

ისინი მიკეტავენ კარს
და მე ვეხეთქები მანამ, სანამ შევანგრევ.
ტანსაცმელივით ვიძრობ ჩემს ტყავს
და დაგიყრი ფეხქვეშ, დავიღალე.
დაბრუნებულ ჩონჩხს ველარ მცნობს ძაღლი
და მარტო სახლი უცნაურად დაიწყებს ტირილს,
როცა ჭერიდან წყალი ჩამოვა.
გავიფანტები და ნატეხებად მოვალ შენამდე,
აღარ ვარ ერთი, დავიკარგე.
შენ შეგიძლია ჩემი პოვნა შენი სკამის ქვეშ,
მაგიდის უჯრაში ან რომელიმე ნაგვის ურნაში
და მარტო შენ გთხოვ,
შემაგროვე და შემინებე, რომ ვიყოთ ერთნი.



* * *

მე ვცხოვრობდი ლოდინისა და შიშის ქუჩაზე
საკუთარ სახლში, სანამ გაბზარული იმედები
და სანოლის ქვეშ შევარდნილი სუფთა აზრები
ჩემი სახლივით დაბერდებოდნენ.

ავად არ ვყოფილვარ, უბრალოდ ერთ დღეს
ვიღაცამ მოულოდნელად ყველაფერი წინასწარ მითხრა -
ჩემი სახლი ადგილზევე დარჩებოდა - მე დავტოვებდი,
მაგრამ კედლებმა ვერ მიიღეს სიკვდილის წესები.

ბებერი სახლი და ჭაღარაშერეული სკამი,
ღრუბლებიანი ფანჯრები და მოცეკვავე იატაკი
მაგრად შეშინდნენ, მწვანე სანოლმა ველარ ამიტანა,
თითქმის ჩაინგრა, მაგრამ საათს არაფერი ემჩნეოდა.

* * *

თავი დახარე ფოთლებთან, მათ შეუძლიათ
პატივმოყვარეობის გარეშე კვდომა
უცერემონიოდ.
და უფრო მეტიც,
ელოდებიან, როდის წაიღებს
ხეებისგან ქარი მინისკენ,
ძირს დაცვენილებს როგორ უჩურჩულებს,
რომ მათი ცვენა სავსეა სიცოცხლით
და კვდომა მორჩა.

* * *

შენ თავში მუდმივ დაბრუნებას
დავიწყებისთვის იმეტებ,
სათქმელი არ გაქვს
და ექსტაზურ სიტყვებს
აწყობ ნაგავში,
სადაც ადგილი არავის ყოფნის.
დამალვას სახელს არ არქმევენ,
უბრალოდ გინდა,
ალარავინ შეგეხებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შენობის შესასვლელი კარის ტრიალის უსასრულობა,
წრეები ცაში, მრგვალი ბაღები.
ალუბლის ხის სკამი ყვავილობისას ისხამს მაგიდებს,
მითების დაკარგვის შიში და უძრავი ეპოსი.
დიომიდე სუბოტას არ აქვს სხვა გზა,
დიომიდე სუბოტა იჭრის გაუზრდელ თმას,
დიომიდე სუბოტა ისეთი სენტიმენტალურია,
იყენებს მოძველებულ სიტყვებს:
ახალგაზრდული ჟინი და მოელვარე ცა.
დიომიდე სუბოტას ოცნებები ვერ სცდება
ღრუბლებზე მოსიარულე ცოლს.
სუბოტას ჰყავს ნაცნობები მეზობელი ფანჯრიდან
და ყოველ დილით, როცა იცის, არავინაა,
ეზოში დაეძებს შემთხვევით სიყვარულებს.

* * *

პარკინგიდან გამოსვლამდე წვიმიან ამინდში,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა.
ერთკვირიანი უძილობა და ოცნებები -
ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა.
დაკეტილი მაღაზიიდან ნამოსვლის დროს,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა.
მათხოვრებით სავსე გადასასვლელები,
ყველასგან დავალებული მუშები,
პანიკური პაციენტებით მორთული,
დაგვიანებული ექიმებით სავსე
ჭუჭყიანი საავადმყოფოები,
ბეტონის ჰორიზონტალური წვიმა,
უძრაობისთვის განკუთვნილი მანქანები,
სკოლის მერხებზე დარიგებული უიმედობა,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა,
მენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი.

* * *

მომატებული მრიცხველები,
უკვე ღამდება ადრე
ცეცხლი დიდხანს ვერ გაძლებს
გირჩებისაა, ეზოში რომ იპოვეს,
სახლიდანაც ვერაფერს დაწვავენ
ფეხსაცმელების გარდა,
მეზობელს რომ ეცვა ხოლმე
და სიკვდილამდე დაუტოვა.
დილა ვერ დადგება
ან გათენება ისევ ჩამოყრის
ნაძვიდან გირჩებს
სულის ამოხდისგან გადასამალად.



* * *

უკვე ქარია, აკურთხევდინ ისრაელი უფალსა,
სახლები გაიქცევიან მალე.
გზას ვერასოდეს შეუცვლი სახეს,
აღამაღლებდით მას უკუნისამდე.
მზე და მთვარე სიჩუმეს გვაჩვევს,
ხმაში შემერევა არეულობა.'
ყველა წავიდა წინწილით თავისთვის
და აღარასდროს მოიხედავენ.
ქუჩა ისეთი დაცლილია, ქერუბიმების
გადაფრენის ხმებიღა ისმის,
გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი,
რათა აუარო სახელსა შენსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შენობის შესასვლელი კარის ტრიალის უსასრულობა,
წრეები ცაში, მრგვალი ბაღები.
ალუბლის ხის სკამი ყვავილობისას იხამს მაგიდებს,
მითების დაკარგვის შიში და უძრავი ეპოსი.
დიომიდე სუბოტას არ აქვს სხვა გზა,
დიომიდე სუბოტა იჭრის გაუზრდელ თმას,
დიომიდე სუბოტა ისეთი სენტიმენტალურია,
იყენებს მოძველებულ სიტყვებს:
ახალგაზრდული ჟინი და მოელვარე ცა.
დიომიდე სუბოტას ოცნებები ვერ სცდება
ღრუბლებზე მოსიარულე ცოლს.
სუბოტას ჰყავს ნაცნობები მეზობელი ფანჯრიდან
და ყოველ დილით, როცა იცის, არავინაა,
ეზოში დაეძებს შემთხვევით სიყვარულებს.

* * *

პარკინგიდან გამოსვლამდე წვიმიან ამინდში,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა.
ერთკვირიანი უძილობა და ოცნებები -
ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა.
დაკეტილი მაღაზიიდან წამოსვლის დროს,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა.
მათხოვრებით სავსე გადასასვლელები,
ყველასგან დავალებული მუშები,
პანიკური პაციენტებით მორთული,
დაგვიანებული ექიმებით სავსე
ჭუჭყიანი საავადმყოფოები,
ბეტონის ჰორიზონტალური წვიმა,
უქრაობისთვის განკუთვნილი მანქანები,
სკოლის მერხებზე დარიგებული უიმედობა,
აღვიხილენ თვალნი ჩემნი მთათა,
შენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი.

* * *

მომატებული მრიცხველები,
უკვე ღამდება ადრე
ცეცხლი დიდხანს ვერ გაძლებს
გირჩებისაა, ეზოში რომ იპოვეს,
სახლიდანაც ვერაფერს დაწვავენ
ფეხსაცმელების გარდა,
მეზობელს რომ ეცვა ხოლმე
და სიკვდილამდე დაუტოვა.
დილა ვერ დადგება
ან გათენება ისევ ჩამოყრის
ნაძვიდან გირჩებს
ხულის ამოხდისგან გადასამალად.



* * *

უკვე ქარია, აკურთხევდინ ისრაელი უფალსა,
სახლები გაიქცევიან მალე.
გზას ვერასოდეს შეუცვლი სახეს,
აღამაღლებდით მას უკუნისამდე.
მზე და მთვარე სიჩუმეს გვაჩვევს,
ხმაში შემერევა არეულობა.
ყველა წავიდა წინწილით თავისთვის
და აღარასდროს მოიხედავენ.
ქუჩა ისეთი დაცლილია, ქერუბიმების
გაფაფრენის ხმებილა ისმის,
გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი,
რათა აუარო სახელსა შენსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მედეა იმერლიშვილი

## მდინარე



მეგონა, სხვა მდინარეებისათვის
უნდა მესმინა, მდინარე მე ვყოფილვარ.
მეგონა, უნდა ჩამოვმჯდარიყავი
მდინარის პირას, საკინძე გადამეხსნა,
ხელები წყლისთვის მიმეცა,
მდინარე მე ვყოფილვარ, სად წავიღო ხელები,
რომელ წყალს მივცე, რომელ ტალღებს.
ეს ხევი, დაკლაკნილი, ღრმაზე ღრმა ხევი,
ხან შრება, ხან უხილავი წყლით ივსება,
მთვარის შუქით ივსება და მთვარის შუქი შენი სხეულია,
შენი სხეული მდინარეა, ხან უხვი,
ხანაც, დამშრალი ხევი, რომელიც მდინარეობს,
არ დაუკარგავს თავისთავში მდინარის ხსოვნა.
ჩამოიარე, მოიცალე ჩემთვის, ჩამოიარე,
შენ, მზეო, მთვარეო,
ალარ არის ჭები, ალარც უდაბნოები,
ალარც ქუჩის ხმაური,
ყოფიერების გამომხმარი ნარჩენებით.
ტყეების ხსოვნაა,
ხეების შრიალის ხსოვნაა,
სურვილების ხსოვნაა.

## ქვების ჩურჩული

ჩამოიარა თეთრმა წყალმა, ამომხედა და შემომანათა თეთრი თვალი,
ჩამოიარა ლურჯმა წყალმა, გაახილა ლურჯი თვალები,
ჩამოიარა შავმა წყალმა, შავად ბზინვარებდა, შავად ელვარებდა.
ჩამოიარა წითელმა წყალმა, ყაყაჩოსფერი აშრიალდა და მიხმობდა,
მკლავებს შლიდა, ფეხი შევდგი წითელ წყალში, მომხვია მკლავები.
ჩემი ბედისწერა ეს იყო, ოდესლაც მომხდარი და ოდესმე მოსახდენი, ეს იყო.
ამოვევლე წითელ წყალში. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა, გაირინდა.
ქვები აჩურჩულდნენ.

## სიზიფე

სიზიფეს ფიქრი. სიზიფეს ცრემლები,
ყოველ ჯერზე უკან შებრუნებული,
თვალის მეორე მხარისკენ,
ყოფნის უხილავი მხარისკენ,
რომელიც ინახავს საგნების ჩრდილს,
ქვებივით მძიმეს, ქვებზე მძიმეს -
ჩემი ყოველი აბობლება მწვერვალისკენ,
ლოდების თრევა მთის ფერდობზე,
გადაყვლეფილი ხელებით, გადატყავებული მუხლებით.
დაკაწრული, დაიარებული სხეული ჩემი,
ქვას, ქვაზე მძიმეს, მთისკენ ეზიდება.
ოფლით დამბალი სამოსი, ნაფლეთები უფრო ეთქმის,
ტერფები ჩემი, სისხლმდინარი.
სხეული - ძვლების გროვა და ქვების გროვა,
პური და წყალი ჩემი - ქვა, მომლაშო.
შვებაც ახლავს ამ ჩემს წყევლას,
უჩინარი შვება, ჰაერივით -
ახალ გზებს ვირჩევ და ქვებსაც - ახალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს პრინციპულად არც ცვლის ჩემს სასჯელს,
ყველა ქვა ქვაა, ალბათ ღმერთებიც,
მპატიობენ და თვალს ხუჭავენ,
ან ვერც ამჩნევენ. ციცაბო მთასაც,
საით მოვუვლი, რაში ადარდებთ.
სხვა ცხოვრებაში
მოქანდაკე ვიქნებოდი.

## ბრავიტო

*ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს*
*,,ანგოლი მალა''*

ის ტყეში ცხოვრობდა, მთებში,
შორს თავის სოფლიდან, ნადირთა
საუფლოში, ქარიშხლის, წვიმის და
ღრუბლების მხარეში. ტყეს სახლად
გულობდა, გადავიწყებოდა ღარიბთა
ქოხმახები, ხმა წვიმის წვეთების
ქოხების სახურავზე, ბანანის პლანტაცია,
კონტრაბანდისტები, ქალები - ნინა და ელვირა.
და ენაც დავიწყნოდა ბრავიტოს სოფლელთა,
რომელმაც წლების წინ, როდესაც პირველად
დაბრუნდა მშობლების მიწა-წყალზე,
ღარიბ ტრე ბოკასში, უცებ მიახვედრა,
რომ სიტყვები, რომლებიც ესმოდა,
თვლემდნენ მის სხეულში.
თითქოს წარეცხოდა ხსოვნა იმ დღეების,
მაგრამ ის ახსოვდათ, ლამობდნენ მის პოვნას,
პოვნას და შეპყრობას. გამოსატყუებლად
მისი ამ მხარიდან, ბილიკებს დაადგა
სერჟანტი ტორრე. აი აქ იწყება და
აქვე მთავრდება ლეგენდა კაცისა,
რომელსაც მალევე გადაუვლის ძებნილის
სიძულვილი, ამ ძებნით შეპყრობილს,
და კაცის, რომელსაც ნაცნობი
სიტყვების ნატრული ხმების
ხელახლა მოსმენა მოსწყურდა.



## წელიწადის მეხუთე დრო

წელიწადის
ჩვენი მეხუთე დრო,
სურნელით ალუბლის.
ყველაზე ჩუმი და ფარული.
დრო უფრო ზაფხულის და არა სიცივის,
შემკრები სიზმრების, ფიქრების, სიტყვების,
უჩინარ მხარეში.
შენ გითქვამს, რომ გიყვარდა ჩემში
ხმა ბავშვის, თუმც ვერ მოვუფრთხილდი.
რამ შეიძლება გააღვიძოს მიძინებული ხმები,
მოგუდული, ჩუმი ხმები,
ბლის ფოთლების და
გასრესილი თუთის სუნი.
ფიქრებს ვიგროვებდი შენთვის,
ხელისგულზე და შენთან მომქონდა,
მეორე მხარისთვის,
წელიწადის მეხუთე დროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადამი და ევა

ჩვენ პერსონაჟები ვიყავით,
დაუსრულებლები, ჩაფიქრებულები
და მერე შუა გზაზე მიგვატოვეს.
თითქოს ღმერთებს თამაში მობეზრდათ.
იქნებ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდათ?
ან იქნებ დაიღალნენ და მიიძინეს.
შუა თამაშში მიგვატოვეს - ადამი და ევა.
მიწვნენ ჩრდილში, პირველყოფილი ტყის სილურჯეში.
თავქვეშ ამოიდეს ხელები და მიიძინეს.
ჩვენ ველოდით, ჭაში ჩაყრილი ბავშვებივით,
რომლებსაც უთხრეს, არსად წასულიყვნენ.
სად უნდა წასულიყვნენ, ისხდნენ და ელოდნენ.
თიხის თოჯინები ვიყავით.
სულის ჩაბერვა ვერ მოესწროთ
და მდინარის პირას, იქვე, ჭალაში, მზეზე ვშრებოდით.
ჩვენ ვიყავით ადამი და ევა, რომლებმაც არ ვიცოდით,
ვინ იყო ევა, ვინ იყო ადამი.
არ ვიცოდით სიშიშვლე ჩვენი,
მშვენიერება ჩვენი სხეულების.
ჩვენი თვალები უხილველი იყო.
მათ კამკამა წყალში დაცურავდნენ ღრუბლის ფთილები.
ჩვენს ყურს არ სწვდებოდა ფოთლების შრიალი,
ფრინველების გადაძახილი.
მიწისაგან ნაძერწი თოჯინები ვიყავით,
ჩვენი სურვილები ღმერთების სიზმრებში იბადებოდა.
ვუცქერდით ერთმანეთს და ჩვენი თვალები
სარკე იყო ერთმანეთისთვის, უძირო ჭები იყო,
ყველა დაწერილი და დაუწერელი წიგნი იყო -
გადაშლილი, გადახსნილი და ვკითხულობდით,
ვენაფებოდით ერთმანეთის თვალებს.
ვაითუ, აღარ გაიღვიძონ ღმერთებმა.
ვაითუ, გაიღვიძონ ღმერთებმა.

* * *



ჩემი სხეული ხევი იყო, ყორნების ჩონჩხით ამოვსებული,
ყორნების სკორეთი ამოვსებული და მათი ბუმბული,
ლპობაშეპარული, გახუნებული, აქა-იქ ფრიალებდა.
ჩემი სხეული ცხენის ლეში იყო, მუცელი რომ გამოფატრეს
და შიგ შეძვრნენ მრავალი წლის წინ, როცა მიწას სხვა
კაცების ფეხი თელავდა. მაგრამ მიწა იგივე იყო,
ისეთივე შავი და ბინძური და წმინდა თავის სიბინძურეში,
რადგან ის იყო, რაც იყო და არა რცხვენოდა.
ჩემი ხელები იმ ხის ფესვებად გადაიქცნენ, ოდინმა რომ
თავი ჩამოიხრჩო, და ტოტებზე ცხრა დღე და ცხრა ღამე ეკიდა.
ხევი ვიყავი, ნვირით სავსე და ეკალ-ბარდებიდან
მგლის ეშვები ელვარებდა. მგელი მთვარეს შეჰყმუოდა
და მთვარე, დალეული, მთვარე მცხრალი, ლაჯებში მიწვებოდა.
ამომილამდა თვალები და მატლებმა შეიტკბეს სისველე,
და მერე ისინიც გაქრნენ, მიწამ შეჭამა, რომელიც გამოშრა.
მუცელი ჩემი, მრგვალი და ნეტარებით ნათენთი,
დაჭკნა, სულაც, დალპა, ამოიკენკა. ჩიტების გუნდი შეესია,
ვაითუ პური ეგონათ, მზეზე გამლილი,
ალალი ქვეყნის პური, რომელიც თავდება,
როცა ხევს ყორნის სკორე ამოავსებს,
როცა საშოში გველები დაიბუდებენ და
სამყარო მრგვალდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ აგლაძე

# პლაგიატის ბუნდოვანი ზღვარი

## *ორი ტექსტისა და ერთი კონკურსის ჟიურის შესახებ*





საკითხი, თუ სად გადის ზღვარი, ერთი მხრივ, პლაგიატსა და, მეორე მხრივ, ნასესხობასა თუ სხვა მომიჯნავე, თუმცა ნაკლებად „კრიმინალურ" მოვლენას შორის, ძალიან მნიშვნელოვანი, აქტუალური და, რიგ შემთხვევაში, ძალიან პრობლემურია. ერთი მხრივ, სირთულეს ქმნის „ლიტერატურის წარმოება" კონვეიერული მეთოდით, რომელიც ერთსა და იმავე მატრიცებზე დაფუძნებულ, ერთი ყალიბით შექმნილი ტექსტების სიმრავლეს განაპირობებს. ამასთან, თანამედროვეობაში, როდესაც ინფორმაციის წყაროები მრავალგვარია და, შესაბამისად, იდეების ნაკადი ძნელად მოსახელთებელი გახდა, პოსტმოდერნის ეპოქამ კი ციტირება და კომპილაცია სრულიად ახლებურად გაიაზრა, ყოველი კონკრეტული მსგავსება ორ ლიტერატურულ ტექსტს შორის დაწვრილებით კვლევას საჭიროებს, სანამ რაიმე ბრალდებაზე მიდგება საქმე.

პლაგიატის ფაქტის დადგენა, როგორც ცნობილია, სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. იდეათა თანხვედრის, ტექსტის, ან მისი ნაწილის მითვისების, პერიფრაზირებისა თუ სახეცვლის ყოველი კონკრეტული შემთხვევა ცალკე განხილვის საგნად იქცევა და განაჩენიც კონკრეტული ორგანოს გადაწყვეტილებით დგება. მაგრამ ასეთ შემთხვევებში სასამართლო იძულებულია მოისმინოს მოსაზრებათა დიდი რაოდენობა და მათ საფუძველზე გადაწყვიტოს საკითხი. ზოგადი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ სავარაუდო პლაგიატის (მოვიაზროთ ამ ნაკლოვანი ტერმინის ქვეშ ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულების ყველა მომიჯნავე ვარიანტი) შემთხვევები იმდენად ინდივიდუალური და მრავალფეროვანია, რომ ყოველი მათგანისათვის, როგორც წესი, ცალკე დასადგენია საკითხთა მთელი წრე: არის კი რაიმე მიმართება განსახილველ ტექსტებს შორის? რა ხარისხისაა ის? გვაძლევს კი დამთხვევათა სიხშირე და სპეციფიკა საშუალებას დავაყენოთ საკითხი სხვისი ნაშრომის, ან მისი ნაწილის მიზანმიმართული, გააზრებული მითვისების შესახებ? არსებობს პირთა წრე (ლიტერატორები, ენათმეცნიერები) რომლებიც ასეთ შემთხვევებში შემფასებელთა სახით მოიწვევიან; არსებობს, ბოლოს და ბოლოს, კომპიუტერული პროგრამები, რომელთა მიზანი არის პირდაპირი პლაგიატის დადგენა და პროცესისათვის მეტი ობიექტურობის შეძენა. და მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე არა მექანიკურ კოპირებას, არამედ ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისების სხვა, უფრო რთულ ფორმებს ეხება, პრობლემურია, ინდივიდუალური და სპეციფიკურ განსჯას საჭიროებს.

რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არ მაქვს სასამართლოს ფუნქციების მითვისების პრეტენზია. უბრალოდ, 2018 წლის დასაწყისში ჩემ ხელში აღმოჩნდა ორი ტექსტი, რომელთა შორის ურთიერთმიმართების ხარისხის დადგენა და შესაძ-

ეროვნული

ლო პლაგიატის ფაქტთან დაკავშირებით კერძო მოსაზრების გამოთქმა აუცილებლად მიმაჩნია. მოხდა ისე, რომ ექსპერტიზის დამოუკიდებელმა ბიურომ მომმართა თხოვნით შემედარებინა ორი ხსენებული რომანი. შედეგები, ვფიქრობ, იმდენად საინტერესო და დამაფიქრებელი გამოვიდა, რომ მათი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა მიზანშეწონილად ჩავთვლე. მეჩვენება, რომ ისინი არასტანდარტულ, რთულ და საინტერესო შემთხვევას შეეხება, რომელიც პრობლემის კომპლექსურად განხილვის საშუალებას მოგვცემს.

მაშ ასე, საქმის ფაქტობრივი მხარე მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ. 2017 წელს გამომცემლობა „პალიტრა L"-მა ჩაატარა მასშტაბური ლიტერატურული კონკურსი „გახდი ბესტსელერის ავტორი", რომლის გამარჯვებულთა შორის (სულ ამ სტატუსის მქონე ტექსტი ხუთია) არის რომანი სახელწოდებით „სხვა უდაბნოს საიდუმლო". აღნიშნული ნაწარმოების (კონკურსის დროს მას „უზრიული ლაზალი" ერქვა და წიგნად გამოცემისას შეიცვალა სახელი) ავტორი, ქალბატონი ია კარგარეთელი, რადიოინტერვიუში აცხადებს, რომ რომანზე მუშაობა კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაიწყო, ანუ „სხვა უდაბნოს საიდუმლო" 2017 წელს დაწერილი და ამავე წელს, როგორც კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები, დასტამბული ტექსტია. 2011 - 2015 წლებში კი ლიტერატურულ ინტერნეტ-პორტალზე urakparaki.com ეტაპობრივად ქვეყნდებოდა ნაწარმოები სახელწოდებით „ბედუინი". ტექსტი ინტერნეტგამოცემის კვალობაზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა (თითოეულ თავს მრავალი ათეული მოწონება თუ კომენტარი ერგო წილად). მისი ნაწილები ორჯერ რადიოეთერშიც იყო წაკითხული: 2017 წლის 12 და 15 ივლისს, „საზოგადოებრივი რადიოს" ეთერში. გარდა ამისა, მაშინ გამომავალი და შემდეგ დახურული ჟურნალის, „ლიტერატრული პალიტრის" რედაქტორმა, ბატონმა ზაალ ჩხეიძემ, როგორც მაცნობა ზემოთ ხსენებულმა საექსპერტო ორგანიზაციამ, ჯერ კიდევ 2012 წელს მიიღო ტექსტის რამდენიმე საწყისი თავი, გამოცემაში სავარაუდო პუბლიკაციისათვის. ეს ფაქტი იმდენად არის საინტერესო და ცალკე აღნიშვნის ღირსი, რამდენადაც 2017 წელს ჩატარებული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორის" ჟიურის ერთ-ერთი წევრი სწორედ ზაალ ჩხეიძე იყო. ამასთან, „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" წიგნად გამოცემულ ვარიანტს, რომანის მენტორ გიორგი კეკელიძისა და გარეკანის დიზაინერის, ქალბატონი ქეთი მატაბელის შეფასებებთან ერთად, მისი უაღრესად დადებითი რეცენზიაც უძღვის წინ.

საექსპერტო ორგანიზაცია მთხოვდა, ყურადღება მიმექცია ტექსტებს შორის ფაბულისა და ზოგჯერ სიუჟეტის დონეზე არსებული მსგავსებებისათვის. მათი კლიენტი, რომან „ბედუინის" ავტორი თვლის, რომ „სხვა უდაბნოს საიდუმლო"-ს შექმნისას ქალბატონი ია კარგარეთელი ერთ-ერთ წყაროდ სწორედ მის ნაწარმოებს იყენებდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ პირველადი შემოწმების შედეგად რომანებს შორის პირდაპირი, ე.წ. copy-paste ტიპის პლაგიატზე საუბარი არ შეიძლება იყოს. კარგი იქნებოდა, ჩატარებულიყო კომპიუტერული ექსპერტიზა ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად, მაგრამ ამის გარეშეც, ალბათობის მაღალი ხარისხით უნდა ითქვას, რომ ტექსტის, ან მისი ნაწილების პირდაპირ „გადაწერასთან" საქმე არ გვაქვს. მეტიც, მართალია, რომანებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსებები, მაგრამ ამავე დროს, სახეზეა არსებითი განსხვავებებიც. სწორედ ამ გარემოებამ მომცა უფლება ვივარაუდო, რომ კერძო დავის შემთხვევა საინტერესო უნდა ყოფილიყო ფართო საზოგადოებისათვისაც. შესაბამისად, რაკი პირდაპირ პლაგიატთან საქმე არ გვაქვს, უპრიანად მიმაჩნია ალვნუსხო ტექსტებს შორის არსებული პარალელები, საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საშუალება მკითხველს დავუტოვო.

მოკლედ მიმოვიხილოთ ორი რომანის ფორმალური მახასიათებლები. დავიწყოთ ქრონოლოგიურად: ნეფერტარის „ბედუინი" საკმოდ დიდი მოცულობის ნაწარმოებია, ტექსტი პროგრამა Microsoft Word-ში 10-იანი ფონტით ნაბეჭდი 324 თაბახისაგან შედგება. ის კარგად არის სტრუქტურირებული, დაყოფილია რომაული ციფრებით დანომრილ თავებად, რომელთაგან თითოეულს აქვს სათაური და ეპიგრაფის სახით ქართველი ან უცხოელი ავტორის ნაწარმოებიდან მცირე ამონარიდი უძღვის წინ. მეორე ტექსტი, ია კარგარეთელის „სხვა უდაბნოს საიდუმლო" შედარებით მცირე მოცულობისაა, რომანი სტანდარტული ფორმატის წიგნის 286 გვერდს იკავებს. ტექსტი ასევე სტრუქრურირებულია, ოღონდ ნაწილები არათანაბარი მოცულობისაა, დანომრილი არ არის, უსათაუროა და მათ უმრავლესობას ასევე უძღვის ეპიგრაფი.

დავიწყოთ რომანების ფაბულით. ორივე რომანის ფაბულა ერთი ფრაზით შეიძლება გადმოიცეს: „ახალგაზრდა ქართველი გოგონა ჩადის ეგვიპტეში, უყვარდება ბედუინი და დიდი თავგადასავლების შემდეგ მას ცოლად მიჰყვება".

მიუხედავად ფაბულის, ერთი შეხედვით, სრული დამთხვევისა, საქმე ბევრად უფრო რთულად და ჩახლართულადაა სიუჟეტის დონეზე. პრობლემა ის გახლავთ, რომ ნეფერტარის „ბედუინი" ზემოთ მოტანილი სქემის ფარგლებში დაწერილი სათავგადასავლო რომანია, მისტიკური და რომანტიკული ელემენტებით, მაშინ როდესაც „სხვა უდაბნოს საუდუმლო" ცალსახა მელოდრამაა, ე.წ. „ქალური" რომანი, რომელშიც თავგადასავლები, ფათერაკები მხოლოდ ძირითადი რომანტიკული ისტორიის ფონის როლს ასრულებს. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახილველ ტექსტებს შორის არსებული მრავალი განსხვავება.

ნეფერტარის „ბედუინის" მთავარი გმირი გოგონა, ნინა კაიროში ჩადის. საჰარის ნახვის სურვილით შეპყრობილი, ის ექსკურსიაზე მიდის, რომელიც ადამიანების ორგანოებით მოვაჭრე გამტაცებლების მიერ აღმოჩნდება ორგანიზებული. გმირი შემთხვევით ზედმეტ ინფორმაციას გაიგებს, რის გამოც ერთ-ერთი მთავარი ანტაგონისტი, პოლონელი ექიმი გადაწყვეტს, ის მოკლას: პარაპლანით ფრენას შესთავაზებს, დაჯდომისას კი ჰაერში მყოფს პისტოლეტით დაჭრის. ჩამოვარდნილი ნინა ქრილობას დაიმუშავებს და გზად დამდგარი უდაბნოში იპოვის და გადაარჩენს მომაკვდავ ბედუინ ალ-კაბირს (რომლის მოკვლაც ასევე პოლონელმა ექიმმა სცადა). ამის შემდეგ იწყება ტრანსსაჰარული რბოლა, რომელშიც ნინა და ალ-კაბირი ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე გაურბიან მდევრებს, ხვდებიან ტუარეგების ტომში, გაივლიან მრავალ ფათერაკს, ბოლოს კი, ჟანრის კანონის თანახმად, გადარჩებიან და შეუღლდებიან.

ია კარგარეთელის „სხვა უდაბნოს საუდუმლოს" მთავარი გმირი ეგვიპტეში დასასვენებლად მიემგზავრება, იქ დაესწრება პირამიდებთან გამართულ კონცერტს, რომლის დროსაც მას უცნობი ბედუინი დაინახავს, ერთი ნახვით შეუყვარდება და ცოტა ხანში მოიტაცებს კიდეც. მთელი შემდგომი მოქმედება მეტ წილად რომანტიკულ ხასიათს ატარებს, ერთგვარი love story-ა. შეიყვარებს თუ არა ქართველი გოგო თამთა თავის საბედოს? ხომ არ შეუშლის მათ სიყვარულს ხელს მტრების მიერ დაგებული ხაფანგები? გადარჩება კი მტრების მიერ გატაცებული თამთა და შეხვდებიან თუ არა ერთმანეთს შეყვარებულები? აი, იმ ძირითად საკითხთა ჩამონათვალი, რომლებსაც პასუხს სცემს ია კარგარეთელი. რასაკვირველია, თავგადასავლების რაოდენობა „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" შედარებით მცირე, ხოლო აქცენტი მაინც უფრო რომანტიკულ-მელოდრამატულ ხაზზეა გადატანილი. შესაბამისად, იდენტურ ფაბულაზე შექმნილი ნაწარმოები ნეფერტარის „ბედუინისაგან" საკმაოდ განსხვავებული გამოდის და ჩნდება ეჭვი, ხომ არ გვაქვს საქმე ფაბულის დამთხვევასთან. მართლაც, რამდენადაა შესაძლებელი გააზრებულ „ნასესხობაზე" საუბარი და რამდენადაა შესაძლებელი ია კარგარეთელის მიმართ რაიმე ბრალდების წაყენება? იმისათვის, რომ ამ საკითხს შეძლებისდაგვარად პასუხი გავცეთ, აუცილებლად მიმაჩნია ტექსტების სხვა შრეებისა და კონკრეტული დეტალების შედარება.

ენობრივი თვალსაზრისით, „ბედუინი" და „სხვა უდაბნოს საიდუმლოება" ერთდროულად გარკვეული ასპექტებით ჰგავს ერთმანეთს და თანაც განსხვავდება. საქმე ისაა, რომ ორივე ავტორი, რაც ბუნებრივია, ცდილობს პერსონაჟების, განსაკუთრებით „აღმოსავლელთა" ენა სპეციფიკური, სახასიათო გახადოს. ასევე, გარემოს შესაქმნელად, ორივე ავტორი შედარებათა, მეტონიმიათა და მეტაფორათა მოჭარბებულ რაოდენობას იყენებს. ეს რომანთა შორის არსებული მსგავსებაა. ამასთან, „ბედუინი" ლექსიკურად ბევრად ზუსტია, მოქმედებები და გარემო ბევრად ამომწურავადაა აღწერილი. რაკი რომანში სათავგადასავლო ნაწილი მეტად მნიშვნელობს, ტექნიკურ საშუალებათა, ბუნებრივ მოვლენათა თუ ბრძოლის სცენების აღწერას ავტორი ძალიან გულმოდგინედ, ზოგჯერ, ზედმეტი სკრუპულოზურობითაც კი ეკიდება. აღმოსავლური სამყაროს წარმოსაჩენად მრავალგზისაა გამოყენებული პერსონაჟების არაბულად ამეტყველების პრაქტიკა. თავის მხრივ, ბევრად ზედაპირული და არაზუსტია „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" ავტორი. თხრობის ტემპი აქ არითმულია, სასიყვარულო სცენები და დიალოგები გვერდებზეა გადაჭიმული, კონკრეტული ხდომილებები კი ძალიან ზერელედ, არადამაჯერებლადაა აღწერილი. ამასთან, უამრავია ლექსიკური უზუსტობა. მაგალითისათვის, ქვიშის ბარხანებს ავტორი მეტაფორულად „ატლასის მთებს" უწოდებს, რაც აშკარა ენობრივი ლაფსუსია, რადგან ატლასის მთები ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარე მთის მასივია და ამგვარი მეტაფორის გამოყენება არასაჭირო ორაზროვნებასა და მკითხველის დაბნევას იწვევს.

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, აუცილებლად მიმაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩერო იმ მრავალ დეტალზე, რომელიც, ჩემი აზრით, ნიშანდობლივია ორი წინამდებარე ტექსტის შედარებისას. პარალელთა დიდი რაოდენობა და მათი ხასიათი მაიძულებს თითოეული ცალ-ცალკე განვიხილო, რათა ტექსტთა თანაფარდობის სრული და ამომწურავი სურათი წარმოვიდგინოთ.

## 1) პერსონაჟები

ორი რომანის შედარებისას ყველაზე თვალშისაცემია მსგავსება ორ მთავარ გმირს შორის: ახალგაზრდა, ლამაზი, ჭკვიანი, „განსაკუთრებული", წარმოშობით ქართველი გოგო - ეს პასაჟი როგორც „ბედუინის" ნინას, ასევე „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" თამთას ზუსტ დახასიათებად შეიძლება გამოდგეს. ორივეს სატრფო, ასევე უნაკლო გარეგნობის მქონე ბედუინია. მართალია, „ბედუინის" მთავარი გმირი მამაკაცი, ალ-კაბირი სინამდვილეში არა უდაბნოს შვილი, არამედ მალის იმპერიის მმართველთა შთამომავალი და, ამდენად, სამეფო სისხლის მატარებელია, მაგრამ მას არც „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" პერსონაჟი, იუსუფ რაშიდი ჩამორჩება, რომლის ძარღვებში ასევე ცისფერი სისხლი ჩქეფს: ის ბედუინთა სახელგანთქმული და ლეგენდარული ტომის ბელადია. ასე, რომ მსგავსება აქაც, პრაქტი-

კულად, სრულია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პერსონაჟის სახასიათო ნიშანი, რომელიც თითქმის იდენტურია ორივე რომანში. ნეფერტარის რომანის გმირის, ალ-კაბირის ყველაზე დასამახსოვრებელი გარეგნული ნიშანი მისი მწვანე თვალებია, რომლებიც მრავალი შედარებითა და მეტაფორითაა აღწერილი რომანში. ჰოი, საოცრებავ, ხდება დამთხვევა და ია კარგარეთელის რომანის მთავარი გმირი, იუსუფ რაშიდიც განსაკუთრებული თვალების მქონეა. მისი ეს ატრიბუტი ასევე მრავალჯერ ნახსენები და აღწერილია. ოღონდ, განსხვავებით ალ-კაბირისაგან, მას ნაცრისფერი თვალები აქვს. რასაკვირველია, ფორმალური განსხვავება სახეზეა, მაგრამ, ჩემი აზრით, ფერის განსხვავება არასაკმარისია, რადგან პერსონაჟები იდენტური მეთოდით არიან დახატული და მხოლოდ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ფერის ფანქრით გაფერადებული.

პერსონაჟების მსგავსებაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ-ერთ მთავარ ანტაგონისტს, რომლის როლშიც ორივე რომანში ცბიერი, ვერაგი და მთავარ გმირ ბედუინზე შეყვარებული ქალი გვევლინება. ნეფერტარის რომანში ეს არის ტუარეგების დედოფალი, ამენოკალია სახელად ჰილალე, რომელსაც მრავალი წელია უყვარს ალ-კაბირი და ამიტომ მტრად ეკიდება პროტაგონისტ გოგოს. „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" ამ როლს იუსუფ რაშიდის დობილი, ელჰამი ასრულებს. მართალია, ის დედოფალი არ არის, მაგრამ რაღაც საოცარი, არაამქვეყნიური დამთხვევით, ტუარეგების მონის შვილია, რომელიც ბევრი წლის წინ იუსუფ რაშიდის მშობლებმა იშვილეს. ტუარეგების თემა „ბედუინში" მნიშვნელოვან, ფუნქციურ როლს ასრულებს, ხოლო ია კარგარეთელის რომანში არანაირი დატვირთვა არ აქვს. გოგონა ნებისმიერ სხვა ხალხთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული, არსებითად არაფერი შეიცვლებოდა. ამდენად, მგონია, რომ ეს დამთხვევა ნიშანდობლივად უნდა ჩაითვალოს.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაჟი, რომელიც ორივე რომანში არსებობს და სხვადასხვა, მაგრამ აშკარად გამოკვეთილი ფუნქციური, თუ ესთეტიკური დატვირთვა აქვს, არის მთავარი გმირის, ბედუინის, ცხენი. რასაკვირველია, ცხენი და აქლემი ბედუინის განუყოფელი ატრიბუტებია და ეს დამთხვევა შემთხვევითი, გარემოს შესაბამისი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამავე დროს, ინტერესს არ არის მოკლებული ფაქტი, რომ როგორც „ბედუინში", ასევე „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" მთავარი გმირის ცხენი შავი არაბული ულაყია. მეტიც, ნეფერტარის რომანში ცხოველს ჯადარი ჰქვია, ხოლო ია კარგარეთელის ნაწარმოებში ჯაფარი. უნდა ითქვას, პირველ ტექსტში ცხენი ბევრად მნიშვნელოვანი პერსონაჟია და დიდ როლს ასრულებს, ხოლო მეორეში შედარებით ეპიზოდურია და მხოლოდ რამდენიმე სცენაშია ფუნქციურად მნიშვნელოვანი. მიუხედავად ამისა, პარალელიზმი სახეზეა, რასაც ამძაფრებს ფაქტი, რომ „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" ავტორი არაერთხელ შეგვახსენებს ცხენის არსებობას, მის მშვენიერებას. არის ეპიზოდი, სადაც მთავარი გმირი ქალი - თამთა თითქმის ორი საათის განმავლობაში შეუჩერებლივ მიაჭენებს ბედუინის რაშს, ჯაფარს და შიშით გაჰყურებს არემარეს (გვ. 60). მსგავსი ეპიზოდი „ბედუინისათვის" აბსოლუტურად ჩვეულებრივია და მისი მთავარი გმირი ნინა რომანის ლამის მესამედს სწორედ ამ მდგომარეობაში ატარებს. შესაბამისად, პარალელიზმი პერსონაჟ ცხენებს შორის, ასევე, საკმაოდ აშკარად მეჩვენება.

ძალიან ჰგავს ერთმანეთს ასევე მთავარი გმირი ქალების ოჯახები. სახელდობრ, ორივე რომანში ნინას/თამთას ჰყავთ თითო დედმამიშვილი - ძმა. მართალია, ისინი დიდად არ მონაწილეობენ მოქმედებაში, მაგრამ ორივე რომანში ეძებენ თავიანთ ეგვიპტეში დაკარგულ დებს („სხვა უდაბნოს საიდუმლოში" ძებნის პროცესი შედარებით დაწვრილებითაა აღწერილი, ხოლო „ბედუინში" ეს მხოლოდ ნახსენებია). მეტიც, ორივე რომანში სწორედ ძმები გვევლინებიან იმ ადამიანებად, ვინც დაუძლურებულ და ნატანჯ დებს მიაკითხავენ - „ბედუინში" ვერტმფრენით, ხოლო „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" მანქანით - და კაიროში საავადმყოფოში წაიყვანენ.

## 2) სიუჟეტის ცალკეული ელემენტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფაბულის მსგავსების მიუხედავად, განსახილველი რომანების სიუჟეტური მონახაზი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ საერთო განსხვავებულობასთან ერთად არსებობს რამდენიმე, ჩემი აზრით, ნიშანდობლივი მსგავსება, რომელიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ.

პირველ რიგში ორივე რომანის სასიყვარულო, რომანტიკული თემის ცენტრში მოქცეული არის ორი ქალისა და ერთი კაცისაგან შემდგარი დეფორმირებული სასიყვარულო სამკუთხედი. სქემატურად რომ აღვწეროთ: პროტაგონისტ მამაკაცს უყვარს მთავარი გმირი ქალი, ხოლო ეს მამაკაცი, თავის მხრივ, უყვარს სხვა ქალს, რომლის მიმართაც კაცი გულგრილია. ნეფერტარის ტექსტში ალ-კაბირს უყვარს ნინა; ხოლო ტუარეგების ამენოკალია ჰილალეს უყვარს ალ-კაბირი. „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" იუსუფ რაშიდი მიჯნურდება თამთაზე, ხოლო ელჰამი მრავალი წელია, რაც უიმედოდ არის შეყვარებული იუსუფ რაშიდზე. ორივე რომანში სამკუთხედიდან „გარიყული" ქალები (ჰილალე, ელჰამი), მართალია სხვადასხვა გზით, მაგრამ მთავარი გმირის (ნინა, თამთა) მოკვლას ცდილობენ. ასევე, ისინი უკავშირდებიან პროტაგონისტი ბედუინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრებს („ბედუინში" ეს პოლონელი ექიმი მილოში და მისი დაქირავებული მკვლელები არიან, „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" კი იუსუფ რაშიდის სიკვდილის მოსურნენი, სხვა ბედუინური ტომის წარმომადგენლები). შესაბამისად, მეთოდებისა და დეტალების განსხვავების მიუხედავად, საერთო ქარგის გარკვეული თანხვედრა შესამჩნევია.

მეორე მნიშვნელოვანი სიუჟეტური დამთხვევა რომანების ფინალთან არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ორივე რომანში მთავარი გმირი ქალის გადარჩენისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მასა და ბედუინს შორის კავშირი გარკვეული ხნით წყდება. ნეფერტარის რომანში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალ-კაბირი ექსპედიციაში იკარგება და ხუთი წლის განმავლობაში მის შესახებ არ არის არანაირი ცნობა. ხოლო ია კარგარეთელის ნაწარმოებში იუსუფ რაშიდი უდაბნოში მიდის სახეტიალოდ, ორი წელი არანაირი კავშირი არ აქვს თამთასთან და ტელევიზიით მიღებული ინფორმაციის წყალობით გონის ის დაღუპული ჰგონია. ამის შემდეგ, გარკვეული იდუმალი გზით (პირველ რომანში ეს მინიშნებათა სერიაა, რომელსაც ნინა ხსნის, მეორეში - არარსებული გამომცემლის მისტიკური მოპატიჟება) ქალები ხვდებიან თავიანთ სატრფოებს ნეიტრალურ ტერიტორიაზე (ესპანეთის კუთვნილ კუნძულზე / ბურჯ ხალიფას 140-ე სართულზე) და ყველაფერი ჰეპი ენდით სრულდება. საინტერესოა, რომ საკუთარი სიკვდილის იმიტაცია ორივე მთავარ პერსონაჟს იმისთვის სჭირდება, რომ მტრებს თავგზა აუბნიოს და სატრფოს უსაფრთხოება მეტად იყოს უზრუნველყოფილი. ორივე ქალი ამ იძულებითი განშორების დროს, რასაკვირველია, უხასიათოდაა და იტანჯება (საინტერესოა, რომ ორივე რომანში დეპრესია რაღაც ეტაპზე დუმილით, კონტაქტზე უარით გამოიხატება). მართალია, აქაც დეტალები საკმაოდ განსხვავებულია, სამაგიეროდ, სიუჟეტური სვლა და პერსონაჟთა მოტივაცია - ძალიან მსგავსი, შეიძლება ითქვას, ორივე შემთხვევაში ერთი სქემის მიხედვითაა აგებული: გმირის გადარჩენა - ნათესავებთან დაბრუნება - დარდი და ლოდინი - საოცარი შეხვედრა.

## 3) მოტივები და დეტალები

რომანებს შორის მსგავსებათა მესამე კატეგორიაში საჭიროდ ჩავთვალე გამეერთიანებინა ყველა ის პარალელიზმი, რომელიც სტრუქტურული, ფუნდამენტური ხასიათის მატარებელი არ არის. მიუხედავად ამისა, მსგავსი ეპიზოდებისა თუ დეტალების სიმრავლე გარკვეულ როლს აუცილებლად იმსახურებს ჩვენს ანალიზში და, ვფიქრობ, საკმაოდ სასარგებლოა საბოლოო შედეგის დასადგენად. ასე, მაგალითად...

ორივე რომანში ცა კაიროსა და საჰარას თავ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე განსაკუთრებულ, საოცარ, იდუმალ სივრცედაა მიჩნეული და არაერთი პასაჟი ეთმობა მის აღწერას. რომანების დასაწყისებიდანვე („ბედუინი" - თავი I; „სხვა უდაბნოს საიდუმლო" - გვ. 26) ავტორები არაერთხელ უბრუნდებიან საჰარის ცის მშვენიერების აღწერასა და ვარსკვლავების ციმციმზე საუბარს.

ორივე რომანში მნიშვნელოვანი მოტივი და გარემოება არის ხამსინი - უდაბნოს ქარი. როგორც ცნობილია, ის მრავალი დღე (ჩვეულებრივ - 50-მდე) ქრის ჩრდილოეთ აფრიკაში, ცვლის საჰარაში გარემოს და დამატებითი ხელშემშლელი ფაქტორია. თუ ხამსინის დაწყებამდე ნინა და ალ-კაბირი ვერ ჩააღწევენ ფარაფას ოაზისში, მაშინ უდაბნოს გადალახვა საერთოდ შეუძლებელი იქნება. ეს „ბედუინში" არსებული სიუჟეტისმიერი მოცემულობაა. აი, „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" კი ეს ხამსინი წარამარა ამოვარდება ხოლმე და გარკვეულ შემთხვევებში ამა თუ იმ როლს თამაშობს. ერთი მხრივ, ეს ავტორის მიერ დაშვებული ლაფსუსია, ხამსინი ნიავი არ არის, ხან ჩადგეს, ხან იქროლოს. მეორე მხრივ, ის სწორედ ამ სახელით (ბოლოკიდური ხმოვანი, რიგ შემთხვევაში არის „ა", ანუ ტექსტისმიერი ფორმაა „ხამსინა") არის წარმოდგენილი, რაც ასევე საინტერესო პარალელია.

კიდევ ერთი საინტერესო დამთხვევა არის სიზმრების როლი. ნეფერტარის „ბედუინში" სიზმარი არაერთია და ორი ფუნქციის მატარებელია. პირველ რიგში, საჰარაში დაკარგულ ნინას სახლი, მშობლები და ახლობლები ესიზმრება, რაც საკმაოდ ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს შექმნილ სიტუაციაში (მაგალითად, თავი XXIV - „ეშმაკის ძაღლები", სადაც ნინას მამა ეზმანება). მეორე მომენტი არის ერთგვარი სიზმარი-გამოცხადებები, რომლებიც რამდენიმე თავში წინ უძღვის მოქმედებას და ერთგვარი წინასწარმეტყველების როლს ასრულებს (მაგალითად, თავი VIII - „გაქცევა", სადაც გმირს გველთან ორთაბრძოლა ესიზმრება, რომელიც მინიშნებაა XIII თავში მოსახდენ მოვლენებზე). ზუსტად იგივე სახის სიზმრებს ხედავს „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" გმირი, თამთა. 57-ე გვერდზე მას ოჯახი, „დედის მოსიყვარულე ღიმილი" უდგება თვალწინ. ასევე 186-ე გვერდზე დაწყებული საკმაოდ ვრცელი სიზმარი მეტაფორულად იმ ხიფათს მოასწავებს, რომელიც გმირს რომანის დასასრულამდე ელის.

საერთოდაც, ეს უკანასკნელი ზმანება ცალკე განხილვას იმსახურებს, რადგან დიდ მსგავსებას ავლენს ნეფერტარის ტექსტის ერთ ვრცელ ეპიზოდთან. საქმე ის გახლავთ, რომ „ბედუინის" XXV-XXVII თავებში აღწერილია მთავარი გმირების მიერ ვიწრო, კლდოვანი გზის გავლისათვის მზადება და ამ დაბრკოლების დაძლევა. პრობლემა ის გახლავთ, რომ ხეობაში ასობით მშიერი კარაკალი, უდაბნოს ფოცხვერი ცხოვრობს, რომლებიც ნინასა და ალ-კაბირს ედევნებიან. ყურადსაღებია ფაქტი, რომ ნინას ამ განსაცდელისათვის მომზადებისას ბედუინი საგანგებო მითითებებს აძლევს, რომელთაგანაც უმთავრესია: „რაც არ უნდა მოიმოქმედოს ჯადარმა, ცხენზე უნდა დარჩე". ია კარგარეთელის წიგნის 186-ე გვერდზე იწყება თამთას სიზმრის თხრობა, რომელიც თითქმის ორ გვერდს იკავებს და საეჭვოდ ჰგავს „ბედუინის" მითითებულ მონაკვეთს. გოგოს ესიზმრება, რომ ის და იუსუფ რაშიდი ვიწრო გზაზე ცხენით გაურბიან მგლების ხროვას. ამავე დროს, ნეფერტარის ტექსტის მსგავსად, აქაც ბედუინი უკან რჩება, მეტად აქტიურად ებრძვის მხეცებს, თავის სატრფოს კი ერთადერთ რამეს სთხოვს: „ცხენიდან არ ჩამოხვიდე, გესმის?... რაც არ უნდა მოხდეს, როგორც კი მგლებს გავიტყუებ, ჯაფართან ერთად დაბლობზე დაეშვი..." (გვ. 187-188). ისევ და ისევ, ვფიქრობ, დეტალების განსხვავებულობის მიუხედავად, ორი ეპიზოდი, მთლიანობაში, ძალიან ჩამოჰგავს ერთმანეთს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტივი, რომელიც ორივე რომანში სხვადასხვა ფორმით გვხვდება, მისტიკა და რიტუალებია. „ბედუინში" ეს თემა უფრო კოსმიურ ძალებთან მთავარი გმირების კავშირის ფორმით გვხვდება, ხოლო „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" უარყოფითი პერსონაჟი, ელჰამი იყენებს შავ მაგიასა და შელოცვებს თამთას დასაღუპად. ოღონდ, არსებითი ისაა, რომ როგორც ნინას რიტუალი ალ-კაბირის გადასარჩენად, ასევე ელჰამის ავი ჯადოქრობა მოქმედებს. მეტიც, ორივე რიტუალის დროს მთავარი აქტორი ქალბატონი ქვიშაზე ვარსკვლავს ხატავს. მართალია, ნინას შემთხვევაში, ეს პალმების ღეროებით შეკრული ხუთქიმიანი ვარსკვლავია, ხოლო ელჰამი ფქვილით რატომღაც „რვაწვერა" ვარსკვლავს შემოხაზავს, მაგრამ გარკვეული პარალელიზმი აქაც, ვფიქრობ, შეინიშნება.

კიდევ ერთი საინტერესო დამთხვევა ორივე განსახილველ ნაწარმოებში გარკვეული „ეროტიკული დღესასწაულის" აღწერაა. ტუარეგებთან, სადაც „ბედუინის" XVIII თავში ნინაა დატყვევებული, ეს „თავისუფალი სიყვარულის" ღამეა, როდესაც გამოწყობილი ახალგაზრდები ჯერ ერთად ცეკვავენ ცეცხლთან, ამბებს ყვებიან, შემდეგ წყვილებად იფანტებიან უდაბნოში. „სხვა უდაბნოს საიდუმლოს" 210-ე გვერდზე აღწერილია ძალიან მსგავსი რიტუალი, როდესაც ოაზისში მყოფნი „ერთი ღამით ივიწყებდნენ ყველა ვარამსა და საზრუნავს". ამ დროს ქალები და კაცები ერთმანეთს ლიად ეარშიყებიან და, პრაქტიკულად, აქაც თავისუფალი სიყვარულის ღამესთან უნდა გვქონდეს საქმე.

ინტერესს არაა მოკლებული ასევე მზის სისტემის წარსულში არსებული პლანეტების ხსენება, რაც გასაკვირია, მაგრამ ორივე რომანში გვხვდება. „ბედუინის" პირველივე თავში მოყოლილია ჰიპოთეტური პლანეტა „ფაეტონის" ამბავი, რომელიც მზის სისტემაში არსებობდა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ დედამიწას დაეჯახა. ია კარგარეთელის რომანის 218-ე გვერდზე ასევეა საუბარი ჰიპოთეტურ პლანეტებზე. მართალია, აქ პლანეტას „Thea" ჰქვია, მაგრამ, მთხრობელის აზრით, ისიც დედამიწას ეცემა, ფეთქდება და ნადგურდება.

შედარებით ნაკლებ პირდაპირი, მაგრამ ჩემი აზრით, მაინც საინტერესოა კიდევ რამდენიმე მსგავსება. მაგალითად, ნეფერტარის ტექსტში მთავარი გმირი ერთ მომენტში საფლავში გამოიღვიძებს, ცოცხლად დამარხული. „სხვა უდაბნოს საიდუმლოში", „ბედუინის" მსგავსად, ტექსტის ბოლო ნაწილში, თამთა ქვაში ამოკვეთილ ორმო-საკანში გამოიღვიძებს, რომლის კედლებსაც კი წინა პატიმრის ფრჩხილების კვალი ეტყობა. ეს, პრაქტიკულად, სამარეა, რომლიდანაც ადამიანები, წესით, აღარ ბრუნდებიან, რაც ვფიქრობ, ტექსტებს შორის შესაძლო პარალელთა რიცხვს განეკუთვნება.

ორივე წიგნში გმირებს ეჩქარებათ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოტივაცია გარკვეულ წილად, განსხვავებულია. ნეფერტარის „ბედუინში", როგორც ზემოთ აღინიშნა, ალ-კაბირის სახლამდე, რომელიც ერთ-ერთ ოაზისში მდებარეობს, გმირებმა უნდა მიაღწიონ იქამდე, სანამ ქარის, ხამსინის, სეზონი დაიწყება. „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" კი ლიბიაში გადასვლა ბედუინების ტომმა ზამთრის დადგომამდე უნდა მოასწროს. საპირისპირო შემთხვევაში ყინვა საქონლის დიდ ნაწილს დაუხოცავს. რასაკვირველია, ანალოგია პირდაპირი არ არის, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ სწრაფვის ბუნებრივი პირობებით გამართლება გარკვეულ მსგავსებას მაინც ქმნის.

რომანებს შორის მოიძებნება კიდევ რამდენიმე მსგავსება, რომლებიც მეტი ალბათობით შეიძლება დამთხვევას მიეწეროს და თავისთავად ინტერესს არ წარმოადგენს. მათი ჩამოთვლა უფრო სრული სურათის შესაქმნელად მიმაჩნია მიზანშეწონილად, თუმცა თითოეული მათგანი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ცალკე მსჯელობა დავუთმოთ. ასეთებია, მაგალითად ფაქტი, რომ ორივე რომანში („ბედუინში" მეორეხარისხოვანი გმირი, ერთ-ერთი მდევარი, „სხვა უდაბნოს საიდუმლოში" კი მთავარი ანტაგონისტი ქალი - ელჰამი) გველის ნაკბენით კვდება. ასევეა დანის სროლა, რაც ორივე რომანში მთავარ გმირს გადაარჩენს უეჭველი სიკვდილისაგან (ნეფერტარის რომანში ქალი, ნინა დანის ტყორცნით და მტრის დაჭრით გადაარჩენს ალ-კაბირს, რომელსაც მოწინააღმდეგე იარაღს უმიზნებს; ია კარგარეთელის წიგნში კი პირიქით, იუსუფ რაშიდი დანის სროლით მოკლავს თამთას დასაგესლად გამზადებულ გველს).

## დასკვნის მაგიერ

ზემოთ მოკლედ ჩამოვთვალე იმ პარალელთა უდიდესი ნაწილი, რომლებიც ჩემ მიერ განსახილველ ორ ტექსტს შორის არსებობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მსგავსებათა მიუხედავად, სხვა სიუჟეტური მონახაზები, მოქმედებები, ხდომილებები და მათი მოტივაცია ტექსტებში ზოგჯერ დიდად განსხვავებულია. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი ლეგიტიმურია დაისვას საკითხი: არის კი ტექსტთა შორის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება პლაგიატი? გვაქვს კი საქმე სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის გაცნობიერებულ მითვისებასთან? ვფიქრობ, საკითხზე ცალსახა პასუხი სასამართლომ უნდა გასცეს. ამავე დროს, არ ვირიდებ პასუხისმგებლობას და ჩემს პირად მოსაზრებას მოგახსენებთ: ვფიქრობ, რომ პარალელთა, მსგავსებათა და იდენტურობათა ის რაოდენობა, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია განხილული, შემთხვევითობას ნაკლებ სავარაუდოს ხდის. ძნელად წარმოსადგენია, სხვადასხვა ავტორის ორ ტექსტს შორის ამდენი დამთხვევა აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, რაკი ნასესხობათა (გამოვიყენოთ ეს ფრთხილი ტერმინი) რიცხვი, მართალია საკმაოდ დიდია, მაგრამ მსგავსება ტოტალური სულაც არ არის და ია კარგარეთელის ტექსტში დამოუკიდებელი შემოქმედების გარკვეული კვალიც იგრძნობა, ცალკე მსჯელობის საგანად უნდა იქცეს საკითხი - მითვისების რამდენად მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე და, კერძოდ, რომელი ელემენტები შეიძლება ჩაითვალოს სხვისი ტექსტით არაკეთილსინდისიერად სარგებლობად.

საბოლოოდ, ჩემი პირადი მოსაზრებით, წინამდებარე ტექსტებს შორის ურთიერთმიმართება მაინც უფრო სხვისი ინტელექტუალური შრომის, გნებავთ შემოქმედების მითვისებად უნდა ჩაითვალოს. რომანი „სხვა უდაბნოს საიდუმლო" როგორც ვიცით, 2017 წელს, კონკრეტული კონკურსისთვის იწერებოდა, საკმაოდ მოკლე დროში. ავტორი ვადაში იყო შეზღუდული და ტექსტზე მუშაობა სწრაფად უნევდა. ბუნებრივია, ასეთ მომენტში სიუჟეტური სვლებისა და კონკრეტული გარემოებების მოგონება ძნელია. რომანტიკული მოტივი, უზრიული ლაზალისა და, შესაბამისად, თავგანწირული სიყვარულის თემა, როგორც ჩანს, ნამდვილად ია კარგარეთელისეულია. აი, მისი განხორციელებისათვის, რომანად გარდაქმნისათვის აუცილებელი ხერხების დიდი ნაწილი, სქემები, დეტალები, გარემოებები - (რბილად რომ ვთქვათ), ნასესხები ჩანს. რა დიდი გამართლებაა, როდესაც სხვა მწერალს უკვე აღწერილი აქვს მსგავსი გარემო, საჭირო პერსონაჟები, მოფიქრებული აქვს კონკრეტული სიუჟეტისმიერი სვლები. მათ მოსაფიქრებლად გარჯა აღარაა საჭირო, რაც სასიყვარულო ვნებების აღსაწერად ესოდენ აუცილებელ ძალებს ზოგავს. ჩემი ვარაუდების სისწორე, შესაძლოა, ვერასდროს შემოწმდეს, მაგრამ ერთი შეხედვითაც, და რომანების არაერთგზის, დაწვრილებით შესწავლის შედეგადაც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

ეროვნული

## P.S.

რა თქმა უნდა, ია კარგარეთელის პასუხისმგებლობის საკითხი ვერაფრით მოიხსნება დღის წესრიგიდან, მაგრამ ახლა, როდესაც ის გასცდა ჩემი კომპეტენციის ფარგლებს, თავს ვალდებულად ვთვლი აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სულ ცოტა, ყოვლად მიუღებელ საქციელზე, სხვა შემთხვევაში კი - ჩემთვის უცნობი მოტივებით განპირობებულ - უაღრეს არაკეთილსინდისიერებაზე მეტყველებს. საქმე ის გახლავთ, რომ რომანი „სხვა უდაბნოს საიდუმლო" არა უბრალოდ დაიბეჭდა, არამედ დიდი ზარზეიმით ჩატარებული ლიტერატურული კონკურსის, „გახდი ბესტსელერის ავტორის" ერთ-ერთი გამარჯვებული აღმოჩნდა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია დაისვას იმ კონკურსის ჟიურის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ნასესხობათა დიდი რაოდენობით ნიშნეულ ნაწარმოებს გაამარჯვებინა.

იოლად წარმოსადგენია, რომ კონკურსის ჟიურის ნაწილს ნეფერტარის „ბედუინი" წაკითხული არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ინტერნეტში უამრავი „სამოყვარულო" ნაწარმოები თავსდება და ყველა მათგანის წაკითხვის ვალდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზიკური შესაძლებლობაც არ შეიძლება ჰქონდეს მოკვდავ ლიტერატურათმცოდნეს. ჟიურის სულ ცოტა ერთმა წევრმა - პროფესორმა რამაზ ქილაიამ უარყოფითი შეფასება მისცა რომანს (შევნიშნოთ ფრჩხილებში - ჩემი აზრით, სრულიად დამსახურებულად). ამას მოწმობს, როგორც „რადიო პალიტრას" ეთერში გასული გადაცემა „შუადღის სტუდია" ია კარგარეთელისა და მისი მონაწილეობით, ასევე ჟიურის კიდევ ერთი წევრის, ზაალ ჩხეიძის ინტერვიუ, სადაც ბატონი ზაალი ბრძანებს, რომ ჟიურის ხუთიდან მხოლოდ ერთი, ან ორი წევრი არ ემხრობოდა „უზრიული ლაზალის", (შემდგომში - „სხვა უდაბნოს საიდუმლოს") დაწინაურებას. ამდენად, ამ ერთი, ან ორი წევრის პოზიცია გასაგებია. ვთქვათ, დანარჩენი სამიდან ორმა არ იცოდა ნეფერტარის „ბედუინის" არსებობა და წრფელად დაუჭირა მხარი ია კარგარეთელის ტექსტს, ესეც დასაშვებია. მაგრამ ზემოთ ხსენებულმა ზაალ ჩხეიძემ ხომ ნამდვილად იცოდა საიტ „ურაკპარაკზე" დადებული რომანის არსებობაც და მეტიც, „ლიტერატურული პალიტრის" რედაქტორის რანგში მიღებული ჰქონდა „ბედუინის" თავები პუბლიკაციისათვის ვარგისობის შესამოწმებლად (კონკრეტული ინფორმაციის დამადასტურებელი მიმოწერა ბიურომ რეცენზიაზე მუშაობისას მომაწოდა). მაშ, რჩება ორი შესაძლებლობა: ან ბატონი ზაალ ჩხეიძე რედაქტორისა და ჟიურის წევრის რანგში არ კითხულობს (ზერელედაც არ ავლებს თვალს) მის ხელთ არსებულ მასალას, რაც, დამეთანხმებით სრულიად მიუღებელია, ან - ეს კი მეტად სავარაუდო, მაგრამ არანაკლებ დაუშვებელია - გარკვეული ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო დაინტერესებული იყო ნასესხობათა დიდი რაოდენობით გამორჩეული ტექსტის კონკურსში გამარჯვებით. დავძენ, რომ სამწუხაროდ, მეორე ვარიანტი უფრო სავარაუდოდ მეჩვენება. განა რამდენ რომანში ხვდება მთავარი მოქმედი გმირი, ქართველი გოგო, თავგადასავლების საძებნელად საჰარაში? მე სულ ორი მახსენდება. ბატონმა ზაალმა კი „ბედუინის" არსებობის შესახებაც კი არ მიაწოდა ინფორმაცია ჟიურის სხვა წევრებსა და გამომცემლობას (რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა ასევე დაზარალებული აღმოჩნდეს), მსგავსება-განსხვავებების კვლევაზე ხომ საუბარი ზედმეტია. ამდენად, ვფიქრობ, რომანის ავტორთან ერთად, ამ არასასიამოვნო ისტორიაში მისი პასუხისმგებლობის საკითხიც აუცილებლად უნდა იქნას განხილული. რასაკვირველია, საუბარი მაქვს საკითხის მორალურ, პროფესიულ და არა იურიდიულ მხარეზე, რადგან, სამწუხაროდ, ტექსტების უფლებამოსილი პირების მიერ ზერელედ კითხვა ჩვენს სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ ისჯება.



# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

n56/83


